F843/9728

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 მაისი 1999 №79 (852) | ფასი 1 ლარი

5

## დიდი გადაჯგუფება



„დინამოს“ იოჰან ბოსკამპი გაწვრთნის! „ლოკომოტივს“ მურთაზ ხურცილავა?

8

## ვაცალოთ, ბატონო, ამ რონალდოს

11

## თავხედი დებიუტანტი სამრეკლოთა ქალაქიდან




10

## დაობლებული 1966



ალფ რამსეი გარდაიცვალა

# ნანორვეგიევს

*გუშინდელი მატჩებით საქართველოს ჩემპიონატი განახლდა: დროებით ლანჩხუთში გადასახლებულმა „კოლხეთმა“ არც თსუ-ს დაუთმო რამე, ბოლოხანს საევროპო მადაზე მოსულმა „ვიტ ჯორჯიამ“ კი გასაკვირად საინტერესო მატჩში „მერანი“ დაამარცხა.*



გაჩეჩი ქათილაძის ფოტო

გუშინ მცხეთაში. „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“.
მერანელი გელა ქორიძე ვიტელ გიორგი ჭანკოტაძეს ფეხებში ჩავარდნია

## საქართველოს ჩემპიონატი — 25 ტური

30 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| მერანი | 0 |
| კოლხეთი | 2 |
| თსუ | 0 |

1 მაისი, შაბათი

იბერია — დინამო
ლოკომოტივი — სამგურალი
გურია — არსენალი
ოდიში — სიონი
ტორპედო — დილა
ბათუმი — გორდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 19 | 5 | 0 | 73:12 | 62 |
| ტორპედო | 24 | 16 | 4 | 4 | 57:21 | 52 |
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 10 | 1 | 31:12 | 49 |
| კოლხეთი | 25 | 12 | 5 | 8 | 51:35 | 41 |
| ბათუმი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:17 | 39 |
| მერანი | 25 | 9 | 9 | 7 | 24:22 | 36 |
| ვიტ ჯორჯია (–3) | 25 | 11 | 4 | 10 | 30:23 | 34 |
| იბერია | 24 | 9 | 5 | 10 | 37:39 | 32 |
| დილა | 24 | 9 | 5 | 10 | 29:37 | 32 |
| არსენალი | 24 | 6 | 10 | 8 | 27:40 | 28 |
| სამგურალი | 24 | 7 | 3 | 14 | 22:43 | 24 |
| თსუ | 25 | 5 | 9 | 11 | 17:28 | 24 |
| გორდა | 24 | 5 | 9 | 10 | 20:34 | 24 |
| სიონი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:43 | 21 |
| ოდიში | 24 | 6 | 2 | 16 | 18:45 | 20 |
| გურია | 24 | 3 | 3 | 18 | 23:61 | 12 |

# განტევების... ფარა

შეცდომაა: ნაკრების წარუმატებლობაში დამნაშავეა მხოლოდ გუცაევი.

სწორია: დამნაშავეა ყველა, ვისაც კი ქართული ფეხბურთის მოღვაწე ჰქვია.

ერთი სიტყვით, განტევების ვაცი არა და, განტევების ფარა უფროა საძებარი

იხილეთ მეოთხე გვერდი



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

გუცაევი ნაკრებიდან უსახელოდ წავიდა

საქართველოს ჩემპიონატი

# 25 ტური

# სრულიად სერიოზულად

მცხეთა
30 აპრილი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:0 მერანი**

1:0 გიორგი ქორიძე (26პ)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, კ. ალადაშვილი, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე, მაზიაშვილი (ნოზაძე 70), გიორგი ქორიძე, გოჩაშვილი (ა. ბოკერია 89)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ერაძე, ი. კაპანაძე
მერანი: ლომაია, დ. ჭელიძე (ე. ალადაშვილი 46), ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 75), თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; დევიძე, ბერაია, ხარებავა, კარიაული
გაფრთხილება: დოლიძე (17), კ. ალადაშვილი (71), ე. ალადაშვილი (80)
გაძევება: ხუციშვილი (87)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ა. ქარქაშაძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

საქართველოს მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ისე არავის წადგომია მწვრთნელის გამოცვლა, როგორც თბილისის „ვიტ ჯორჯიას". სერგო კოტრიკაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბოლო ექვსი მატჩიდან ვიტელებმა ხუთი მოიგეს, წაგებით კი მხოლოდ „დინამოსთან" წააგეს, ისიც ეროვნულზე — 2:3. წარმატებულმა სერიამ ერთ დროს სახიფათო ზონაში მყოფი ვეტერინარები ცხრილში მნიშვნელოვნად აღაზევა და ინტერტოტოს თასზე მოხვედრის შანსიც გაუჩინა (ამ შანსს დაკლებული სამი ქულის აღდგენის პერსპექტივა ზრდის). ევროთასებზე გასასვლელად „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად თბილისის „მერანიც" იბრძვის, ამიტომ გუშინ მცხეთის „არმაზზე" ამ გუნდებს შორის შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა.

თამაში მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საქართველოს ეროვნული ნაკრების შემხედვარე ქომაგმა ეს შეიძლება არასერიოზულადაც აღიქვას, მაგრამ რაც იყო, იმის უთქმელობაც არ ეგების. ლამაზი და მაღალი კლასის ფეხბურთი იყოო, ვერ ვიტყვით, თუმცა სტუმარ-მასპინძელს ცდა და მონდომება (ნაკრებისგან განსხვავებით) რომ არ დაუკლია, ესეც ფაქტია. რაც ამ მატჩში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მომენტები შეიქმნა, ბარე ორ მატჩსაც ეყოფოდა.

თავიდან ვიტელებმა შეუტიეს, მაგრამ „მერანის" კართან სახიფათო ვერაფერი შექმნეს. დაახლოებით მე-10 წუთიდან ტრანსპორტელებმა თამაში გაათანაბრეს და თავად შეაწუხეს მეტოქე. გელა ქორიძემ სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ ჭურაძემ ივარგა. საერთოდ ვიტელთა მეკარემ ეს მატჩი აშკარად ჩააგდო. იგი რამდენჯერმე გამოსვლაზე უხეშადაც შეცდა, თუმცა, მასპინძელთა საბედნიეროდ, იმ ეპიზოდებში ყველაფერი კარგად დასრულდა. ჭურაძის სუსტი თამაში ნაწილობრივ, ალბათ, ნორვეგიასთან ორი დღის წინ გამართულმა მატჩმაც განაპირობა. თუმცა, მისგან განსხვავებით, მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ გიორგი ჭანკოტაძე (ნორვეგიასთან მანაც ითამაშა). ერთადერთი საგოლე შეტევაც სწორედ მან წამოიწყო. 26-ე წუთზე იგი მარცხენა ფლანგზე ორ მცველს გასცდა და საჯარიმოში შეიჭრა, სადაც ასპინძელაშვილი ეუხეშა. შილაკაძემ უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც გიორგი ქორიძემ უნაკლოდ შეასრულა. გატანილმა გოლმა ვიტელები ცოტა მოადუნა, „მერანი" კი პირიქით, გააქტიურდა და ზედიზედ ორი მომენტი შექმნა — ჩუხუას დარტყმული ჭურაძემ გაჭირვებით აილო, ხოლო გელა ქორიძემ ოდნავ ააცილა მიზანს. ტაიმის მიწურულს ისევ მასპინძლებს შეეძლოთ გატანა, მაგრამ გიორგი ქორიძემ ორი ასპროცენტიანი მომენტი გაუშვა ხელიდან. მან ჯერ ჭანკოტაძის კარგი პასი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი მცველთა შეცდომა, რომლის შედეგადაც ლომაიასთან პირისპირ აღმოჩნდა. ორივე ეპიზოდში გიორგი ქორიძემ მერანელ მოგვარეს მიბაძა — ბურთი მცირედით ააცილა კარს.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა სერგო კოტრიკაძემ (იგი ამავე დროს კლუბის ვიცე-პრეზიდენტიცაა) გუნდს კონტრშეტევებზე თამაში დაავალა და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სწორადაც მოიქცა. „მერანმა" დიდი ძალებით შეუტია მეტოქეს და დაცვა მოაშიშვლა, რითაც მასპინძლებს სწრაფი კონტრიერიშების განხორციელების შასაძლებლობა მისცა. ვიტელებს უკვე 51-ე წუთზე შეეძლოთ სტუმართა დასჯა, მაგრამ მაზიაშვილმა კარის წინ მარტოდ მყოფ გოჩაშვილს ვერ მიაწოდა კარგი პასი. ამას ორივე კართან საკმაოზე მეტი მომენტი მოჰყვა. ამათგან ყველაზე რეალურებს გამოვყოფთ. 53-ე წუთზე ხუციშვილის უძლიერესად დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. მალე მაზიაშვილის პასით დოლიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ვერ ივარგა. ორ წუთში დავითაშვილი ინდივიდუალური თამაშის წყალობით მახვილი კუთხიდან ჭურაძესთან პირისპირ გავიდა — მეკარემ აჯობა. ცოტა ხანში გელა ქორიძე წაიქცა მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ შილაკაძემ თამაში არ შეაჩერა. 78-ე წუთზე გელა ქორიძის ჩაწოდებულს ჩუხუას თავური მოჰყვა — ბურთი სანტიმეტრებით ასცდა მასპინძელთა კარს. ამის შემდეგ ვიტელებს სამჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ გიორგი ქორიძეს, ნოზაძესა და გოჩაშვილს საბოლოო დარტყმები გაუცუდდათ. მატჩის მიწურულს თამაში კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც მსაჯმა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მერანელ ხუციშვილს დაატოვებინა მინდორი. ამის შემდეგ საინტერესო აღარაფერი მომხდარა და თამაშიც ვიტელთა დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

ამ მატჩს თბილისის „დინამოს" მომავალი მწვრთნელი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპიც დაესწრო, რომელიც ორივე გუნდის ფეხბურთელებს დიდი გულისყურით აკვირდებოდა.



ჯაბა მუჯირის, ზვიად გვაზავას და რევაზ ქემოკლიძის (№4) გარემოცვაში მყოფი ლევან თოლორდავა ვიტელთა კარს ემუქრება

# ამას ჰქვია მოკვეთა?!

ლანჩხუთი
30 აპრილი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
80 (ტევადობა 22 000)

**კოლხეთი 2:0 თსუ**

1:0 ქობულაძე (75), 2:0 ბულუხია (88)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (ამაშუკელი 86), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე (ბულუხია 54), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ჩაგანავა, ბურკვაძე, პაპავა
თსუ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ვ. ღუდუშაური, ნინუა (ინწკირველი 35), მაღრაძე, დ. გოგოლაძე (ბუკია 83), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (გონჩაროვი 80)
*სათადარიგონი:* მერლანი; სვანაძე
გაფრთხილება: შავგულიძე (38), ინწკირველი (62), ბულუხია (88)
მსაჯები: ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

იუზა კაციტაძე ლანჩხუთიდან

შუა მარტს „შევარდენზე" თოვლჭყაპში „სამგურალთან" განცდილი მარცხის შემდეგ სტუდენტები სწორედაც რომ ბეჯითობდნენ. მათ მიყოლებით ხუთი თამაში არ წაეგოთ, თანაც, ამ ხნის მანძილზე საკუთარი კარი „მშრალად" შეინარჩუნეს. თსუ-ს სატურნირო მდგომარეობაც თვენახევრისთავზე უფრო საიმედო შეიქნა. მართალია, გუნდს ჯერაც დიდი გარჯა მართებს ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად, მაგრამ მასზე გაჭირვებულებიც ხომ გამოიკვეთნენ...

გუშინ კი სტუდენტებს მკაცრი გამომცდელი ჰყავდათ „კოლხეთის" სახით. მიუხედავად იმისა, რომ ფოთელებს ჩემპიონატის პრიზიორებში მოხვედრის იმედი გადაწურული აქვთ, მეოთხე ადგილზე გასვლის შემთხვევაში ინტერტოტოზე თამაშის შანსი შერჩათ და ამ შანსის ხელიდან გაშვება როგორღა იქნება?

მშობლიური „ფაზისიდან" ორი თამაშით მოკვეთილი ზღვისპირელები წლეულს მესამედ გავიდნენ „ევგრაფი შევარდნაძეზე" საპაექროდ. წინა ორი შეხვედრა მათ კარგად დაიბედეს. ალბათ, გახსოვთ, კოლხებმა მარტში მასპინძელ „გურიას" სძლიეს დამაჯერებლად (4:1), ამას წინათ კი „გორდა" გაანადგურეს (5:0).

„კოლხეთმა" სტუდენტებთანაც დამაჯერებლად დაიწყო. „მასპინძლებმა" თავიდანვე შეუტიეს უმცროსი გაბელიას კარს და, მოვლენებს დავასწრებთ, მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა. არადა თამაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ვერაფერიშვილი იყო. ბურთი მეტწილად თსუ-ს ნახევარზე ტრიალებდა, მაგრამ კობიაშვილი და კომპანია მოიერიშეებს საკუთარ საჯარიმოს ახლოსაც არ აკარებდნენ, რის გამოც კოლხები იძულებულნი იყვნენ შორიდან ერტყათ კარში. და ურტყამდნენ, ოღონდ აცილებდნენ. ასე მოუვიდათ ქობულაძეს, ტრაპაიძეს, კალანდაძეს.

ერთადერთი, რომ იტყვიან, საგოლე მომენტი 43-ე წუთზე შეიქნა. ჩადუნელმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა სტუდენტთა საჯარიმოში, ქობულაძეც ნახტომში თავურით კარის მისგან შორეულ მაღალ კუთხეს დაემიზნა, თუმც აქ გაბელიამ იმარჯვა, ნახტომშივე ურთულესი ბურთი „გამოაძრო ცხრიანიდან".

თუ კი შესვენებამდე სტუდენტები დროგამოშვებით მაინც ცდილობდნენ მეტოქის კონტრშეტევაზე დაჭერას, მაგრამ ვერ ხეირობდნენ, მეორე ნახევარი ლამის ცალკარა იყო. კოლხები თანდათან მძლავრობდნენ და აშკარად ჩანდა, თსუ-ს დაცვა მძიმე დაწოლას დიდხანს ვერ გაუძლებდა. 54-ე წუთზე ფოთელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, ელდარ გვასალიამ საჯარიმოს კუთხიდან გიორგაძეს გადასცა დასარტყმელად, მან არ დაარტყა, რადგან უმალ კარის სიახლოვეს ეულად მყოფი პარტნიორი შენიშნა და ზუსტადაც უპასა, შავგულიძემ მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან გაგზავნა კარისკენ, მაგრამ გაბელიამ ამჯერადაც პირნათლად შეასრულა მოვალეობა, აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები. მერე შავგულიძის ნაცვლად შესულ ბულუხიას და ორჯერ ქობულაძეს გაუცუდდათ თავური. 65-ე წუთზე კალანდაძემაც ელდარ გვასალიას წაქცევისთვის დანიშნული სახიფათო საჯარიმო ოდნავ გადააცილა ხარიხას.

ათ წუთში გოლის ჯერიც დადგა. თსუ-ს ნახევრის შუაგულში ბულუხიას მიერ წამოწყებული შეტევა მარჯვნიდან კალანდაძემ გააგრძელა, რასაც სტუდენტთა საჯარიმოში ქობულაძის მისამართით ზუსტი გადაცემა მოჰყვა, მიხოც მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და გატანა არ გასჭირვებია. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კოლხებმა მეორეც გაიტანეს. ამჯერად ბულუხიამ ისარგებლა მოედანზე ახლადშესული ამაშუკელის პასით და კარიდან წინ გამოსულ გაბელიას თავზე გადაუგდო ბურთი. ამის მერე კი ტორჩინავამ შორიდან ძლიერად დაარტყა და აქ მეკარეს ხარიხა შეეშველა.

„კოლხეთს" მართლაც რომ კარგად დაებედა „ევგრაფი შევარდნაძე" — სამ თამაშში 9 ქულა, მეტი რაღა გნებავთ...


„დინამოს“ ახალი მწვრთნელები იოჰან ბოსკამპი და ფრანსუა დე იონგი

# დიდი გადაჯგუფება

მაშ ასე, ქართულ ფეხბურთში მორიგი „რევოლუციაა“. ეროვნული ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა, ვლადიმერ გუცაევის შემცვლელის ვინაობა 6 მაისს, ალმასკომის სხდომაზე გაირკვევა.

ცოტა ხნის წინ „სარბიელმა“ იმ ხუთეულის გვარ-სახელი გაგანდოთ, რომელთა ავ-კარგიანობის შესახებ ფეხბურთის ფედერაციაში ბჭობდნენ.

დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია, თემურ მახარაძე და ჰოლანდიელი სპეციალისტი იოჰან ბოსკამპი. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ნაკრების თავკაცობას ამათგან ერთ-ერთს ანდობს, ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული, მაგრამ...

ჩამოთვლილთა სიას ერთი მწვრთნელი უკვე გამოაკლდა. ორშაბათიდან ჰოლანდიელი ბოსკამპი „დინამოს“ ოფიციალურად ჩაიბარებს. მურთაზ ხურცილავას დინამოური ეპოპეა დასრულდა. დღედალამ ლიგაზე მეოცნებე „დინამო“ უცხოელი სპეციალისტის ხელში ჩავარდა.

ამბავი ბოსკამპის „გამეფებისა“, თავად ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დაგვიდასტურა. „დინამოს“ ახალი მწვრთნელი გუშინ „ვიტ ჯორჯია“ — „მერანის“ მატჩს ემწრებოდა. ჩვენს კითხვაზე დადებითი პასუხიც მაშინ გაგვცა.

კი მაგრამ, მურთაზ ხურცილავა? არა გვგონია, ბატონი მურთაზი უმუშევარი დარჩეს, მაგრამ სად გაგრძელდება მისი სამწვრთნელო კარიერა?!

ორი დღეა, ტყუილ-მართალი ერთმანეთში გადაიხლა. ერთი ვერსიით, ხურცილავა ეროვნულ ნაკრებში მიდის, მეორეთა ვარაუდით, „ლოკომოტივის“ მწვრთნელად მოგვევლინება.

ხურცილავას გუშინვე დავუკავშირდით. მან არც ერთი ვერსია არ უარყო, მაგრამ არც დაადასტურა. ბატონი მურთაზის პასუხი ასეთი იყო, არის გარკვეული მოსაზრებები, მაგრამ ყველაფერი საბოლოოდ მომავალ კვირაში გაირკვევაო. ხურცილავას მეტი არაფერი უთქვამს.

რაკი საკითხის ბოლომდე დაზუსტება ვერ მოვახერხეთ, „სარბიელის“ მოკრძალებულ პროგნოზს გთავაზობთ, რომელიც, რა თქმა უნდა, ასი პროცენტით არ გამართლდება, მაგრამ არც მთლად უტოპიური იქნება.

არა გვგონია, მურთაზ ხურცილავა „ლოკომოტივის“ თავკაცობას დასთანხმდეს. მისი, როგორც მწვრთნელის ფილოსოფია ასეთია, გავრწვთნი მხოლოდ ისეთ გუნდს, რომელსაც საჩემპიონო ამბიციები ექნებაო. რკინიგზელთა ჩემპიონობა კი ჯერ ჰორიზონტზეც არა ჩანს. და კიდევ, „ლოკომოტივს“ ჰყავს მწვრთნელი, რომელსაც კლუბში ენდობიან, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ასე აცხადებენ მისი ხელმძღვანელები.

ხურცილავას „დინამოდან“ ისე ხელაღებითაც ვერ გაუშვებენ, ვერ შეელევიან, და თუ რატომ, ჯერჯერობით საიდუმლოდ შევინახავთ. დარჩა ერთი ვარიანტი, ეროვნული ნაკრებისა მწვრთნელობა.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ბატონი მურთაზი ნაკრებში იქნება, მაგრამ არა მთავარ მწვრთნელად, იგი იმას დაეხმარება, 6 მაისს ალმასკომის სხდომაზე პირველკაცად რომ დაამტკიცებენ.

ვინ იქნება პირველკაცი?! დარჩენილი სამი კანდიდატიდან ყიფიანი, ნოდია, მახარაძე, გივი ნოდია გამოირიცხა. დარჩა ორი — ყიფიანი და მახარაძე. არჩევანი ამათ შორის გაკეთდება, თუმც იმასაც ამბობენ, თემურ მახარაძეს დიდიდიდი ციკლის ბოლომდე მისცენ წლობის მანდატი და შემდეგ მას დავით ყიფიანის გუნდში მიუჩინონ ადგილიო.

ამის მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, დანარჩენიც ერთ კვირაში გვეცოდინება.

რაც შეეხება „დინამოში“ მეორე მწვრთნელის ვინაობას, ისიც გარკვეულია, ბოსკამპს ჰოლანდიელი ფიზმომზადების სპეციალისტი ფრანსუა დე იონგი შეეშველება.

**მამუკა კვანტალიანი**

# აშენდება ახალი ხიდი ქუთაისში?

ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტად მიხეილ ქორქიას მისვლის შემდეგ კლუბში რომ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, არახალია — ფაქტობრივად დაშლილი გუნდის შენარჩუნება, ფეხბურთელებთან იურიდიულად გამართული კონტრაქტების გაფორმება, მათთვის სოლიდური ხელფასებისა და პრემიების დანიშვნა, კუთვნილი თანხის დროულად გაცემა, სამეორეწრეო მზადების დროს ანთალიაში ათდღიანი შეკრების მოწყობა და ასე შემდეგ. „ტორპედომ“ ეროვნული ჩემპიონატების ათწლიან პერიოდში პირველად შეძლო თასის გათამაშების ფინალში გასვლა. ეგაა, გუნდმა მეორე წრეში, პირველისგან განსხვავებით, „ჩავარდნა“ განიცადა და თითქმის განაღდებული ვერცხლისთვის ბრძოლა გაირთულა.

საგაზაფხულო სეზონში არასტაბილურმა თამაშმა, როგორც მიხეილ ქორქიამ ამას წინათ განაცხადა, ამერიკელ ინვესტორებს კლუბში დამფუძნებლებად მისვლა გადააფიქრებინა. არადა, ქუთაისელებს განაღდებული აქვთ თავის ისტორიაში მეორედ ევროსარბიელზე გასვლა, თანაც შარშანდელივით სავალალო შედეგის გამეორებას არ ვაპირებთო, აცხადებენ „ტორპედოს“ მესვეურები. თუმცა თავადაც კარგად უწყიან, რომ სიტყვას საქმით უნდა გამაგრება და წარმატება ჰაერიდან არ მოდის, ჰოდა...

სამშაბათს თბილისის აეროპორტში „ტორპედოსთვის“ სასიკეთო იდეებით დახუნძლული ადამიანები ჩამოფრინდნენ საკუთარი თვითმფრინავით. მეორე დღეს კი ქუთაისს ესტუმრნენ მიხეილ ქორქიასთან ერთად. არა, ამჯერად უეფას აგენტი არ სწვევია იმერეთს ნიგერიელი თუ მაროკოელი ლეგიონერის თანხლებით. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ უფრო საქმიან და სერიოზულ ხალხს უმასპინძლა.

ევროპიდან ჩამოფრენილ კერძო თვითმფრინავს შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და თანამდებობის პირი ჩამოყვნენ. მათ ამალაში იმყოფებოდა ამავე ბანკის ერთ-ერთმა აქციონერი ქუთაისელი ებრაელი ვიტალი სეფიაშვილი. „ტორპედოს“ პრეზიდენტი ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს თორნიკე კენჭაძეს დაკავშირებია და ქალაქის მერთან შეხვედრისთვის შუამდგომლობაზე უთხოვია. მერე კი სტუმრებს გუნდის ბაზა და „გივი კილაძის“ სტადიონი დაუთვალიერებიათ.

ქუთაისის მერთან შეხვედრის აუცილებლობა გასაგებია, რადგან როგორც ცნობილია, „ტორპედოს“ აქციათა პაკეტის 40 პროცენტს სწორედ ქალაქის მერია ფლობს. კლუბში უცხოელი ინვესტორების დამფუძნებლებად მოყვანას მისი თანხმობა სჭირდება.

სალორიის ბაზაზე უცხო ხალხის გამოჩენა „სარბიელისთვის“ გუშინწინვე გახდა ცნობილი, თუმცა უდროობის გამო კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით.

გუშინ კი თორნიკე კენჭაძეს დავუკავშირდით და საქმეში გარკვევა ვთხოვეთ.

— ბატონმა მიხეილ ქორქიამ დამირეკა. მითხრა, კლუბში უცხოელი დამფუძნებლები მომყავს და მერთან შეხვედრაზე მიშუამდგომლეო. 14 საათზე მართლაც შედგა ასეთი შეხვედრა. სტუმრები დეტალურად გაეცნენ „ტორპედოს“ აქციათა პაკეტის პროცენტული განაწილებას. საქმიანი ხალხი ჩანს. ქალაქის მერს დავით მელქაძეს ბევრი კომერციული ხასიათის წინადადებითაც მიმართეს. რაც შეეხება „ტორპედოს“ ერთ-ერთ სპონსორობას, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავთ, დიდი სურვილიც გვაქვს, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაკეთებთო.

ქუთაისის მერიც კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით და „ტორპედოს“ ახალი დამფუძნებლობის მოსურნეებს ოფიციალური თანხმობა განუცხადა. მოკლედ, მოლაპარაკება უმოკლეს ვადაში გაიმართება და ალბათ უცხოელი ინვესტორებთან იურიდიული ხელშეკრულებაც მალე გაფორმდება — გვითხრა ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ.

„სარბიელი“ დაუკავშირდა „ტორპედოს“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელმაც კონკრეტული საუბრისგან თავი შეიკავა. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია და ამიტომაც არ ვჩქარობთ ამ საქმის გახმაურებას. როცა ყველაფერი იურიდიულად გაფორმდება, ჩვენი თავი გენაცვალოთო. ეს კი გაგვანდო — ის ქუთაისელი ებრაელი ჩემი ახლობელია და ყველანაირად ვენდობიო.

ამ ამბავმა ქართულ ფილმ „მიმინოს“ ერთი ეპიზოდი გამახსენა. ვალიკო მიზანდარი რომ რეკავს ევროპიდან თელავში და ოპერატორი თელავივს დააკავშირებს. ჰოდა, ქუთაისელი ებრაელიც გაიხარებს ქართული ხმის გაგონებით და ვალიკოს პირველად ამას ჰკითხავს — დამთავრდა ქუთაისში ხიდის მშენებლობაო?

საქართველოდან წასულ ებრაელობას მუდამ მეორე სამშობლოს ნოსტალგია სდევდათ.

ამ ათი წლის განმავლობაში ქუთაისში მრავალი ხიდის მშენებლობა დამთავრდა და ახლის წამოწყებასაც ჩაეყარა საფუძველი. ეგაა მხოლოდ, ფეხბურთისთვის ვერ იცლიდნენ იმერლები და „ტორპედოც“ ეროვნული ჩემპიონატის საშუალო გუნდების მარაქაში იყო მეტწილად.

ახლა კი მზიანი ამინდი უდგას ქუთაისურ კლუბს. მისი ხელმძღვანელობა საფეხბურთო ხიდის აშენებას ლამობს, იმ ხიდის, რომელიც „ტორპედოს“ ევროპასთან მყარად დააკავშირებს...

**ხვიჩა სანიკიძე**

# მინი-ფეხბურთის დაბრუნება

საქართველოს ნაკრები კონტინენტის რეიტინგში პირველი ათეულში შემთხვევით არ იმყოფება.

არ გაგიკვირდეთ, ლაპარაკია საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებზე. ჩვენი „მცირედ მობურთალნი“ მართლაც ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. გასულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენს ნაკრებს ერთი ნაბიჯი დააკლდა, რომ მიზნისთვის მიეღწია. შესარჩევი ეტაპი იტალიაში ჩატარდა, ქართველებმა ბელარუსებს (5:4) და ფრანგებს (8:4) სძლიეს და პირველობა მასპინძელთა უდავოდ ძლიერ ნაკრებს დაუთმეს. იტალიელებთან შეხვედრაში თავისი საქმე არბიტრებმაც გააკეთეს და საბოლოოდ მასპინძლებმა ქართველები 5:2 დაამარცხეს.

კიდევ ერთი, ახლახან დასრულდა რუსეთის ჩემპიონატი, რომელიც მსოფლიოს მინი-ფეხბურთის სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩემპიონი ძველებურად „დინა“ გახდა. მესამე ადგილი კი „მინკასმა“ დაიკავა. ამ გუნდში ერთაბაშად ოთხი ქართველი თამაშობს — ზაალ ჩიტალაძემ, დავით სოლოღაშვილმა, ანდრო მიზანდარმა და ბესო ზოიძემ თავიანთ კლუბს საპატიო ქულა მოუტანეს ბოლო ტურში, ჩემპიონ „დინასთან“ შეხვედრაში (2:2). საქართველოს ნაკრებს ამ ოთხეულის გარდა კიდევ ორი ლეგიონერი ჰყავს — ალიკ სარქისიანი და ნიკა კბილაძე უკრაინული „ზაპოროჟიეს“ ღირსებას იცავენ.

10 მაისს კი საქართველოს VI ჩემპიონატი იწყება მინი-ფეხბურთში, რომელშიც 8 კლუბი მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონატი ორ ეტაპად — გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩატარდება. გამარჯვებული გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ნოემბრიდან კი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი ციკლი იწყება და ვინ იცის, საქართველოს ნაკრებმა იქნებ ნავსიც გატეხოს, თორემ მარტო რეიტინგის პირველ ათეულში ყოფნა დიდი ვერაფერი შედეგია.

**პაატა კვანტალიანი**


საქართველოს ნაკრები იტალიელებთან მატჩის წინ

გიო ახვლედიანის

## სტადიონის გამოყენების საკითხი

რახანდა, ჩვენში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ერთი უსაყვარლესი და უდიდესი ნაგებობა ქალაქ თბილისისა, ადრე ბერიას, მერე ლენინის სახელობის „დინამოს“, მერე ეროვნული, აწ კი პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი კარგავს ფუნქციას და მთელი ამხელა ტერიტორია უქმად რჩება, ადამიანი უნდა დაფიქრდეს ამ ნაგებობის სრულფასოვნად გამოყენების თაობაზე.

ასეთ შემთხვევაში, პირველი, რასაც იფიქრებ, ისაა, რომ სტადიონზე გადმოტანილ იქნეს ახლომდებარე ბაზრობა და გაფართოვდეს ხაჭაპურის წარმოება. ეჰ, იყო დრო და ამ სტადიონის ფეხბურთი სჯობდა ამ სტადიონის ხაჭაპურს. დღეს ხაჭაპურის ხარისხი დაცემულია, თუმცა, ფეხბურთს მაინც ვერ შევადარებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მუშტარი ბევრად მეტი ჰყავს.

გულისტკივილით ვკრებავთ ამ ასოებს ჩვენს სარედაქციო კომპიუტერზე და ცრემლი გვდის, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით. სტადიონი უქმად გვრჩება და ახლა აღარც ვაპირებთ ყიყინს — სკამები გვაკლიაო. რა სკამებიც დაუდგამთ, ისიც მეტია ან რად გვინდა ოცი ათასი სკამი?

იმ დღეს სტადიონზე გვაუწყეს, როგორც იქნა, გვეღირსა და ვიმოვნეთ ღირსეული ბალახის თესლი, რათა ამიერიდან ღირსეული გაზონი გვქონდესო. რაღად გვინდა გაზონი? ისე, ქართველობა რომ დაეჩია ფეხბურთის თამაშს, ბურთის გორება ეზოშიც კოხტად შეიძლება და სადმე ქალაქგარეთაც, მინდორში. ასევე აღარაფერშია საჭირო ახალშეძენილი შეცვლების მაუწყებელი ტაბლოც, რომლის შეძენაც ნაღდად გმირობის ტოლფასი რამაა.

ახლა ვიტყოდი, ეგებ სტადიონი მორაგბეებმა მაინც გამოიყენონმეთქი (სამი საერთაშორისო თამაში მაინც აქვთ სეზონში და თუმცა თავს ვერ დავდებ, რომ უეჭველ მოიგებენ, მაგრამ თავს კი მოიკლავენ და თანაც, ამ სტადიონზე რაც უთამაშიათ, მოუგიათ) მაგრამ ატყდება ერთი ამბავი გაზონის გაფუჭების შესახებ.

საფეხბურთო ნაკრებმა და კლუბებმა კი მშვიდად უნდა ითამაშონ ორივე მატჩი სტუმრად, იმიტომ, რომ ჯერჯერობით მნიშვნელობა არა აქვს, სტუმრად ითამაშებენ თუ შინ. ახლა ამბობენ, ბოსკამპი გუნდს გააკეთებსო, ლიგას ვუმიზნებთო. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ამაში სიხარულის მეტი არაფერია. მაგრამ სად არის სიხარული? ალბათ, რომელიმე იმ სექტორში ზის, სადაც ბილეთები არ იყიდება.

სტადიონი კი ცდება.

მიახლოებითი გამოთვლებით, თითოეულ გულშემატკივარს, საკუთარ კარში გაშვებული თითოეული გოლი ორლარნახევარი უზის. ზოგისთვის ეს მზესუმზირის ფულია, ზოგისთვის — ერთი კვირის შემოსავალი. ასეთ ვითარებაში კი, სტადიონი ტკივილის, იმედგაცრუების და მწარე სიცილის მომტანი ადგილია. ვერც კი დავინახეთ, როგორ გამოგვეცალა ხელიდან საკუთარი საყვარელი მინდორი და ადგილი. მან დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის. გამოვაცხადოთ ტენდერი და მივყიდოთ რომელიმე ამერიკულ საბეისბოლო გუნდს. ბეისბოლისა ხომ არაფერი გაგვეგება? აი, ნახავთ, სტადიონზეც მიგვიყვანენ, პოპკორნ-ჰამბურგერებსაც გვაჭმევენ და კმაყოფილებიც ვიქნებით.

გვინდა ეს ამბავი?

თუ, ფეხბურთი გვინდა.

ფეხბურთი ოცთეთრიანი ხაჭაპური არ არის. სამწუხაროდ, ეს არავის ახსოვს. ამიტომ, სტადიონი დასაკეტია. მართლა ვამბობ, უკეთესია, დროებით დავკეტოთ და ეზოებში გავახუროთ. თუ იქ ვივარგეთ, მერე თანდათან ამოვიწევთ და ბოქლომსაც შევხსნით ჩვენს კარგ მოედანს, სადაც ახალი ბალახი სწორედ რომ აბიბინებული იქნება.

სხვანაირად კი ცოდვაა ეს მინდორი — ბევრი დიდი და დაუვიწყარი კაცი მდგარა ზედ.

ტრიბუნებიც ცოდვაა — არ ჩის ხოლმე იქ ურიგო ხალხი. ყველა სიყვარულით მოდის და... რა ვიცი.

მაინც დაცულება ჯობს, გავუფრთხილდეთ ხალხის გულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განტევების... ფარა

## ზემოთ, სულ ზემოთ

არაერთხელ დაწერილა და მართალ ხალხს ზეპირ საუბარშიც ხშირად უთქვამს — საქართველოში, კერძოდ, ქართულ სპორტში, მთლიანად საქმისადმი მიდგომაა შესაცვლელი. სანამ ქვეყანაში არაპროფესიონალიზმის ჭაობი სუფევს, ვერავითარ შედეგს ვერ მივიმკით — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჭაობში წურბელები იზრდებიან და არა სპორტსმენები.

განა მარტო ფეხბურთში, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში კატასტროფული მდგომარეობაა. ავიღოთ ჭიდაობა, კალათბურთი, რაგბი. ძველ სიმაღლეებს ვინ ჩივის, საშუალოთა მარაქაშიც ველარ ერევიან ამ ტრადიციული და პრიორიტეტული სახეობების წარმომადგენლები.

სპორტის კურატორი ორგანო — სპორტის დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტსა და სპორტის სახეობებს შორის შუამავალი ორგანიზაციის ფუნქციებითაა დაკავებული და ძირითადად თანხებს ანაწილებს.

ის თანხა კი, რასაც ბიუჯეტი სპორტს გამოუყოფს, წვეთია ზღვაში. თანამედროვე სპორტი სახელმწიფო დოტაციაზე კარგა ხანია, აღარ „ზის", იგი იქით აძლევს ბიუჯეტს შემოსავალს. და რადგან საქართველოში, როგორც ყოველთვის, უკუღმა ხდება ყველაფერი, საქმისადმი „ზემოდაც" უნდა შეიცვალოს.

ასე პწკენა-პწკენით და ნელ-ნელა ქართულ სპორის არაფერი ეშველება.

პწკენა-პწკენით არასდროს არც ერთი დედოფალი არ დაორსულდება და ის ქართული ანდაზა ლამაზი სიტყვებია მხოლოდ.

ლამაზი სიტყვებით კი ჩვენს უკვე მახინჯ სპორტს (ფეხბურთსაც) არაფერი ეშველება.

## და სფფ-?

თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც ფეხბურთის ფედერაცია აიცილებს. მართალია, ახლა უჭირს ქვეყანას, „ძველი ფედერაციიდანაც" ცუდი მემკვიდრეობა ერგო სფფ-ს ახლანდელ შემადგენლობას, მაგრამ კაცი რომ სათავეში მიდის, მან იმთავითვე უნდა იცოდეს, რა სიძნელეებთან მოუწევს ჭიდილი.

სფფ-ს მთავარ ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ ნაკრებისთვის საკონტროლო მატჩები ვერ გაუმართავს და ვერც ღირსეული სპარინგი გამოუძებნია.

მართალია, სფფ-ს თავისი ღირსებებიც გააჩნია — თუნდაც გაყინული საბანკო ანგარიშის პირობებში ლეგიონერთა მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ავიღოთ, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი საკონტროლო თამაშებით ნაკრების უზრუნველყოფაა.

ამას კი სფფ-მ თავი ვერ მოაბა.

ამიტომაც ნაკრებს ძირითადად ოფიციალურ თამაშებში უხდებოდა ახალი ფეხბურთელების გამოცდა-შეთამაშება, სათამაშო სიტუაციების დახვეწა...

ყოველივე ამან, ოფიციალური თამაშების დროს გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა საქართველოს ეროვნული ნაკრები კატასტროფისწინა მდგომარეობამდე მიიყვანა (ჯგუფში ჯერაც ვუსწრებთ ალბანეთის ნაკრებს).

დიპლომატია დიპლომატიად, მაგრამ სფფ-მ თვადაც იცოდა, რა და როგორ ხდებოდა გუნდში, ამიტომ მას იაფი ვარირების გამო არ უნდა დაეშვა გუცაევის ნაკრების სათავეში ყოფნა: სლოვენიის ნაკრებთან თამაშის შემდეგაც. ხომ ნათლად ჩანდა, რომ გუცაევის მწვრთნელობა ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, ფორმალობად იქცა და უარესად დაამძიმა სანაკრებო სიტუაცია.

აქ შეგნებულად არას ვამბობთ იმ არშემდგარ პრესკონფერენციებზე, რომლებიც თითქოს წვრილმანებად ჩანს, მაგრამ...

ყველა საქმე ხომ წვრილმანიდან იწყება.

ან „შერატონ პალასში" შემდგარი პრესკონფერენცია რას ჰგავდა, როცა თითქმის მთელი ქართული მასმედია დაახლოებით ოცი წუთი ყურებჩამოყრილი უსმენდა ნორვეგიელთა ერთმანეთში სკანდინავიურ-ელურტულს.

აქედან გამომდინარე, სფფ-საც ბევრი რამ აქვს გადასახედი თავის მუშაობაში.

*ვლადიმერ გუცაევი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა. მეტიც, იგი თურმე საერთოოდ აპირებს საქართველოდან წასვლას. ამეების რკვევა ახლა შორს წაგვიყვანს და არც არის წერილის მიზანი. მაგრამ გუცაევი წავიდა და მისი შემცვლელის მისვლით რომ უამრავი რამ შეიცვლება, ეს კი გვაინტერესებს.*

*გუცაევის წასვლა კარდინალური, თითქმის ეპოქალური ცვლილებაა ნაკრების ისტორიაში. ისეთივე ეპოქალური, როგორიც იყო თავის დროზე ჩივაძის ანაც ყიფიანის წასვლა.*

*ერთი უცნაურობაც დასჩემდა ქართულ ფეხბურთს — ნაკრების ნებისმიერი თავკაცის მსგავსი მოქმედება სკანდალთანაა დაკავშირებული. უკმაყოფილონი კი წავიდნენ ჩივაძე და ყიფიანი, მაგრამ მათ გამოლმა შედავებაც შეეძლოთ.*

*მათგან განსხვავებით, გუცაევი უშანსოდ წავიდა. წავიდა დამარცხებული. მას თავისიც ჰყოფნის და ამდენად, სხვების დანაშაულის დამატება არაფრად სჭირდება.*

*ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა არ არის მხოლოდ ერთი კაცის, თუნდაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ბრალი.*

*ეროვნული ნაკრები მხოლოდ სარკეა და სურათი იმ სიტუაციისა, რაც ამჟამად ქართულ ფეხბურთში ხდება.*

*ამიტომაც, უნდათ თუ არ უნდათ, მოსწონთ თუ არ მოსწონთ ქართული ფეხბურთის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს, დასკვნა ასეთია:*

*შეცდომაა: ნაკრების წარუმატებლობაში დამნაშავეა მხოლოდ გუცაევი.*

*სწორია: დამნაშავეა ყველა, ვისაც კი ფუნქციურად ქართული ფეხბურთის მოღვაწე ჰქვია.*

*ერთი სიტყვით, განტევების ვაცი არა და, განტევების ფარა უფრო საძებარი.*



ირაკლი გედენიძის ფოტო

ვლადიმერ გუცაევი წავიდა...



ზაური კობალაძის ფოტო

...გიორგი ნემსაძე (№7) და ეროვნული ნაკრები კი ახალ მწვრთნელს ელიან

## შაბაშ! ვოვა მწვრთნელი აღარ არის!

წავიდა გუცაევი და თავისი წილი ცოდო-ბრალიც წაიღო.

ეს არ არის მარტო მწვრთნელის ტრაგედია — ეს პიროვნების ტრაგედიაცაა.

მთავარი დამნაშავე თავის თავთან, რა თქმა უნდა, თვითონაა. მან ბრძოლა წამოიწყო, მაგრამ თვითონვე უგანა ამ ბრძოლას, ვერ უერთგულა პრინციპებს, იყოყმანა და შესაბამისად სტვენაც მიიღო.

გუცაევს არ უნდა მიემართა ამდენი ექსპერიმენტისთვის ოფიციალური მატჩების დროს. ერთია, ნაკრების ბირთვის გადახალისება და მეორე, შეთამაშებული რგოლების მთლიანად ანგრევა.

და ერთიც, ამაზე „სარბიელს" არაერთხელ დაუწერია — გუცაევმა ფონს გასვლა ნახევარი სიმართლით მოინდომა, ბოლომდე არ თქვა სანაკრებო სიტუაციაზე, თავიდან რაღაც-რაღაცეები კი გაამხილა, მაგრამ მერე პრესის ვარაუდებს მიანება ყველაფერი და ესეც მისი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა.

ნახევარმა სიმართლემ გუცაევი კონფლიქტების წინაშე დააყენა და რაც მთავარია, მას კონფლიქტები მოუვიდა არა ცალკეულ, არამედ ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელთან.

ოქტომბრის სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებზე ალექსანდრე ჩივაძემ ხმამაღლა, ტრიბუნიდან განაცხადა — სად ხედავთ ახლანდელ საქართველოში მაღალი დონის ფეხბურთელს, ამათ ბევრი არაფერი შეუძლიათო. ეს ხმამაღალი ნათქვამი კი იყო, მაგრამ სადღაც, ვიღაცას ენიშნა...

გუცაევსაც ამაზე უნდა ეფიქრა, როცა ევრო 2000-ზე მოხვედრას გეგმავდა და ამას დაპირდა კიდეც გულშემატკივარს. პროგნოზი ფაქიზი რამაა, მით უმეტეს, სატურნირო შეჯიბრის პროგნოზი — შეიძლება პროგნოზი გააკეთოს ჟურნალისტმა, ვეტერანმა, ქომაგმა, მაგრამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ნათქვამს (მეტიც, დაპირებას) ბოლოში ძახილის ნიშანი ესმება და აუცილებლად შესასრულებლის იარლიყიც ეწებება.

ამიტომაც ვერ იქცა ევრო 2000-ის მეორე შესარჩევი ჯგუფი გუცაევისთვის გადასალახავ რუბიკონად, ეს ჯგუფი მას სიზიფეს ლოდად ექცა.

სხვისი რა ვთქვა და მეც (ვინც სულაც არ გახლდით გუცაევის მოწინაალმდეგეთა ბანაკში) ხშირად მეუხერხულებოდახოლმე ნაკრების თავკაცის ნათქვამი — ვავალებ ფეხბურთელებს, მაგრამ ვერ ასრულებენო — იქნებ ისეთ რამეს ავალებდა ფეხბურთელთა ამ თაობას გუცაევი, რომლის შესრულებაც არ შეეძლოთ?

დავალებით ფეხბურთელს ყველაფერი შეიძლება დაავალო — თუნდაც მთვარეზე „გაფრენა", მაგრამ შეძლებს? ამაშია საქმე.

ამიტომ ამაზეც უნდა ეფიქრა გუცაევს.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ არც ერთ მწვრთნელს არ უნდა დაავიწყდეს ძველისძველი სიბრძნე — იგებს ფეხბურთელი და აგებს მწვრთნელი.

მიუხედავად ჟურნალისტების სიმპათია-ანტიპათიებისა, ქომაგის კეთილგანწყობისა, ყველა მარცხის სათავეს მწვრთნელის არაკომპეტენტურობაში ეძებენ და აჰა, ჩვენთანაც ასე მოხდა.

გუცაევი წავიდა ვა-ბანკზე, მაგრამ კრახი განიცადა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ყოველივე ამის მერე ფეხბურთელებზეც შეიძლებოდა რამეს დაწერა, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებთ. მათ ჯერაც ბევრი აქვთ სათამაშო და დასამტკიცებელი. ვნახოთ, იქნებ ახალი, მომდევნო მწვრთნელის ხელში შეძლოს საქართველოს ნაკრების ამ თაობამ ის, რაც ჩივაძის, ყიფიანის, გუცაევის ხელში ვერ შეძლო.

**კონსტანტინე გოგიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არასაფეხბურთო ჩანაწერები

— მართლა მუშაობამ მოკლა ვირი?

— ვინც ეგა თქვა პირველად, ალბათ, მეტისმეტს გულისხმობდა. კაცმა ყველანაირი საქმე სიამოვნებად უნდა იქციო.

-- სპორტიც საქმეა?

არ გინდა ახლა უპასუხო? ჯიბეებში ხელჩაწყობილი, ტრადიციული კეპითა და მიამიტი გამომეტყველებით დგას და მელის.

თავი გადავაქნ-გადმოვაქნიე და, შეიძლება ჩაითვალოს-მეთქი, რაც შეიძლება რბილად შევაპარე. თორმეტისა კია, მაგრამ ისე ჩაიყვანს თორმეტ ეშმაკს წყაროზე, წყალს არ დაალევინებს.

— შეიძლება თუ არის?

ეგრეც ვიცოდი. ახლა აღარ მომეშვება.

— არის, ოღონდ რაღაც ნაწილისთვის. დანარჩენები ერთობიან.

— ესე იგი, ფეხბურთიც საქმეში გადის.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ დაგვრჩევია და ეგ არის.

— ვერ გავიგე, მაინც რას გულისხმობ — მოვიკატუნე თავი. თორმეტისა კია, მაგრამ...

— რასა და, საქმის კეთება არ გვცოდნია. ჭიდაობა, კალათბურთი, ჩოგბურთი... ახლა ფეხბურთიც... ყველანი გასაყრელები არიანო...

— ეგ ვიღამ გითხრა.

— ბიჭებმა თქვეს ბირჟაზე... ფეხბურთის სათამაშოდ უნდა ჩავსულიყავით სკოლის ეზოში... გოგია და ვასკა ვარჯიშზე აღარ წავიდნენ, ერთი მაგათი და მაგათი ფეხბურთიცო. ახლაც იქა დგანან, იფურთხებიან.

— ეგრე არ შეიძლება, ფეხბურთი რა შუაშია. სიტუაცია, თვითონ ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაა მთავარი. ჩვენთან თავდაყირაა ყველაფერი. ფეხბურთი იმათ აინტერესებთ, ვინც მხოლოდ გასართობად უნდა დადიოდეს სტადიონზე. აი, იმათთვის კი, ვისთვისაც საქმეა ფეხბურთი, ინტერესის საგანი სულ სხვა რამეა. მაგრამ ეგეთი რამეები შენთვის ადრეც არის და არც მაინცდამაინც საინტერესო უნდა იყოს.

— მე ყველაფერი ვიცი, ბიჭებისგან. შენ ის მითხარი, საიდან იცოდი, რომ ნორვეგიელები ეგრე გადაგვივლიდნენ.

— მარტო ნორვეგიელები არა. ნებისმიერი საშუალო გუნდი. თანაც მარტო ფეხბურთში არა. ნებისმიერ სახეობაში. სადაც გაგიხარდება, შინ და გარეთ...

იგივე გავიმეორე, ორიოდე წუთის წინ თვითონვე რომ თქვა, მაგრამ ჩემი ნათქვამი უფრო ემწარა თუ რა იყო, სიბრაზისგან ლოყები სულ დაუწითლდა. ერთხანს მიწას დაჰყურებდა, მერე თავი ასწია და მშვიდად იკითხა.

— აბა, რა უნდა ვქნათ?

— როცა ფეხბურთელი ვერ თამაშობს, ან სათადარიგო სკამზე სვამენ ან გუნდიდან უშვებენ; როცა გუნდი უფრო ხშირად აგებს, ვიდრე იგებს, მწვრთნელს დაემშვიდობებიან ხოლმე. როგორ ფიქრობ, როცა თითქმის ყველა სახეობაში ეგრეა საქმე, ვის უნდა დავუქნიოთ ხელი, საიდან უნდა დავიწყოთ გამომშვიდობება?

ეშმაკურად ამომხედა, კეპი მოიძრო და გადახოტრილ თავზე დაიტყაპუნა ხელი. იქ იქ სულ ზევით, სპორტის თავში რომ ზისო.

არა, მართლა ისე ჩაიყვანს წყაროზე თორმეტ ეშმაკს, ენას არ გაასველებინებს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

# ბექემი ჩემს ეზოში

**თბილისის** ერთ, ჩვეულებრივ ეზოში, ორ საცხოვრებელ კორპუსს შორის მიწის პატარა ნაკვეთია შემოღობილი და შიგ, აქეთ-იქით, საფეხბურთო კარების მაგვარი რაღაც დგას.

მერე რა?

იქ ბავშვები თამაშობენ. ზოგს ეხერხება ბურთის გორება, ზოგს არა, მაგრამ ყველა გატაცებით დარბის და „ქილკობს": ჯარიმა იყო, არ ითვლება...

დიდი ამბავი.

იმ საღამოს, დღის შუქი რომ შავდებოდა, ბავშვები არ ნებდებოდნენ: ექვსით ოთხია, ბიჭო. ცხრას ორი-სამი წუთი აკლდა. ვიფიქრე, აივანზე ერთ სიგარეტსაც მოვწევ და ტელევიზორს ჩავუჯდები, მეთქი. ჩქარა ვეწეოდი და ბავშვებს დავცქეროდი. გამიკვირდა, პადკატებსაც უკეთებდნენ ერთმანეთს.

მერე?

მერე ის, რომ სულ ფეხებზე ეკიდათ ცხრა საათი რომ სრულდებოდა და ქუჩის გადაღმა, სტადიონზე, მათი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოში ცნობილ ნორვეგიას ეთამაშებოდა. ფეხებზე ეკიდათ, რადგან ის, რასაც ბავშვები სტადიონზე უნდა წაეყვანა მკვდარია, სწორედ ნაკრებმა მოკლა. ბავშვებს მოუკლა.

არადა როგორ გინდა უფეხბურთოდ. როგორ გინდა არ დაიყვირო — გოლ!

კი მაგრამ, სად?

სად და ეზოში. აბა, შველის სათხოვნელად მკვლელთან ხომ არ წახვალ?

მერე — მე დევიდ ბექემი ვარ — დაიძახა ერთმა. ასე, შვიდი წლის იქნებოდა. იმედი მომეცა.

დევიდ. მგონი, შენ ჩემი ეზოს ბავშვები მკვლელისგან იხსენი.

**მიხეილ სურგულაძე**

# ხელი აიღე, ბიჭო!

**ის-ის** იყო, ნორვეგიის პირველმა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე ვარჯიში დაამთავრა და გვირაბისკენ გაემართა, ფეხბურთელებს დადარაჯებული და ჭრელი ქართული მასა შემოეხვია.

ვინ გინდა, რომ არ იყო ამ მასაში — ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, ავტოგრაფზე მონადირე ბიჭუნები, უბრალოდ, გულშემატკივრები, სხვებიც, ოღონდ ვინ, ვერ გეტყვით. მოკლედ, ძალიან ჭრელი მასა იყო.

ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა დიდსულოვნად არიგეს ღიმილი, ავტოგრაფები და ცალცალკე შეიმალნენ სტადიონის გვირაბში. იქ კი თურმე სრული უწესრიგობა და ქართველთათვის მეტად საჩოთირო სიტუაცია სუფევდა.

თუმცა რა თურმე, საკუთარი თვალით ვნახეთ ყველაფერი.

ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი მორიგეობით შემოეხვეოდა-ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე სკანდინაველ ფეხბურთელს და დამტვრეული ინგლისურითა და ბევრისმთქმელი ჟესტებით მაისურის გაძრობას სთხოვდა.

არ იძრობდნენ ვიკინგები. მეტიც, მათ არ ესმოდათ, რატომ და რა უნდა გაეძროთ ამ უცნობი ახალგაზრდების წინაშე.

ან გაეძროთ რა, ჩვენებიანთ მელანოს ორღობეში მიალაჯებდნენ?

ჰოდა, როცა ბოლო ვიკინგმა, სხვებთან შედარებით ტანად მომცრო, ერიკ მიუკლანდმაც ზურგი აქცია სუვენირებზე მონადირე ქართველ ბიჭებს, ერთიღა დასცდათ დანანებით — აფსუს, გერმანელები რას იხდიდნენ?! — ამ სიტყვებით ერთ-ერთმა ქართველმა კეფაში ხელი ჩასცხო ერიკ მიუკლანდს, რბილად, მაგრამ ჩასცხო.

მიუკლანდმა უმალ მოიხედა, საოცრად მეტყველი თვალებით მოიხედა. რა არ ჩანდა იქ — გაკვირვება, გაბრაზებაც... კიდევ ვერ გეტყვით რა, მაგრამ თავი უხერხულად ვიგრძენი.

მერე მიუკლანდის თვალებში პატიებაც გაკრთა და ფეხბურთელი გასახდელში შევიდა.

ქართველი ბიჭები კი გარეთ დარჩნენ.

თუმცა ისინი ისედაც გარეთ იყვნენ, უსაშველოდ გარეთ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



კახა კალაძემ (№2) ნორვეგიასთან ერთ-ერთი უარესი მატჩი ჩაატარა

# სწავლა უსწავლელთა

## ქართველ ფეხბურთელებს დაკარგული დრო დაადალატებთ

**ამას** წინათ ერთმა მოსწრებულად თქვა, ჩვენი მწვრთნელები რომ ჩივიან, ფეხბურთელები დავალებებს ვერ ასრულებენ, ეს იმას გავს, მამაჩემმა კოსოვოს პრობლემის გადაჭრა დამავალოს და, რომ ვერაფერს გავხდები, გულდაწყვეტილი დამირჩესო.

ზემოთქმული მწარე ხუმრობაა, მაგრამ რეალობაც.

ქართველ სპორტულ ჟურნალისტებს, იგივე ქართული ფეხბურთის ქომაგებს, გვიწევს იმის აღიარება, რომ ჩვენი ნაკრების, მთლიანად ჩვენი ფეხბურთის წარუმატებლობა მხოლოდ მწვრთნელთა სინდისზე არაა. ახლა ცხადია, რომ საქმეს ჩივაძის ყიფიანით, ყიფიანის გუცაევით, გუცაევის ძოძუაშვილით თუ ყიფიანითვე შეცვლა აღარ უშველის.

ნორვეგიელებთან, უარესიც — ლატვიელებთან ასე მწარე მარცხმა დაგვარწმუნა, რომ ქართველებს თამაში დაგვვიწყებია.

ერთმანეთს ბურთს ვერ ვაწვდით, კარში ვერ ვურტყამთ და, ცხადია, ვერც გაგვაქვს. ვერ ვიგერიებთ, ერთმანეთს ვერ ვაზღვევთ და ბურთს ჩვენს კარში იოლად ვუშვებთ.

ქართველ ფეხბურთელებს, მოძრაობა-გახსნაზე რომ არაფერი ვთქვათ, პასის კულტურაც აღარ აქვთ. პირველი, ბოლო, გრძელი, მოკლე, საშუალო — ყველანაირი პასი ქართველთათვის პრობლემად ქცეულა. რა პასის კულტურაზეა ლაპარაკი, როცა გელა შეყილაძემ ოთხშაბათს მარტივ სიტუაციაში ბურთი მშვიდად კი არ დაუბრუნა ნიკა ტოგონიძეს, ესროლა, კარში დაურტყა. კი, ბატონო, მეკარე არ დაიბნა და ბურთი აუტში მოიგერია, მაგრამ იქიდან პირველი გოლი მივიღეთ.

რაც ახლა ვთქვით, ცხადია, უპატიებელი შეცდომაა, საჯარიმოში, საკუთარ ნახევარზე მცველი არ უნდა შეცდეს, თორემ ხანდახან ბურთს იქნებ ვერ მისწვდეს და ასე რომ არ უნდა ხდებოდეს, გოლები არც გავიდოდა. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები დიდი წვალებით მოპოვებულ, ანაც მეტოქის ნაჩუქარ ბურთს იოლად კარგავენ? მიზეზი ხშირად ისევ უზუსტო პასი, ანაც თავის ზედმეტად გამოჩენის სურვილია. არადა, რომელი ქართველია ისეთი, ბურთის ფლობა მაქსიმალურად დაუკარგავად რომ შეეძლოს?

მარადონობას არც არავის ვთხოვთ, მაგრამ მიუკლანდობა კი უნდა შევძლოთ — ნორვეგიელმა თუ ისწავლა ფეხბურთის თამაში (და ხომ ნათელია რომ ისწავლა), ქართველებს რა ღმერთი გაგვიწყრა?

სწავლა მონდომებაზეა და კიდევ ნიჭზე ჰკიდია. რაც ჩვენს ფეხბურთელებს აკლიათ, სასწავლია. მაგრამ საქართველოს ნაკრების დღევანდელ თაობას, რომელიც უკვე გუშინდელად ქცეულა, სწავლა გაუჭირდება. გაუჭირდება კი არა, პირდაპირ ვთქვათ, ვერ შეძლებს. კაცმა შეიძლება იფიქროს, იმიტომ ვერ შეძლებს, რომ დიდი ნაწილი ევროპულ კლუბებში მოწყობილა და კარგი გასამრჯელო აქვს, ამით კმაყოფილი კი წინსვლაზე აღარ აიტკივებს თავსო. ზოგ შემთხვევაში ასეცაა, მაგრამ მონდომებაც რომ იყოს, ბევრი აღარაფერი გამოვა. ჩვენს ფეხბურთელებს დაკარგული, გაცდენილი დრო დაალალატებთ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

ფეხბურთის ისეთ ელემენტებს, როგორიც ბურთთან ურთიერთობაა, მიღება, დამუშავება და პასია, მოთამაშე 21 წლამდე უნდა დაეუფლოს. ამის მერე ფეხბურთელი პროფესიულ დონეზე იწყებს თამაშს, ან იქ, სადაც ანბანი კი არა, ფილოსოფია ისწავლება.

ერთი სიტყვით, პრობლემებს სანაკრებო დონეზე, ბავშვთა ფეხბურთამდე დავყავართ. ერთმა ღვთისნიერმა კაცმა, ვინც ჩვენი პირველი ჯგუფის გუნდს აფინანსებდა, საგაისოდ ამ საქმის გაგრძელება აღარ ისურვა. საკუთარ ქალაქებში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფუძნება გადაწყვიტა და საშემოდგომოდ სწორედ ამ სკოლის გასახსნელად ემზადება. მე რომ მკითხოთ, სწორზე სწორი, ბრძნული და, რაც მთავარია, კეთილშობილური არჩევანია. თუმცა მანამ, სანამ ახალი, ჯანსაღი თაობა გაიზრდება, ისეთი „ფანტიებიც" აუცილებლად გვჭირდებიან, პირველი ჯგუფის უმრავლესობის დაფინანსებით ფულს ქარს რომ ატანენ.

ჩვენი ნაკრების უვარგისობა ყველას ბრალია და მათ შორის ამ ბეჩავი ეროვნული ჩემპიონატისა, რომელიც კარგა ხანია, სალანძღავად ქცეულა.

ჩვენში თამაში ეგებ იციან, მაგრამ არ შეუძლიათ — აღარც ნაკრებს, აღარც კლუბებს, აღარც ბავშვებს. და ამას აღარ შველის ერთი, თუნდაც ძალიან კოხტა სტადიონის აგება ვაკეში, ასეულობით ყანადქცეული, ანაც მავანთა საცხოვრისად გახაზირებული სტადიონის სანაცვლოდ.

ჩვენ ფეხბურთზე სერიოზულად ვლაპარაკობდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით: ამ მწვრთნელს ის სჯობია, იმ ფეხბურთელს ესო. გვიანღა ვხვდებით, რომ საქმე სხვაგვარადაა. არა, მჯობნის მჯობნს რა დალევს, მაგრამ ქვეყნის სასახელო დონეზე ეს მჯობნი ვისი მჯობნია?

საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ვლადიმერ გუცაევმა წასვლა თავად ისურვა და კალთებიც არავის დაუხევია. იუარეს რეფორმატორი, რომელმაც ბოლო მომენტში თავადაც უგანა რეფორმას. ეტყობა, ბევრს შეჩვეული ჭირი ურჩევნია უჩვევს.

გუცაევი წავიდა და ახლა მის ტაქტიკურ შეცდომებზე ლაპარაკს, რომელიც ყველა მატჩში ჰქონდა, აზრი აღარ აქვს. მითუმეტეს, წასული მწვრთნელისთვის ქოქოლა არასდროს მიგვიყოლებია...

დაფიქრება გვმართებს ჩვენ, თქვენ, პირველ რიგში ფედერაციას, რით შევეშველოთ ქართულ ფეხბურთს. უშველებელი ჩვენს მტერს დაემართოს, ეგაა, შველას დიდი დრო დასჭირდება. სამწუხაროდ, ამასაც უნდა შევეგუოთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ბადრი ქეთილაძის ფოტო



ამჯერად გელა შეყილაძე (№4) და მოედანზე მდგომ პეტერ რუდის დაეჭაგვრინა

# ვაცალოთ, ბატონო, ამ RONALDO-ს

**ბრაზილიის** ეროვნული ნაკრების თავკაცმა, ვანდერლეი ლუქსემბურგომ რონალდოს ახალი, ზღაპრული ერა უწინასწარმეტყველა. კატალონიის დედაქალაქში გამართულ ამხანაგურ მატჩში, რომელიც „ბარსელონას" საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა მართლაც დიდებულად ითამაშა — ერთი გოლი თავად გაუტანა თავის ყოფილ კლუბს, მეორე კი რივალდომ მისი პასის შემდეგ შეაგდო. და საერთოდ, „ბარსელონასა" და ბრაზილიის ნაკრების შეხვედრაში რონალდო ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

ბრაზილიელი ვარსკვლავის ქრობაზე 1998 წლის 12 ივლისის შემდეგ ალაპარაკდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რონალდომ ძალიან ცუდად ითამაშა, ისევე, როგორც მთლიანად გუნდმა. მერე გაირკვა, ფინალის დღეს, დილით, „ფენომენი" ცუდად გახდა და საავადმყოფოში იყოო. ეს ამბავი ნაწილმა ირწმუნა, ზოგიერთს კი დღესაც არ სჯერა.

რონალდოს კრიზისი ამით არ დასრულებულა. საფრანგეთი 98-ის შემდგომი ხანგრძლივი შვებულების შემდეგ, რომელიც ფეხბურთელმა თავის მომხიბლავ შეყვარებულ სუზანა ვერნერთან ერთად გაატარა, იგი მილანში დაბრუნდა და გაირკვა, რომ ორივე ფეხის მუხლი მძიმედ აქვს დაზიანებული. სეზონის საწყისი ეტაპი „ინტერმა" მის გარეშე ჩაატარა. ფეხბურთისგან ჩამოშორებულმა რონალდომ ბიზნესს მიჰყო ხელი — რიო დე ჟანეიროსა და მილანში რესტორნების და ბარების ქსელი გახსნა. ამავდროულად, „ინტერის" აქციათა საკმაოდ მოზრდილი პაკეტი შეიძინა და ხალხმაც თქვა — მორჩა, ყმაწვილი რონალდინიო ფულმა გააფუჭა...

ხალხი ბრბოაო, ოდესღაც ვიღაცას უთქვამს. ამ შემთხვევაში ეს ჭეშმარიტება გახლავთ, რონალდო არაფერს არ გაუფუჭებია — იგი დაიღალა, ფიზიკურადაც და სულიერედაც. მალე ეს ბიჭი ძველი რონალდო იქნება, ამის ლუქსემბურგოსაც სწამს და ჩვენც გვჯერა.

სიტყვების ჰაერზე სროლა რომ არ გამოგვივიდეს, დავამტკიცოთ ჩვენი ვარაუდის მართებულობა. ლუის ნაზარიო დე ლიმა, იგივე რონალდო, პირველად ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში" გამოჩნდა. გამოჩნდა და მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა. ჰოლანდიის ჩემპიონატში იგი უდავოდ გამორჩეული ფიგურა გახდა, ყველაზე მეტი გოლიც გაიტანა და საბოლოოდ „ბარსელონაში" აღმოჩნდა. 1996 წელი იყო, რონალდო სულ რაღაც 18 წლის გახლდათ.



რონალდოს გარღვევა მართლაც ლამაზი სანახავია

კატალონიაში მან მეფური სეზონი ჩაატარა. პრიმერა დივიზიონში 34 გოლით ბომბარდირი გახდა და ის, რომ „ბარსელონა" ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, თასების მფლობელთა თასს, ესპანეთის თასს, სუპერთასს დაეუფლა, რონალდოს უდიდესი დამსახურებაა.

მერე „ინტერში" გადავიდა. მილანური კლუბი სერია A-ში მეორე ადგილზე გავიდა, თავად ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ოლივერ ბირჰოფს ჩამორჩა (რამდენიმე მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა), ხოლო სეზონის ბოლოს უეფას თასის ფინალში გაიბრწყინა — „ლაციოს" ერთი თავად გაუტანა და საერთოდ, საუკეთესო იყო. მიმდინარე სეზონში მან თითებზე ჩამოსათვლელ შეხვედრებში ითამაშა და თითქმის ყველაში, მიუხედავად ტრავმისა და ფორმაში არყოფნისა, გოლი გაიტანა. ამასთან ერთად, 22 წლის რონალდო უკვე მსოფლიო ფეხბურთის გრანდის, მილანის „ინტერის" კაპიტანია.

არ არის საკმარისი? კი ბატონო, მაშინ ნაკრებზეც ვთქვათ.

1994 წელს 17 წლის რონალდო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამერიკის სტადიონებზე საერთოდ არ გამოჩენილა, მაგრამ მაინც. იქიდან მოყოლებული, პლანეტის ოთხგზის ჩემპიონის, ბრაზილიის ეროვნული გუნდის ლიდერად იქცა. მთელი ოთხი წლის განმავლობაში რონალდოს ერთი მატჩი რაა, ისიც არ უთამაშია ნაკრებში საშუალო დონეზე — მუდამ შესანიშნავი იყო — თავადაც გაჰქონდა, სხვასაც ატანინებდა და ხალხს სილამაზეს, სიხარულს ჩუქნიდა.

ყმაწვილი კაცი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის ყველა თვისებით იყო და არის დაჯილდოებული — ძალიან, ძალიან სწრაფია, აქვს უზადო ტექნიკა, უსწრაფესად აზროვნებს, ფლობს გოლის გატანის იდეალურ ალღოს. ამასთან, შესანიშნავია ოდნავ უკან დახეულიც გამთამაშებლად. რამდენჯერ გაუტანიათ თანაგუნდელებს მისი პასებით? ვერავინ მოთვლის. ესეც მისი საფეხბურთო ინტელექტის კიდევ ერთი ნიშანი.

მაშ, ასე, მივადექით შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს: სანამ ამ ტურნირზე რონალდოს გამოსვლაზე ვიტყოდეთ, ზემოხსენებული მოკლედ შევაჯამოთ. 1994 წლიდან 1998-ის ჩათვლით, სადაც კი მივიდა, რონალდომ ყველგან არნახულად დაიქუხა, ყველგან ტრიუმფატორი იყო. ხალხი (რომელიც ხანდახან ბრბოა) მიეჩვია, რომ მან სასწაულები უნდა აკეთოს, რომ მას არა აქვს წამით მოდუნების, ცუდი პასის გაკეთების, გოლის არგატანის უფლება, რომ მან ყოველთვის ყველას უნდა აჯობოს. ის კი ავიწყდებათ, 1996, 97 წლების მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე მუდამ რომ ვერ იქნება უძლიერესი — არადა, ეს ხომ დღესავით ნათელია. ხალხი კერპისგან სულ კარგს ითხოვს, მაგრამ არ ახსოვს და არც უნდა, რომ ახსოვდეს — ყველაფერი ეს რონალდომ ბავშვობისას ჩაიდინა. იმ დროს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჩამოუყალიბებელმა. და განა ადვილია, ამდენ დატვირთვას, ემოციას, თუნდაც სახალხო სიყვარულს გაუძლოს ახალგაზრდა კაცმა? ნამდვილად არა.

საფრანგეთი 98-ზე ბრაზილიის ნაკრები ფინალამდე მივიდა და იქ სამარცხვინოდ წააგო. სრულიად ბრაზილიის საუბედუროდ, ზემოხსენებულმა დატვირთვებმა 12 ივლისს იჩინა თავი. რონალდომ, რომელიც გადამწვეტ მატჩამდე გუნდში საუკეთესო იყო, ველარ გაძლო.

პირადად ჩემი აზრით, მე-20 საუკუნის ბოლოს მსოფლიოს პირველობას ერთი საუკეთესო ფეხბურთელი არ ჰყოლია. ასეთი სამი იყო — ზიდანი, ტურამი და რონალდო.

მას მერე დაახლოებით 9 თვე გავიდა. 9 თვე რონალდოს ლანძღვისა. კი, ფორვარდს ამ პერიოდში არნახული ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ მას რატომღაც არ აცალეს, არ აპატიეს. ვის არ ჰქონია მძიმე დროება — პელეს, მარადონას, კრუიფს, სხვებსაც. თუმცა ასეთი კრიტიკული განწყობა მათ მიმართ არასდროს ყოფილა. გადამეტებული რეკლამის ბრალია? არ არის გამორიცხული, მაგრამ ზღვარგადასული არაფერი ვარგა.

კარგია მუდამ მტრიანიო. ჰოდა, რონალდოს ქომაგებსაც ამით შეუძლიათ თავი დაიმშვიდონ. ის კიდევ იტყვის თავისას.

...ვანდერლეი ლუქსემბურგომ „ბარსელონა" — ბრაზილიის შემდეგ თქვა:

— დღეს რონალდო შეუდარებლად კარგი იყო. იგი ნელ-ნელა იბრუნებს ძველ ფორმას, რაც ძალიან მახარებს. რამდენი ხანია, ნაკრებში არ უთამაშია და დაბრუნება ბრწყინვალედ აღნიშნა. მომავალში იგი გუნდის უცვლელი წევრი იქნება, ბრაზილიის ნაკრებს მის გარშემო ავაშენებთ.

ლუის ენრიკე, „ბარსელონას" და ესპანეთის ეროვნული გუნდის წამყვანი ნახევარმცველი, რონალდოს ყოფილი თანაკლუბელი:

— იგი კვლავაც საუკეთესოა. მჯერა, ტრავმები აღარ შეაწუხებს და ამიერიდან ძველებურად ჩინებული იქნება. ქომაგს მოენატრა რონალდო მთელი თავისი ბრწყინვალებით.

მიხაელ რაიციგერი, „ბარსელონას" და ჰოლანდიის ნაკრების მარჯვენა მცველი:

— მისი შეჩერება ურთულესი საქმე გახლავთ, ამის პირადი გამოცდილება მაქვს. დღესაც ასე იყო, რონალდომ ნერვები დამაწვყიტა, ხოლო მისი გოლი, უბრალოდ, ფანტასტიკური იყო.

P.S. მსოფლიოში ფეხბურთის დონე საოცრად გათანაბრდა. ამან ვარსკვლავების, გამორჩეულად კარგი მოთამაშეების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. დღეს ბევრი ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ უმეტესობა ერთფეროვანი, დაშტამპული, მწვრთნელების მიერ შედგენილი სქემების ჩარჩოებში მოქცეულია. ფეხბურთმა სილამაზე დაკარგა, გაუფერულდა. ფეხბურთელები იმპროვიზირებას ველარ ბედავენ.

ამიტომ, მოდით, ვაცალოთ რონალდოს.

**დავით ძოწენიძე**

# გაზა არაა ლოთი

— **გაზა** არ არის ლოთი. იგი დღესაც ჩვეულებრივად ვარჯიშობს და რომ ამბობენ გალოთდაო, ჭორია — „მიდლსბროს" მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა უარყო ხმები, თითქოსდა საქვეყნოდ ცნობილმა ფეხბურთელმა კვლავ აურია.

პრემიერლიგაში პოლ გესქოინს აგერ სამი ტურია, არ უთამაშია. გაცდენილი პერიოდი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა გულშემატკივრებს ათასი რამ ეფიქრათ და მერე მეგობართათვის გაეზიარებინათ. განა ბევრი რამაა საჭირო მითქმა-მოთქმის დასაწყებად? ჰოდა, გაზას კვლავ გალოთების ამბავიც ქვეყანას მოედო.

კვლავ ბრაიან რობსონი:

— ვერ გამიგია, გაზას მტრები ჰყავს,



ბრაიან რობსონი

თუ რა ხდება? გესქოინი ძლიერი ფეხბურთელია და მისი ცხოვრების ის ავბედითი ნაწილი, რომლის შესახებაც მთელი ინგლისი ბჭობდა, უკვე დასრულდა.

გაზამ რამდენიმე ხნის წინ „ქოვენთრისთან" 1:2 წაგებული მატჩში ტრავმა მიიღო და მკურნალობდა, თუმცა ასე რატომ გაჭიანურდა მისი დაბრუნება, ვერავის გაუგია. რობსონი გესქოინს დღესაც, „ნიუკასლთან" მატჩში, აპირებდა გესქოინის შემადგენლობაში დაყენებას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ასე არ მოხდება.

მთავარი მაინც ისაა, რომ ინგლისელთა კერპი არ გალოთებულა.

# ეს უცნაური, ყოჩაღი ნანტი

„**ნანტმა**" ერთხელაც დაამტკიცა, რომ თვითაღდგენის საგანგებო უნარი აქვს — უმაღლეს დონეზე პირველად მოთამაშე ახალგაზრდათა გუნდმა საფრანგეთის თასის ფინალს მიაღწია.

დასავლეთ სანაპიროს წარმომადგენელმა ნახევარფინალში „ნიმს" 1:0 მოუგო და ახლა, 15 მაისს, „სტად დე ფრანსზე" გადამწყვეტ შეხვედრაში მეორე დივიზიონის „სედანს" უნდა დაუპირისპირდეს.

„ნიმთან" შეხვედრაში „ნანტმა" მოედანზე ათი ისეთი მოთამაშე გაიყვანა, სულ ახლახანს, 1996 წელს. ახალგაზრდულ გუნდში რომ გამოდიოდნენ.

„რამდენი ფეხბურთელია ამქვეყნად, კარიერაში ფინალს რომ ვერ ღირსებია და პირველივე სეზონში ფინალში გასვლა, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა ბედნიერებაა" — ამბობს ნანტელთა 20 წლის მეკარე და ფრანგ კაპიტანთა შორის ყველაზე ახალგაზრდა მიკაელ ლანდრო.

პატრიკ სიუფო, მიკაელ ლანდრო, ოლივიე მონტერუბიო და სებასტიან პიოსელი სამი წლის წინ გამბარელას (ახალგაზრდა ფრანგთა პრესტიჟული შეჯიბრებაა) თაისის ფინალში თამაშოდნენ „პარკ დე პრენსზე". ამ ჭაბუკებს ზურგს ვეტერანი მცველები ნესტორ ფაბრი და ერიკ დეკრუა უმაგრებენ. დეკრუა ერთადერთი ფეხბურთელია 1995 წლის ჩემპიონი შემადგენლობიდან რომ შემორჩა გუნდს. ის შემადგელობა, მერე, ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა.

ფინანსურად გაჭირვებულმა „ნანტმა" მდგომარეობის გამოსასწორებლად, ათ წელიწადში აგერ უკვე მეორედ გამოძერწა ძლიერი გუნდი. მისი აღზრდილები გახლავან მსოფლიოს ჩემპიონი ვარსკვლავები, მარსელ დესაი და დიდიე დეშამპი, ხოლო 1995 წელს იქ თამაშობდნენ სხვა ცნობილი ფეხბურთელები: კრისტიან კარემბუ, პატრის ლოკო, ნიკოლა უედეკი, რეინოლდ პედროსი და ბენუა კოე.

„ნანტი" ხშირად მიმართავს არგენტინულ ბაზარს. გასულ წელიწადს მან „ბოკა ხუნიორსისგან" მან 31 წლის მცველი, ფაბრი შეიძინა. სხვათაშორის ფაბრი ჯერ კიდევ 20 წლის იყო და „რასინგში" თამაშობდა, როდესაც სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელი გახდა.

ახლა, საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე „ნანტი" ცხრილში მეშვიდეა და ალბათ გააუმჯობესებს კიდეც გასული სეზონის შედეგს, მე-11 ადგილს, რაც 1991 წლის მერე გუნდისთვის უარესი მაჩვენებელი გახლდათ.

**რექს გოუარი, როიტერი**

# ტიპიური, სოციალისტური

**ფიფამ** კატეგორიულად განაცხადა, თუ უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ატილა კოვაჩს თანამდებობაზე არ აღადგენთ, მთელს ქვეყანას საფეხბურთო სამყაროდან მოვკვეთავო.

ფიფას მუქარა ყურად უნგრეთის ხელისუფლებამ უნდა იღოს. კერძოდ, სპორტის მინისტრი, ტამაშ დოიჩია ადრესატი. მან 4 თებერვალს ცუდი ხელმძღვანელობის მოტივით ატოლა კოვაჩი სავარძლიდან გააგდო და მთელი მისი (ფეხბურთის ასოციაციის) აღმასრულებელი კომიტეტი კუდში მიაყოლა.

ნუ იფიქრებთ, თითქოს დოიჩის გადაწყვეტილება თვითნებური ყოფილიყო. კოვაჩის თანამდებობიდან გაგდებამდე სახელმწიფომ ორი გვარიანი გამოძიება ჩაატარა, მაგრამ ფიფა შეუვალია. ის თავის სტრუქტურაში ხელის ფათურის ნებას არავის რთავს.

მერამდენე ნასოციალისტარი ქვეყანაა უნგრეთი, რომელშიც ტიპიური, სამინისტრო ფედერაციის წინაამდეგ, ისტორია დატრიალდა, უკვე ველარავინ მოთვლის.

## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# XXI საუკუნეში

რობორი იქნება ფეხბურთი 21-ე საუკუნეში? ალბათ, დღევანდელისგან არც ძალიან განსხვავებული, მიუხედავად იმისა, რომ ფიფას ძალიან უნდა ზოგიერთი წესის შეცვლა და არაა გამორიცხული, ასეც მოიქცეს.

მსოფლიოს მომავალი ახალგაზრდული ჩემპიონატი ამ ათასწლეულში აღარ ჩატარდება, 2001 წელს კი ფიფას რჩეული რომელიმე ქვეყანა 21-ე საუკუნის პირველ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.

„ეს ბიჭები ფეხბურთის მომავალს შექმნიან. 21-ე საუკუნის ფეხბურთი მათია" — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის დახურვის დღეს.

მართალია მსოფლიოს ფეხბურთის მამა — მალე ეს პირტიტველა ბიჭები დაიზრდებიან და იქნებ მსოფლიოს ფეხბურთის უკიდეგანო სივრცეში თავიანთი სიტყვაც თქვან.

ვნახოთ.

...ფიფამ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი აგერ უკვე 12-ჯერ ჩაატარა. ამ შეჯიბრების თითქმის მეოთხედსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ ტურნირიდან ბევრმა ახლა ცნობილმა მოთამაშემ შეაბიჯა დიდ ფეხბურთში

...ვან ბასტენი, რობერტო კარლოსი, რამონ დიასი, კლაუდიო ტაფარელი, რაული, ანდრეას მიოლერი და, რა თქმა უნდა, დიეგო არმანდო მარადონა...

ნიჭიერი ფეხბურთელები იყვნენ და იქნებიან.

**ლაშა გოდუაძე**

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3-24 April 1999



მომავლის ვარსკვლავები

Malaysia'97
IX FIFA/Coca-Cola
World Youth
Championship
Technical Report



# ფიფა — კოკა-კოლას მსოფლიოს IX ახალგაზრდული ჩემპიონატი

### A ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.06.97 | შაჰ ალამი | მალაიზია — მაროკო | 1:3 |
| 17.06.97 | შაჰ ალამი | ურუგვაი — ბელგია | 3:0 |
| 19.06.97 | შაჰ ალამი | მაროკო — ბელგია | 1:1 |
| 19.06.97 | შაჰ ალამი | მალაიზია — ურუგვაი | 1:3 |
| 22.06.97 | შაჰ ალამი | მალაიზია — ბელგია | 0:3 |
| 22.06.97 | შაჰ ალამი | მაროკო — ურუგვაი | 0:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| მაროკო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მალაიზია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

### B ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.06.97 | კუჩინი | კორეა — ს. აფრიკა | 0:0 |
| 17.06.97 | კუჩინი | საფრანგეთი — ბრაზილია | 0:3 |
| 19.06.97 | კუჩინი | კორეა — საფრანგეთი | 2:4 |
| 19.06.97 | კუჩინი | ს. აფრიკა — ბრაზილია | 0:2 |
| 22.06.97 | კუჩინი | კორეა — ბრაზილია | 3:10 |
| 22.06.97 | კუჩინი | ს. აფრიკა — საფრანგეთი | 2:4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 15:3 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| ს. აფრიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| კორეა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:14 | 1 |

### C ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.06.97 | ალორ სეტარი | განა — ირლანდია | 2:1 |
| 17.06.97 | ალორ სეტარი | ჩინეთი — აშშ | 0:1 |
| 19.06.97 | ალორ სეტარი | განა — ჩინეთი | 1:1 |
| 19.06.97 | ალორ სეტარი | ირლანდია — აშშ | 2:1 |
| 22.06.97 | ალორ სეტარი | განა — აშშ | 1:0 |
| 22.06.97 | ალორ სეტარი | ირლანდია — ჩინეთი | 1:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

### D ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.06.97 | კუანტანი | იაპონია — ესპანეთი | 1:2 |
| 18.06.97 | კუანტანი | კოსტა რიკა — პარაგვაი | 1:1 |
| 20.06.97 | კუანტანი | იაპონია — კოსტა რიკა | 6:2 |
| 20.06.97 | კუანტანი | ესპანეთი — პარაგვაი | 2:1 |
| 23.06.97 | კუანტანი | იაპონია — პარაგვაი | 3:3 |
| 23.06.97 | კუანტანი | ესპანეთი — კოსტა რიკა | 4:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| იაპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 10:5 | 4 |
| პარაგვაი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| კოსტა რიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | 1 |

### E ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.06.97 | კანგარი | ავსტრალია — კანადა | 0:0 |
| 18.06.97 | კანგარი | უნგრეთი — არგენტინა | 0:3 |
| 20.06.97 | კანგარი | უნგრეთი — ავსტრალია | 0:1 |
| 20.06.97 | კანგარი | არგენტინა — კანადა | 2:1 |
| 23.06.97 | კანგარი | უნგრეთი — კანადა | 1:2 |
| 23.06.97 | კანგარი | არგენტინა — ავსტრალია | 3:4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| კანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### F ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.06.97 | იპურ ბარუ | მექსიკა — საამიროები | 5:0 |
| 18.06.97 | იპურ ბარუ | კოტ დივუარი — ინგლისი | 1:2 |
| 20.06.97 | იპურ ბარუ | მექსიკა — კოტ დივუარი | 1:1 |
| 20.06.97 | იპურ ბარუ | საამიროები — ინგლისი | 0:5 |
| 23.06.97 | იპურ ბარუ | მექსიკა — ინგლისი | 0:1 |
| 23.06.97 | იპურ ბარუ | საამიროები — კოტ დივუარი | 2:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 |
| საამიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 2:10 | 3 |
| კოტ დივუარი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.06.97 | კუჩინი | ბრაზილია — ბელგია | 10:0 |
| 25.06.97 | შაჰ ალამი | ურუგვაი — აშშ | 3:0 |
| 25.06.97 | კუჩინი | მექსიკა — საფრანგეთი | 0:1 |
| 25.06.97 | შაჰ ალამი | ირლანდია — მაროკო | 2:1 |
| 26.06.97 | კანგარი | ავსტრალია — იაპონია | 0:1 |
| 26.06.97 | იპურ ბარუ | ინგლისი — არგენტინა | 1:2 |
| 26.06.97 | კუანტანი | ესპანეთი — კანადა | 2:0 |
| 26.06.97 | ალორ სეტარი | განა — საამიროები | 3:0 |

### მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.06.97 | შაჰ ალამი | ურუგვაი — საფრანგეთი | 1:1 (პენ. 7:6) |
| 29.06.97 | კუჩინი | არგენტინა — ბრაზილია | 2:0 |
| 29.06.97 | შაჰ ალამი | ესპანეთი — ირლანდია | 0:1 |
| 29.06.97 | იპურ ბარუ | იაპონია — განა | 1:2 |

### ნახევარფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.07.97 | კუჩინი | ირლანდია — არგენტინა | 0:1 |
| 02.07.97 | შაჰ ალამი | ურუგვაი — განა | 3:2 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.07.97 | შაჰ ალამი | განა — ირლანდია | 1:2 |

### ფინალი. 05. 07. 97. შაჰ ალამი. 62. 000 მაყურებელი

**არგენტინა 2:1 ურუგვაი**

0:1 გარსია პერესი (15), 1:1 კამბიასო (25), 2:1 კუინტანა (42)
არგენტინა: ფრანკო, კუფრე, სამუელი, სერისუელა, კამბიასო, კუინტანა (იმარი 54), რიკელმე, რომეო (პერესლინდო 77), კუბეროს, ლასკანტე, სკალონი (როდრიგესი 83)
ურუგვაი: მუნუა, ვერა, პერეა, ბერისპა, რივასი, დიასი, გარსია პერესი, პელეგრინი (რეხუერო 79), კალეხასი (ლოპეს მორა 56), კოელიო, ზალაიეტა, ოლივერა, მელონიო (კარტაგენა 67)
მსაჯი: მანე (ქუვეითი)

*საუკეთესო მოთამაშე:* ნიკოლას ოლივერა (ურუგვაი); *ბომბარდირი:* ალაილტონი (ბრაზილია) — 10 გოლი

## ფეხბურთის რუკასთან



ჩრდილოეთ ირლანდიის თასის ფინალი არ ჩატარდა და ფინალის გაუთამაშებლად ჯილდო „პორტდაუნს" მიენიჭა. ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, „პორტდაუნის" დაპირისპირება „კლიფტონვილთან" იმიტომ გაუქმდა, რომ ამ უკანასკნელს თასის გათამაშების ნახევარფინალში, „ლინფილდთან" განმეორებით მატჩში ისეთი ფეხბურთელი უთამაშებია, რომელსაც მოედანზე გამოჩენის უფლება არ ჰქონდა. ნახევარფინალში „ლინფილდთან" საპასუხო შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიის შარშანდელმა ჩემპიონმა „კლიფტონვილმა" თავდამსხმელი საიმონ გრიბონი შეუშვა მინდორზე, რომელსაც მანამდე ახალგაზრდათა შეჯიბრებაზე ესპარეზა და თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. „ლინფილდის" წარმომადგენლებმა კლიფტონვილელთა ხრიკების შესახებ მოგვიანებით გაიგეს და პირდაპირ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას მიმართეს, „ლინფილდის" ნაბიჯმა კი „კლიფტონვილის" ხელმძღვანელობა ალაშფოთა. „კლიფტონვილის" ყოფილმა თავმჯდომარე ჯიმ ბოსმა განაცხადა, ლინფილდელთა საქციელი არაკაცურიაო. ყველა შემთხვევაში, ახლა ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ „პორტდაუნი" ქვეყნის თასს დაეუფლა და შესაბამისად, უეფას თასის საგზური მოიპოვა.

**გერმანიის ნაკრებს ბოლო ამხანაგურ, შოტლანდიელებთან 0:1 წაგებულ მატჩში მიუნხენის „ბაიერნის" მცველი ტომას შტრუნცი დაუშავდა. ბრემენში თამაშისას, თამაშეღებილი შტრუნცი ერთ-ერთ სქოთ მეტოქეს უხეშად ეთამაშა და ბარძაყის კუნთი დაიზიანა. „შტრუნცის არყოფნა ჩვენთვის საგრძნობი დანაკლისია, თუმცა ვეცდებით, სხვა გზა გამოვნახოთ. ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე თითქმის თვეა, იმედია, ტომასი მანამდე მომჯობინდება და გუნდში ჩვეულ ადგილს დაიკავებს" — განაცხადა „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა. კლუბის ექიმების დასკვნით, ტრუნცი დაახლოებით ორი კვირა ველარ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი 26 მაისსაა და გადამწყვეტ მატჩში „ბაიერნი" ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს" დაუპირისპირდება.**

დანიის ნაკრების თავდამსხმელი ებე სანდი გაისად გერმანიაში გააგრძელებს კარიერას. „ბრონდბიუს" თავდამსხმელმა, რომელმაც დანიის მიმდინარე ჩემპიონატში 14 გოლი გაიტანა, ბუნდესლიგის, კერძოდ კი გელზენკირხენის „შალკესთან" წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და მალე კონტრაქტსაც გააფორმებს. დანიური კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, სანდის თაობაზე გერმანელები თავად ესტუმრნენ „ბრონდბიუს" და როგორც კლუბს, ასევე ფეხბურთელსაც ესაუბრნენ. იან კალაფსენის, „ბრონდბიუს" პრესატაშეს განცხადებით, სანდის ტრანსფერი სავარაუდოდ მაისის მიწურულს შედგება, ხოლო თავად ფეხბურთელი გერმანელებს 1 ივლისიდან შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ ებე სანდი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და მერვედფინალში შეცვლაზე შესულმა ნიგერიელებს გოლიც გაუტანა.

**გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ნახევარმცველმა ტომას ჰესლერმა დორტმუნდის „ბორუსიის" დატოვება და სხვა კლუბში გადაბარგება ითხოვა. მიმდინარე ჩემპიონატის წინ ტომას ჰესლერი, რომელსაც 1990 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის პირველობები მოუგია, „კარლსრუედან" დორტმუნდში გადავიდა, თუმცა „ბორუსიაში" ტრავმებმა დატანჯა და თავისი შესაძლებლობები თითქმის ვერ გამოავლინა. „ვესაუბრე „მიუნხენ 1860"-ის პრეზიდენტს და შევთანხმდით, რომ ტომასი მომავალ სეზონში მათთან გადავა"— განაცხადა „ბორუსიას" პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა. 32 წლის ჰესლერს დორტმუნდელებთან კონტრაქტი 2002 წლამდე ჰქონდა. თუმცა, ნიბაუმის თქმით, მას მიუნხენ 1860-ში თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვებენ. მიუნხენური კლუბის მწვრთნელმა ვერნერ ლორანტმა თქვა, რომ ჰესლერს მის გუნდში ადგილი განაღდებული ექნება.**

შვედი თავდამსხმელი იორგენ პეტერსონი შესაძლოა იტალიურ ლიგაში წავიდეს სათამაშოდ. მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ფორვარდს მიაჩნია, რომ იტალიის ჩემპიონატი უძლიერესია და მას აპენინებზე თამაში დიდ პატივად მიაჩნია. პეტერსონს სერია ი-ს კლუბი „ტორინო" ეპატიჟება. შვედეთის გაზეთ „ექსპერიმენტის" თქმით, 23 წლის ფეხბურთელით, იტალიელები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც კლუბის წარმომადგენლებმა ფეხბურთელი საქმეში იხილეს. თუ პეტერსონი „ტორინოში" გადავიდა, იგი ამ, ერთ დროს უძლიერესი კლუბის მესამე შვედი ლეგიონერი იქნება — „ტორინოს" ღირსებას უკვე იცავენ ერიკ ელმანი და მარკუს ლანცი. სხვათა შორის, პეტერსონს „ტორინოს" გარდა ორი ესპანური კლუბი — „ესპანიოლი" და „ოვიედოც" იწვევდა.

**ესპანეთის სუპერთასის მფლობელ „მალიორკას" თავდამსხმელი ველიკო პაუნოვიჩი სეზონის დასრულებისთანავე თავის „ატლეტიკოს" დაუბრუნდება. პაუნოვიჩი მადრიდელებმა სეზონის დაწყებამდე ერთი წლით გაანათხოვრეს „მალიორკაში", თუმცა იმდენად მოიხიბლნენ იუგოსლავიელი ფეხბურთელის თამაშით, რომ მისი უკან დაბრუნება გადაწყვიტეს. „ჩვენ ის გვჭირდება" — განაცხადა მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა.**

ესპანელმა მეკარემ, მადრიდის „ატლეტიკოს" კარის დარაჯმა ფრანსისკო მოლინამ განაცხადა, რომ მზად არის მიიღოს წინადადებები სხვადასხვა კლუბებიდან. „ყოველთვის ვიძახდი და ახლაც ვამბობ — მადრიდში თავს მშვენივრად ვგრძნობ, თუმცა ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ მთელ ჩემს კარიერას „ატლეტიკოში" გავატარებ. საინტერესო შემოთავაზებას ყოველთვის ყურადღებით მოვეკიდები"— თქვა მოლინამ, რომელიც 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე იმყოფებოდა ესპანეთის ეროვნულ გუნდთან ერთად. თავის მხრივ, დედაქალაქური კლუბიც არ არის მოლინას გაშვების წინააღმდეგი და მის სანაცვლოდ მილიარდ პესეტას, ანუ 6,4 მილიონ დოლარს ითხოვს. ჯერჯერობით მოლინას ყიდვის სურვილი მხოლოდ ინგლისურმა „ლივერპულმა" გამოთქვა.

**შვედეთში თასის ნახევარფინალური მატჩი გაიმართა, რომელშიც აიკმა „ჰელსინგბორგს" სძლია 2:1.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20




კრისტოფ დიუგარი

# მუშტი და სასჯელი

უეფას პრესმდივანმა, მასიმო გონელამ სადისციპლინო კომიტეტის სხდომის შემდეგ საზოგადოებრიობას აცნობა: იტალიური გუნდი „ბოლონია" დაჯარიმდა 150 ათასი შვეიცარიული ფრანკით (99 ათასი დოლარი), ხოლო ფრანგული „მარსელი" 125 ათასი შვეიცარიული ფრანკით (82500 დოლარი). გარდა ამისა, „მარსელის" მწვრთნელს, როლან კურბისს მიესაჯა 5 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა (3300 დოლარი), ხოლო მის ვაჟს, სტეფანს, რომელიც კლუბში წვრილმან თანამდებობაზეა, ერთი წლის განმავლობაში უეფას ეგიდით ჩატარებულ შეხვედრებთან შეხება ვერ ექნება. უნდა ზღონ ფეხბურთელებმაც: ფრანგები, კრისტოფ დიუგარი და სათადარიგო ამადა ჟამბეი ხუთ და ოთხ თამაშიან დისკვალიფიკაციას მოიხდიან, ხოლო იტალიელები, ამადეო მანგონე, ჯანკარლო მაროკი და ჯამპიერო მაინი, ხუთ, ოთხ და სამმატჩიანს.

მიზეზი: ამ გუნდების უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ (1:1), ბოლონიის სტადიონზე დიდი ჩხუბი ატყდა. იჩხუბეს თავად ფეხბურთელებმა. მასშტაბური აყალმაყალის ნათელ სურათს ვინ დახატავს, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელია, დადგინდა, რომ გასახდელებისკენ მიმავალ გზაზე ბოლონიელმა მანგონემ ერთ-ერთ მარსელელს ხელი გაარტყა, რამაც ექვსშვიდ კაციანი მუშტის ქნევა გამოიწვია. ასეთი სცენის დანახვამ როლან კურბისის ვაჟს, სტეფანს გონება გადაუტრიალა და იგიც ვაჟკაცურად შეიჭრა წრეში, ჯიქურ მიიჭრა და მაინის ისეთი უთავაზა, რომ იტალიელი, მერე, თვალჩალურჯებული დადიოდა.

გარდა ამისა, ბოლონიელმა მაყურებელმა ტრიბუნიდან მრავლად ისროლა აალებული მაშხალა და ფორთოხალი, ხოლო მოედნიდან ფრანგმა ფეხბურთელებმა ბილწსიტყვაობით უპასუხეს.

ვერდიქტი, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, საბოლოო მაინც არ გახლავთ. როგორც „ბოლონიას", ასევე „მარსელს" 2 მაისამდე აქვთ განაჩენის გაპროტესტების უფლება, ხოლო მათ საჩივარს 7 მაისს განიხილავენ.

როგორც ვნახეთ, სადისციპლინო კომიტეტმა მასპინძელ „ბოლონიას" უფრო მკაცრი სასჯელი არგუნა, ვიდრე სტუმარ „მარსელს", მაგრამ დღევანდელობიდან გამომდინარე, რომელი უფრო ცუდ დღეში ჩავარდა, საკითხავია. საქმე ის გახლავთ, რომ „მარსელი" უეფას თასის ფინალშია („ბოლონიასთან" შინ 0:0 ითამაშა და მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის წესით შემდგომ ეტაპზე გავიდა) და შესაბამისად, საუკეთესო ფეხბურთელების მოკლებას განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამს. გარდა ზემოხსენებული დიუგარისა (ჟამბეიზე, როგორც სათადარიგოზე, არაფერს ვიტყვით), „ბოლონიასთან" შეხვედრაში მიღებული ჩვეულებრივი გაფრთხილებების გამო ფინალს გამოტოვებენ ფაბრიციო რავანელი, პეტერ ლუქსენი და უილიამ გალაც.

„იმედს გამოვთქვამ, რომ უეფას სააპელაციო კომისიას მკაფიოდ განვუმარტავთ ჩვენს პოზიციას, რის შედეგადაც, ლოგიკა და კეთილმოსურნეობა გაიმარჯვებს. ვგონებ, საკუთარი თავის ლეგიტიმურად დაცვას შევძლებთ" — განაცხადა მამა კურბისმა.

არ არის გამორიცხული, ფრანგთა ერთ-ერთ არგუმენტად დიუგარის აღსარება-განცხადებაც გამოდგეს. ჩხუბს სულ არ ვაპირებდი, მაგრამ როდესაც დავინახე, როგორ ურტყამდნენ იტალიელები ლუქსენს, მოვალე შევიქენი, მეგობარს დავხმარებოდიო.

„ეკიპთან" ინტერვიუში — ამ ისტორიაში განტევების ვაცად მაქციეს" — თქვა დიუგარიმ.

„ცხადია შემეძლო მოჩხუბართა გაშველება მეცადა, მაგრამ ცხელ გულზე ეს შეუძლებელი იყო. საერთოდაც ასე ვარ, თუ ვხედავ, რომ ქუჩაში ახალგაზრდას ხულიგნები თავს ესხმიან, საქმეში ვერევი, მაგრამ თუ უეფა საპირისპირო მორალს მიქადაგებს, კი ბატონო, ამირიდან საპირისპირო მხარეს გადავალ".

ფრანგთა ნაკრების მსოფლიო ტრიუმფის მეორე წევრმა ალენ ბოგოსიანმა კი განაცხადა.

„დიუგარის დისკვალიფიკაციას მისცემენ? კი ბატონო, ჩვენთვის უკეთესი".

მოგეხსნებათ ბოგოსიანი „პარმაში" თამაშობს, „პარმა" კი უეფას თასის მეორე ფინალისტია.

**პაპუნა ძედია**

# ჰამბურგელი ხულიგნის აღსარება

ერთმა იმ ოთხიდან, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ფრანგი პოლიციელი ცემით ლამის რომ მოკლა, აღიარა, მე მას ორჯერ ჩავარტყიო.

„პირველად ფეხებში მივარტყი, მეორედ ზურგში" — თქვა ტობიას არნო რაიფშლაეტერმა მას მერე, რაც მის ამფსონთაგან ორმა ჩადენილი მოინანია.

შეგახსენებთ, რა მოხდა: ოთხეულის ნაცემმა 44 წლის ფრანგმა სერჟანტმა, ორი შვილის მამამ, დანიელ ნიველმა ექვსი კვირა კომაში გაატარა. მას ტვინი დაუზიანდა და ცალი თვალით ვეღარ ხედავს მას მერე, რაც ლანსის სტადიონთან გერმანიისა და იუგოსლავიის მატჩის შემდეგ გერმანელ ხულიგნებს მისი ცემა მოეპრიანათ.

„ძალიან განვიცდი დაზარალებულის ბედს და იმედს გამოვთქვამ, რომ მისი ჯანმრთელობა სრულიად აღდგება" — თქვა 24 წლის რაიფშლაუგერმა, რომელმაც თავს ჰამბურგელი ხულიგანი უწოდა.

„ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ისაა, რომ ძალიან, ძალიან ვწუხვარ" — ეს სიტყვები კი 31 წლის ფრანა რენგერს ეკუთვნის.

რურის ოლქში, ქალაქ ესენში მიმდინარე სასამართლო გარჩევის პირველი დღის მერე რეგნერმა მრავალი ადამიანის თვალწინ ცხარე ცრემლით იტირა.

ანდრე სავაცკი 28 წლისაა და რენგერის მსგავსად გელზენკირხენის შემოგარენში ცხოვრობს. მან თქვა:

„საოცრად განვიცდი მომხდარს და ყველაფერს, რაც ბატონ ნიველსა და მის ოჯახს დავმართეთ."

ხსენებული სამეულისგან განსხვავებით 23 წლის კრისტოფ რაუხმა, რომელიც ბერლინთან ახლოს ცხოვრობს, პირველ დღეს დუმილი ამჯობინა.

სასამართლოზე არ ყოფილა არც თავად სერჟანტი ნივალი, რომელსაც ხეირიანად მოსმენა და საუბარი ჯერაც არ შეუძლია და არც მისი მეუღლე. მათ ვექილი წარმოადგენდა.

ოთხეული, რომელიც სასამართლოს პირველი დღისთვის საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა, 15 წლიანი პატიმრობის საშიშროების წინაშე დგას, რადგან არაა გამორიცხული, მკვლელობისთვის გაასამართლონ. გარდა ამისა, მათ სხვა ვერდიქტიც ელით, სხეულის მძიმე დაზიანებისთვის.

ერთ-ერთ ხულიგანს უმტკიცდება, რომ უკვე წაქცეულ ნიველს თავში სარეკლამო დაფის ნატეხი ჩაარტყა. მეორეს, ერთი ხნის შემდეგ, იგივე გაუმეორებია, ოღონდ იარაღად სერჟანტისავე ცრემლსადენი გაზის ბალონი უხმარია.

პროკურორის თქმით, პროცესის მთავარი საფიქრალი ისაა, როგორ გაასამართლონ ხულიგნები, როგორც მკვლელები თუ...

რაიფშლაეგერმა განაცხადა, რომ ლანსში თამაშის წინა დღეს ჩავიდა და მთელი ღამე სმაში გაატარა.

„მე სხვა ჰამბურგელი ხულიგნებიც ვნახე და ბარებში ვიარეთ. კვირას რვა თუ ათი კათხა ლუდიც დავამატე და ბილეთების საყიდლად გავჩალიჩდი, მაგრამ რაც იყიდებოდა, ძალიან გვეძვირა, ამიტომაც თამაში ბარში, ტელევიზორში ვნახეთ."

მატჩის 2:2 დამთავრების შემდეგ რაიფშლაეგერი და ოთხმოცამდე გერმანელი იუგოსლავიელების საძებნად ქუჩებში გასულან.

„ჩხუბი გვინდოდა, მაგრამ ერთი იუგოსლავიელიც ვერ ვნახეთ" — თქვა მან.

სასამართლოზე წარადგინეს ფოტოები, რომლებზეც რაიფშლაეგერმა თავი ამოიცნო. ერთ-ერთ სურათზე იგი ნიველის გვემულ სხეულთანაა ჩამომჯდარი. გაირკვა, რომ ფოტოები გერმანული ჟურნალის „ბილდის" ფოტოკორესპონდენტებს გადაუღიათ.

მოწმედ გამოძახებულია ოცდაათამდე ადამიანი საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ბრიტანეთიდან. მათ 2 სექტემბრამდე მოუსმენენ.

შემდგომი სხდომა 5 მაისს გაიმართება.

# ყოფნა არყოფნის ამბავი

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კარელ ვერტონგენმა განაცხადა, რომ მალე ფედერაციაში საგანგებო სხდომას მოიწვევს, რომელზეც ქვეყნის ნაკრების მწვრთნელის, ჟორჟ ლიკენსის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენის საკითხს განიხილავენ.

ბელგიას, რომელსაც ჟორჟ ლიკენსი წვრთნის და რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალია, აგერ უკვე ხუთი შეხვედრაა, მეტოქეთა კარში გოლი ვერ გაუტანია.




ჟორჟ ლიკენსი

ბელგიამ, ევროპის მომავალი ჩემპიონატის თანამასპინძელმა ბოლო ხუთი ამხანაგური თამაში ერთნაირი ანგარიშით 0:1 წააგო, მათ შორის ოთხშაბათს რუმინეთთანაც.

— ჩვენ რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ვმონაწილეობდეთ, ტურნირის ფინალურ ეტაპზე ვერც გავიდოდით — განაცხადა ბელგიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა გი ტისმა. სხვათა შორის, 1986 წლის მსოფლიოს პირველობაზე, როცა ბელგიამ მეოთხე ადგილი დაიკავა, გუნდს სწორედ გი ტისი წვრთნიდა.

ცნობისთვის: 1920 წლის შემდეგ ბელგიას ზედიზედ ხუთი მარცხი აქამდე არ განუცდია.

**ამხანაგური მატჩი** 5 მაისი. ესპანეთი — ხორვატია

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), ტონი ხიმენესი (ესპანიოლი); მცველები — მიჩელ სალგადო (სელტა), ფერნანდო იერო (რეალი), მარსელინო ელენა (მალიორკა), აგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), პაკო ხიმენესი (სარაგოსა); ნახევარმცველები — ხოსეპ გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ბარსელონა), ფრან გონსალესი (დეპორტივო), ივან ელგერა (ესპანიოლი), ხოსე მარია „გუტი" გუტიერესი (რეალი), ვისენტე ენგონგა (მალიორკა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია); თავდამსხმელები — ხოსება ეჩებერია, ისმაელ ურსაისი (ბილბაო), რაულ გონსალესი (რეალი), დანი გარსია (მალიორკა), პედრო მუნიტისი (რასინგი)

## კითხვა-პასუხი

***— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, სტადიონზე იყავი?***

— არა, ვერ წავედი და მაგიტომაც ჩამომტირის, ძალიან დამწყდა გული.

***— რომ წავაგეთ, არა?***

— არა. რომ ვერ დავესწარი, თორემ, წაგებას მიჩვეული ვარ.

***— მოდი ფეხბურთზე ვილაპარაკოთ.***

— ისევ რივალდოზე?

***— არა, რივალოდს საკითხი ისედაც გარკვეულია.***

— აბა, ვისი დარჩა გასარკვევი?

***— იან ვოუტერსისა.***

— ო, დიახ, მართლაც რომ რთული შემთხვევაა.

***— როგორ გგონია, „აიაქსი" რატომ არსებობს?***

— ნამდვილად ვიცი, რომ არა იმიტომ, რომ ვოუტერსმა გაწვრთნას.

***— ეს მართალია, მაგრამ კიდევ?***

— არ ვიცი.

***— მეც არ ვიცი. ტრაგედიაც ესაა.***

— როგორ გგონია, მოსკოვის „ლოკომოტივი" უკეთესია, თუ ამსტერდამის „აიაქსი"?

***— შარშან „სპარტაკი" უკეთესი იყო, წელს კი ნამდვილად „ლოკომოტივია" უკეთესი.***

— როგორ ფიქრობ, რამდენი აიაქსელი მოხვდებოდა კიევის „დინამოს" ძირითადში?

***— უზრდელური შეკითხვაა.***

— რატომ?

***— „აიაქსი" მარადიული რამეა, კიევის „დინამო" კი ათ წელიწადში ერთხელ გამოიბრწყინებს ხოლმე.***

— და რა არის უკეთესი ვოუტერსის ხელში მარადიულობა, თუ ლობანოვსკის ხელში სამ წელიწადს ბრწყინვალება?

***— ყველასა სჯობს ფერგიუსონის ხელში დაბერება.***

— ვერ დაივიწყე ეგ კუნძული?

***— გინდა თავიდან დავიწყო?***

— რა?

***— სიმართლის თქმა.***

— რასთან დაკავშირებით?

***— ზოგადად ფეხბურთთან დაკავშირებით, აი, ვთქვათ, გერმანია რომ წახდა...***

— ეგრე ყველა არ არის, „ყველა" — ესპანეთია.

***— ესპანელები ვიღაცამ დაწყევლა, სხვა მიზეზს მე ვერ ვხედავ.***

— იორდანა გახსოვს?

***— ჰოჰ, მაგან დაიწყო ყველაფერი. გარბაჩოვმა გერმანია გააერთიანა, ლეჩკოვმა კი დამალა.***

— ესპანეთი ვინ დამალა?

***— ბორამ.***

— ჩვენ რომ ჩამოყვანა გვინდოდა?

***— ეჰ, ბორა კი არა, ბორას ძმაც ვერ ჩამოგვიყვანია.***

— ნიგერიამ ჩაიყვანა და, ჩვენ რატომ ვერ უნდა ჩამოვიყვანოთ?

***— ალბათ, შუქი რომ არ არის.***

— არა, იმიტომ რომ კანუ არა გვყავს.

***— კანუსავით ხომ შეგვიძლია?***

— ეჰ, კანუ რომ „აიაქსში" დარჩენილიყო, კანუ იქნებოდა?

***— ესე იგი, არ შეგვიძლია.***

— შეგვეძლო, მაგრამ გზა დაგვებნა.

***— და სად აღმოჩნდით?***

— შეპეტოვკის „ტემპში"

***— ეგ რა არის?***

— უკრაინის „სიტია".

***— ჰო, მართლა, სიტი სად არის?***

— ისევ ჩვენთან.

***— და გაზა?***

— მაინც გაგახსენდა?

***— გაზა რომ თავს დაანებებს ჩამოვიყვანთ.***

— არ ჩამოვა.

***— რატომ?***

— ერთხელ იყო და არ მოეწონა.



## თასების მფლობელთა თასი

XXVIII გათამაშება 1987–88 წლები

**მეხელენი**

მეხელენი, ბელგია

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

## სრული ისტორია

# თავხედი დებიუტანტი სამრეკლოთა ქალაქიდან

ფინალური მატჩის მეორე ტაიმში პიტ დენ ბურის გატანილმა ბურთმა ბელგიურ „მეხელენს“ „აიაქსთან“ მოაგებინდა და თასების თასიც მოაპოვებინა. ევროტურნირების დებიუტანტმა პირველივე ცდაზე პრიზი დაისაკუთრა. ასეთი რამ ფეხბურთში იშვიათად ხდება.

მეხელენი (ანუ, რომგორც ევროპაში ამბობენ, მალინა) სამრეკლოების ქალაქია. იქ საგანგებო საერთაშორისო სკოლაც კი არსებობს, სადაც მნათეიბას ასწავლიან და სწორედ ამით უამრავ ტურისტსაც იზიდავენ. აი, საფეხბურთო გუნდით კი 1988 წლამდე არასოდეს უამაყიათ. 88-ში ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ერთი შეხედვით შეუმჩნეველი გუნდი ფინალამდე მივიდა და იქ წინა გათამაშების გამარჯვებული ამსტერდამის „აიაქსი“ დაამარცხა. ქალაქელები თავისებურად ეხმიჯნებოდნენ „მეხელენის“ წინსვლას: ყოველი გამარჯვების შემდეგ მთავარი სამრეკლო „ოლე! ოლე!“ მელოდიას აწკარუნებდა...

„მეხელენის“ მწვრთნელი, ჰოლანდიელი აად დე მოსი რამდენიმე წლის წინ სწორედ „აიაქსიდან“ იყო წამოსული და როცა მეოთხედფინალში მინსკის „დინამოს“ დამარცხების შემდეგ ჰკითხეს, ფინალში გასვლის შემთხვევაში მეტოქედ ვის ისურვებდითო, „აიაქსსო“ — უპასუხა დაუფიქრებლად.

დებიუტანტად კი მოიხსენიებდნენ, მაგრამ „მეხელენს“ საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა ჰყავდა. მათ შორის, ბელგიის ნაკრების შესანიშნავი მეკარე მიშელ პრიუდომი, ლიბერო ლეო კლიისტერსი, ნახევარმცველი პასკალ დე ვილდე და შემტევი მარკ ემერსი. ამათ დამატებული ჩინებულ ფორმაში მყოფი ჰოლანდიელი ერვინ კუმანი და ისრაელის ნაკრების ბომბარდირი ელი ოჰანა. სულ გუნდში ხუთი ჰოლანდიელი და ერთიც გერმანელი იოაჰიმ ბელფელდი ირიცხებოდნენ.

ტურნირის ყველაზე საინტერესო რაუნდი, თუ გადამწყვეტ მატჩს არ ჩავთვლით, ნახევარფინალურ ეტაპზე გაიმართა, როცა ერთმანეთს ფრანგული „მარსელი“ და „აიაქსი“ შეხვდნენ. ამსტერდამული კლუბი წინა სეზონთან შედარებით საკმაოდ შესუსტებიული იყო. იტალიის „მილანში“ გადავიდა მთავარი მეგოლე ვან ბასტენი, რაიკარდი „სევილიაში“ გადაბარგდა, გუნდიდან წავიდნენ სილოი და სპელბოსიც. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, „ბარსელონაში“ დაიწყო მუშაობა მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა და მის ნაცვლად გუნდს ბარი ჰულსჰოფი ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ამისა, „აიაქსი“ მაინც ფავორიტად ითვლებოდა და ფინალამდეც მიაღწია. „მარსელმა“, რომლის პრეზიდენტი ცნობილი ფრანგი მწვრთნელი მიშელ იდალგო იყო, საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მოუყარა თავი. მთავარი ფიგურა ნახევარმცველი ალენ ჟირესი და ფორვარდები ჟან-პიერ პაპენი და გერმანელი კლაუს ალოფსი იყვნენ.

მარსელში, პირველ ნახევარში, აიაქსელმა ვიჩხემ ორი ბურთი გაუტანა ფრანგებს. მერე ბერხკამპმა მესამეც შეაგდო და პრაქტიკულად გადაწყვიტა ფინალისტის ბედი.



ფინალის მე-16 წუთი. აიაქსელმა ბლინდმა მეხელენელი ემერსი წააქცია და მინდვრიდან გააძევეს

ამსტერდამში ჩასული იდალგო გულახდილი იყო: „მართალია, შანსი აღარ გვაქვს, მაგრამ შევეცდებით, ლამაზად ვითამაშოთ და ამით მაინც დავამახსოვროთ ქომაგებს თავი“ — ამბობდა იგი. ფორმალურად „მარსელმა“ შეასრულა პრეზიდენტის სიტყვები, კარგადაც ითამაშა და 2:1-იც მოიგო, მაგრამ ამაში ხელი მასპინძლებმაც შეუწყვეს. მე-12 წუთზე აიაქსელმა ლარსონმა გახსნა ანგარიში, მერე თასის მფლობელები მოეშვნენ, ანგარიშის შენარჩუნება სცადეს, მაგრამ ორი კი გაუშვეს. ჰულსჰოფი, ცხადია, მაინც ბედნიერი ჩანდა — მთავარია, რომ ფინალში გავედით, შევეცდებით თასების თასი კვლავ ამსტერდამში დავტოვოთ — თქვა ჰულსჰოფმა, მაგრამ წინ კერკეტი „მეხელენი“ ელოდათ.

სტრასბურულ ფინალში ცოტა უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა. ორივე გუნდს საშუალება ეძლეოდა, „საკუთარი“ ფეხბურთი ეთამაშა. „აიაქსი“ ცხადია, შეუტევდა, „მეხელენი“ კი კონტრშეტევაზე შეეცდებოდა მოწინააღმდეგის გამოჭერას: „ვიცით, რომ „მეხელენი“ კონტრშეტევებზე იმოქმედებს, მაგრამ არა მგონია, მათ ისეთი ფეხბურთელი ჰყავდეთ, სირთულე რომ შეგვიქმნას“ — აცხადებდა ჰულსჰოფი, სხვათა შორის, იმ დიდი „აიაქსის“ წევრი, რომელმაც 70-იან წლებში სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი.

მას კოლეგა დე მოსიც ეთანხმებოდა და ამბობდა: „დიახ, კონტრშეტევებზე ვითამაშებთ. ეს ჩვენი სტილია და დამალვას არც ვაპირებთ. იმედი მაქვს, რომ ოჰანა თავის შედეგიანობას ახლაც დაამტკიცებს: სხვა მხრივ კი „აიაქსი“ დღეს ის აღარაა, რაც შარშან. ამ 12 თვეში გუნდმა უამრავი კარგი ფეხბურთელი დაკარგა“.

დე მოსის აზრს „აიაქსის“ 36 წლის მცველი არნოლდ მიურენიც იზიარებდა: „სამი წელიწადია, გუნდში ვარ და ამ ხნის განმავლობაში ნაკრების ცხრა მოთამაშე დავკარგეთ. კრუიფის წასვლამაც ბევრი რამ შეცვალა. ყველას გვინდოდა, იოჰანი დარჩენილიყო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა და გაცლა არჩია“.

„აიაქსის“ უსიამოვნებები მე-16 წუთზე დაიწყო, როცა უხეში თამაშისთვის მინდვრიდან მცველი ბლინდი გააძევეს. ათი ათასი ჰოლანდიელი ქომაგი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა მომხდარს, მაგრამ გერმანელი მსაჯი პაული მართალი იყო. ბლინდმა ემერსი მაშინ წააქცია, როცა ის მეკარესთან პირისპირ რჩებოდა.

მერე თასის მფლობელებმა მაინც დაალაგეს თამაში და შეტევებსაც უმატეს. სამი ფორვარდი — ვან'ტ სხიპი, ბოსმანი და ვიჩხე მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა ბელგიელების დაცვას, მაგრამ ამათაც გაუძლეს და პრიუდომმა ხომ საერთოდ სასწაულები ჩაიდინა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ერთადერთი გოლი გავიდა. თითქმის კუთხურის ალამთან მდგომმა ოჰანამ მეტად რთული მდგომარეობიდან შეძლო მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩაწოდება და დენ ბურის თავური ზუსტი გამოდგა.

ნამარცხევს ჰულსჰოფს ბლინდი არ დაუდანაშაულებია: „მართალია, ბლინდი შეცდა და ჩვენ თითქმის მთელი მატჩი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ, მაგრამ დროულად უნდა გამოგვეტანა დასკვნები. ასეთ შემთხვევაში, საქმე სხვაგვარად აეწყობოდა“ — თქვა ჰულსჰოფმა.

აად დე მოსმა კი მომხდარი სხვაგვარად შეაფასა: „დასაწყისში „აიაქსი“ გვჯობდა, მაგრამ ბლინდის გაძევებამ ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ნელ-ნელა თამაში დავალაგეთ და მდგომარეობაც გავაკონტროლეთ. ისე კი, გამოგიტყდებით და არც კი მჯერა, თუ თასების თასის მოგება შევძელით. „მეხელენის“ რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს ფანტასტიკური შედეგია“ — აღნიშნა მან.

ყველაზე ბედნიერი კი ჯონ კურიე ჩანდა, „მეხელენის“ მფლობელი ტელესაკომუნიკაციო ფირმის წარმომადგენელი: „ჩვენ გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ პატარა კლუბებსაც შეუძლიათ დიდებად გახდომა. „მეხელენის“ გამარჯვებას უდავოს და დამაჯერებელს ვერ ვუწოდებ, მაგრამ დღეს ყველას დავანახეთ, რომ „მეხელენი“ ევროპული კლასის გუნდია“.

„ანდერლეხტის“ შემდეგ „მეხელენი“ მეორე ბელგიური კლუბია, რომელსაც თასების თასის გათამაშებაში გაუმარჯვია. ამ ქვეყნის სხვა გუნდებს ტურნირის ისტორიაში მსგავსი პატივი არ ღირსებიათ. ყველაზე ახლოს მიზანთან ლიეჟის „სტანდარდი“ (1982) და „ანტვერპენი (1993) იყვნენ, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდნენ.



მეხელენი 1988 წელს. ქვედა რიგში მარცხნიდან: დე მესმეკერი, დე ვილდე, პრიუდომი, მწვრთნელი დე მოსი, დრუქე, ემერსი, ლეენი; შუა რიგში: მეორე მწვრთნელი ვან ჰოოფი, სანდერსი, ერვინ კუმანი, ვილმოტსი, ჰოფკენსი, ოჰანა, ექიმი ვერჰუვენი; ზედა რიგში: ვერსაველი, ვერსტრაეტენი, იასპერსი, დენ ბური, რუტიესი, დე გრეეფი

წინასწარი წრე აელ (კვიპროსი) — დუნაისკა სტრედა (ჩეხოსლოვაკია) 0:1, 1:5

### პირველი წრე

მეხელენი (ბელგია) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) 1:0, 2:0; ავენირი (ლუქსემბურგი) — ჰამბურგი (გფრ) 0:5, 0:3; ლოკომოტივი (ლაიპციგი, გდრ) — მარსელი (საფრანგეთი) 0:0, 0:1; ოლბორგი (დანია) — ჰაიდუკი (იუგოსლავია) 1:0, 0:1 პენ. 2:4; აიაქსი (ჰოლანდია) — დანდელკი (ირლანდია) 4:0, 2:0; სოსიედადი (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — შლიონსკი (პოლონეთი) 0:0 (ბილბაო), 2:0; დინამო (მინსკი, სსრკ) — გენჩლერბირლიგი (თურქეთი) 2:0, 2:1; როვანიემი (ფინეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 0:0, 1:1; ვლაზნია (ალბანეთი) — სლიმა უონდერერსი (მალტა) 2:0, 4:0; დუნაისკა სტრედა — იანგ ბოიზი (შვეიცარია) 2:1, 1:3; ვიტოშა (ბულგარეთი) — ირაკლიონი (საბერძნეთი) 1:0, 1:3; უიპესტ დოჟა (უნგრეთი) — დენ ჰააგი (ჰოლანდია) 1:0, 1:3; სენტ-მირენი (შოტლანდია) — ტრომსო (ნორვეგია) 1:0, 0:0; მერტირ ტიდფილი (უელსი) — ატალანტა (იტალია) 2:1, 0:2; სპორტინგი (პორტუგალია) — სვაროვსკი ტიროლი (ავსტრია) 4:0, 2:4; აკრანესი (ისლანდია) — კალმარი (შვედეთი) 0:0, 0:1 დ.დ.

### მერვედფინალი

ვლაზნია — როვანიემი 0:1, 0:1; კალმარი — სპორტინგი 1:0, 0:5; ირაკლიონი — ატალანტა 1:0 (სლონიკა) 0:2; ჰამბურგი — აიაქსი 0:1, 0:2

დენ ჰააგი — იანგ ბოიზი 2:1, 0:1; მეხელენი — სენტ მირენი 0:0, 2:0

სოსიედადი — დინამო 1:1, 0:0; მარსელი — ჰაიდუკი 4:0, 0:2

### მეოთხედფინალი

მეხელენი — დინამო 1:0 (დე ვილდე), 1:1 (ოჰანა; კისტენი)

ატალანტა — სპორტინგი 2:0 (ნიკოლინი, კანტარუტი), 1:1 (კანტარუტი; პოუტმანი)

როვანიემი — მარსელი 0:1 (პაპენი), 0:3 (ჟერვინი, კ. ალოფსი, პაპენი)

იანგ ბოიზი — აიაქსი 0:1 (ბოსმანი), 0:1 (ლარსონი)

### ნახევარფინალი

მარსელი — აიაქსი 0:3 (რობ. ვიჩხე 2, ბერხკამპი), 2:1 (პაპენი, კ. ალოფსი; ლარსონი)

მეხელენი — ატალანტა 2:1 (ოჰანა, დენ ბური; სტრომბერგი), 2:1 (რუტიესი, ემერსი; გარლინი)

ფინალი. სტრასბური. 11 მაისი. 43 000 მაყურებელი

**მეხელენი 1:0 აიაქსი**

1:0 დენ ბური (53)

მეხელენი: პრიუდომი, ემერსი, კლიისტერსი, რუტიესი, ჰოფკენსი (ტეუნისი 73), სანდერსი, დე ვილდე (დე მესმაკერი 60), ე. კუმანი, დეფერმი, ოჰანა, დენ ბური

აიაქსი: მენცო, ბლინდი, ვაუტერსი, ლარსონი, ვერლაატი (მეიერი 73), სხოლტენი, ვან'ტ სხიპი (ბერხკამპი 57), ვინტერი, ბოსმანი, ა. მიურენი, ვიჩხე

მსაჯი: პაული (გფრ)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაობლებული 1966

## ალფ რამსეი გარდაიცვალა

 უცნაურია, საოცარი... ალფ რამსეი ოთხშაბათს გარდაიცვალა, საფეხბურთო საზოგადოებრიობამ კი ეს ამბავი გუშინ, პარასკევს შეიტყო.

„არა მგონია, მისი მსგავსი ოდესმე ვინმე ვიხილოთ. ის იყო ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელი. რაიმეს რომ ამბობდა, ყველა გაფაციცებით უსმენდა" — თქვა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ალან მალერიმ.

რამსეის სიკვდილი მისი ყოფილი კლუბის, „იფსვიჩ თაუნის" წარმომადგენლებმა აცნობს ქვეყანას. ოთხშაბათს გარდაცვლილა.

1966 წელს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულამდე ალფ რამსეიმ მიიყვანა.

„იმ დღეს, „უემბლიზე", რამსეი ყველაზე წყნარად იყო. მოედანზე მსოფლიოს ჩემპიონატის დრამატული ფინალი მიმდინარეობდა, ის კი აუღელვებლად ადევნებდა თვალს. სიმშვიდე მისი უდიდეს თვისებათაგანი იყო" — მოიგონა ყოფილმა ფეხბურთელმა ჯიმი არმფილდმა.

ის მატჩი მართლაც დრამატული გახლდათ. ინგლისი — გერმანია. ძირითადი დრო 2:2, დამატებითი — 4:2. ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებმა პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ ალმართა მსოფლიოს თასი.

1964 წელს დედოფალმა ელიზაბეტმა ალფ რამსეის რაინდობა უბოძა.

სერ ალფ რამსეი ოთხშაბათს გარდაცვლილა...

1966 წელი გარემარბთა ეპოქისა იყო, ალფ რამსეიმ კი 4-4-2 განლაგება შესთავაზა საეხბურთო სამყაროს და მოიგო, პლანეტის გვირგვინი დაიდგა. აგერ უკვე 34 წელიწადია, ამბობენ, რომ ის ტრიუმფი პირადად რამსეისა გახლდათ.

მისთვის უკითხავთ, ეს გენიალური ტაქტიკური სიახლე აზრად როგორ მოგივიდათო. რამსეის უპასუხია, კარგი გარემარბები არ მყავდაო.

...პარასკევს გამოაცხადეს, გუშინ.

„ამ კაცმა რწმენა ჩაგვინერგა... ალფმა უბედნიერესი დრო დაგვიყენა" — თქვა გორდონ ბენქსმა, მაშინდელმა მეკარემ.

„სერ ალფმა ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ფურცელი შექმნა" — ტონი ბლერი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი — „2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მის ქვეყანაში დაბრუნება უდიდესი პატივისცემა იქნებოდა."

2006 წელს რამსეის ტრიუმფიდან ზუსტად 40 წელიწადი იქნება გასული.

მას ჯერ კიდევ 64-ში უთქვამს ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო.

ალფ რამსეი 1920 წელს ინგლისში, ისექსში, დაგენჰემში დაიბადა. ფეხბურთელობის წლებში საუცხოო მარჯვენა მცველი გახლდათ. „საუთჰემპტონში" 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა, მერე კი „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავიდა, სადაც 250-ზე მეტჯერ ითამაშა.

რამსეიმ ინგლისის ნაკრების მაისურა 32-ჯერ ჩაიცვა, სამი გოლი გაიტანა, რომელთა შორისაა 1951 წელს გატანილი პენალტი — ინგლისელთათვის პირველი „უემბლიზე".

მან მწვრთნელობას 1956 წელს მესამე დივიზიონის უსახურ „იფსვიჩ თაუნში" მიჰყო ხელი. „იფსვიჩი" მისი ხელმძღვანელობით პირველსავე სეზონში მეორე დივიზიონში ავიდა, 1960-63 წლების ჩემპიონატში პირველი დივიზიონისკენ გაიკაფა გზა, ხოლო 1961-62-ში ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

1963 წელს ალფ რამსეი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს...

1973 წელს გადადგა.

მისებრ კულტურული მცველი არ გვინახავსო, ამბობენ ინგლისში.

მისებრ კულტურული მწვრთნელი არ შობილაო.

ალფ რამსეი ოთხშაბათს გარდაიცვალა. 79 წლის იყო.

მისი სიკვდილის ამბავი პარასკევს გამოაცხადეს.

**მიხეილ სურგულაძე**





სერ ალფ რამსეი და მისი ხელოვნებად ქცეული ტრიუმფი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ლევერკუზენი — ჰერტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | ვოლფსბურგი — შტუტგარტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ბაიერნი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰანზა — მიუნხენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 2.05 | დუისბურგი — დორტმუნდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | მაინცი — კოტბუსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ვატენშტაინი — ფიურტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ჰანოვერი — ფორტუნა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | არმინია — კიკერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | უნტერჰახინგი — დიუსელდორფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 3.05 | კარლსრუე — ბერლინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ჩარლტონი — ბლექბერნი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ჩელსი — ევერტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ქოვენთრი — უიმბლდონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ლივერპული — ტოტენჰემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | მანჩესტერი — ასტონ ვილა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნიუკასლი — მიდლსბრო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ნოტინგემი — შეფილდ უენსდეი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | საუთჰემპტონი — ლესტერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ვესტ ჰემი — ლიდსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 2.05 | არსენალი — დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. ILV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ბარნსლი — უოტფორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ბრედფორდი — ოქსფორდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ქრიუ — პორტსმუთი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | კრისტალ პალასი — ჰადერსფილდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | გრიმსბი — ტრანმერი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | ნორვიჩი — სვინდონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | პორტ ვეილი — ქუინზ პარკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | შეფილდ იუნაიტედი — ბრისტოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | სტოკპორტი — სანდერლენდი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ვესტ ბრომვიჩი — ბერი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 2.05 | ბირმინგემი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | ბოლონია — კალიარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | პარმა — ემპოლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | სალერნიტანა — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | უდინეზე — ლაციო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ფიორენტინა — პერუჯა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ბარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | მილანი — სამპდორია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ვენეცია — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 3.05 | რომა — ინტერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ტორინო — ნაპოლი | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 2.05 | ჯენოა — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | ატალანტა — კრემონეზე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | მონცა — ლეჩე | 3,2 | 2,7 | 2,2 |
| | ტერნანა — ლუკეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | პესკარა — რავენა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | ფ. ანდრია — რეჯანა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | კიევო — რეჯინა | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| | კოზენცა — ტრევიზო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| | ჩეზენა — ვერონა | 3,0 | 2,7 | 2,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | რეალი — ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ვალენსია — ალავესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 2.05 | ვალიადოლიდი — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | ბარსელონა — დეპორტივო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | ბილბაო — ატლეტიკო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ბეტისი — მალიორკა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | სარაგოსა — ტენერიფე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | რასინგი — ოვიედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ესტრემადურა — სოსიედადი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სელტა — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ბადახოსი — ალბასეტე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | მერიდა — ეიბარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ორენსე — ლას პალმასი | 5,0 | 3,2 | 1,4 |
| | სევილია — მალიორკა B | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ლეიდა — ლოგრონიესი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 2.05 | მალაგა — ერკულესი ($15^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ოსასუნა — ბარსელონა B | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ლეგანესი — ტოლედო ($15^{00}$) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | რეკრეატივო — სპორტინგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | კომპოსტელა — ატლეტიკო B | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ნუმანსია — რაიო ვალეკანო | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ბასტია — ლანსი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | მეცი — ოსერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლე ავრი — ნანსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | მონპელიე — ნანტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | სტრასბური — სოშო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რენი — პსჟ | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ეინდჰოვენი — ვალვაიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | კამბური — ჰერენვენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | როდა — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ტვენტე — სიტარდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ვიტესი — ალკმაარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 2.05 | აიაქსი — ფეიენოორდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ნაიმეგენი — უტრეხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სპარტა — ტილბურგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ლეირია — სპორტინგი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| | გიმარაეში — ბეირა მარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 2.05 | მარიტიმუ — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ალვერკა — რიუ ავე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | სალგეირუში — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ბრაგა — შავეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ბენფიკა — კამპომაიორენსე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | პორტუ — სეტუბალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | გენტი — ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ოსტენდე — ჰარელბეკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ლიერსი — ლოკერენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | ბევერენი — ვესტერლო | 1,9 | 2,9 | 3,2 |
| 2.05 | გენკი — სტ. ტრუიდენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სტანდარდი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | კორტრაიკი — ეკერენი | 2,0 | 2,9 | 3,0 |
| | აალსტი — მუსკრონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ვიძევი — ბელხატოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ამიცა — ლკს | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | რაძიონკოვი — გურნიკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | სტომილი — ოდრა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ზაგლებე — პოლონია | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | კილმარნოკი — მოზერველი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 2.05 | სელტიკი — რეინჯერსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 3.05 | ჰართსი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ქარაბუქი — ბეშიქთაში | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| 2.05 | ერზურუმი — ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ადანა — ანთალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ისთანბული — ქოჯაელი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სამსუნი — ანკარა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ტრაბზონი — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ფენერბაჰჩე — ალთაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | გრაცერი — ლინცერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | რაპიდი — ტიროლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | რიდი — შტურმი | 6,0 | 3,3 | 1,4 |
| | ზალცბურგი — აუსტრია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | შტაირი — ლუსტენაუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ლოზანა — ბაზელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ქსამაქსი — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სერვეტი — ლუცერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 2.05 | გრასჰოპერი — სტ. გალენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | სპარტაკი — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ცსკა — ზენიტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | როტორი — შინიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | როსტსელმაში — ურალანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ტორპედო — ალანია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ნ.ნოვგოროდი — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სატურნი — დინამო | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### შვედეთის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | მალმიო — ჰამსტადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | კალმარი — ფრიოლუნდა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 3.05 | იურგარდენი— ტრელებორგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | იორებრო — იორგრიტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ნორჩიოპინგი — ჰელსინგბორგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | გიოტებორგი — ელფსბორგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 4.05 | ჰამარბი — აიკ | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (36-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (31-ე) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (32-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (31-ე) | 22 და ნაკლები — 1,9 | 24 და მეტი — 1,9 |
| პორტუგალია (30-ე) | 24 და ნაკლები — 1,9 | 26 და მეტი — 1,9 |
| ჰოლანდია (31-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| ბელგია (31-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |
| პოლონეთი (24-ე) | 19 და ნაკლები — 1,9 | 21 და მეტი — 1,9 |
| თურქეთი (30-ე) | 24 და ნაკლები — 1,9 | 26 და მეტი — 1,9 |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ნორვეგია)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ავსტრია — ჩეხეთი | 5,0 | 4,4 | 1,2 |
| | სლოვაკეთი — კანადა | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| | აშშ — იაპონია | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | იტალია — ნორვეგია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 2.05 | ლატვია — შვეიცარია | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | ბელარუსი — რუსეთი | 5,6 | 4,4 | 1,15 |
| | საფრანგეთი — შვედეთი | 5,6 | 4,4 | 1,15 |
| | ფინეთი — უკრაინა | 1,2 | 4,4 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## საქართველოს ჩემპიონატი 30 ტური ანონსი

1 მაისი. ვერის ბაღი. 11 საათი
**კოლხა — დინამო**

1 მაისი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
**შევარდენი — მაკაბი**

1 მაისი. ვერის ბაღი. 14 საათი
**სტუ — თსუ**

1 მაისი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
**ასკ — აზოტი**

1 მაისი. ვერის ბაღი. 17 საათი
**ვითა — სდასუ**

ბოლო ხანს დაწიაწიავებული ჩემპიონატის ტურებისგან განსხვავებით, საპირველმაისო ტური სრულად გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციაში ასე ამბობენ...

მაშ, ასე: არავითარი ალლუმი, ზარზეიმი და ზიზილ-პიპილები. ეროვნული პირველობის რიგითი, შაბათი დღე, ჩვეულებრივი ტური და ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდების სამეოთხეწრეო შეჭიდებანი.

არცთუ შორეულ წარსულში პირველ მაისს კომუნისტური პროლეტარიატი ზეიმობდა. მშრომელთა სოლიდარობის დღეს ყველა უქმობდა — ერიცა და ბერიც. ახლა კი... რა სოლიდარობა, რის თანადგომა. ჰა და ჰა, მერვე ეროვნულიც მიილევა და გამგელებული კლუბები იმასღა ფიქრობენ, ვინძლო მსუყე ნადავლს შევეფეთოთ, გემრიელად რომ გავკრათ კბილიო. ასეა საჭირო და იმიტომ.

ერთადერთი გუნდი რუსთავის „აზოტია", რომელმაც ვადამდე დაიარხეინა თავი. გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს უკვე კარგა ხანია, განაღდებული აქვს პლეი ოფის საგზური და ახლაც, არმიულ კლუბთან შეხვედრაშიც, უპრობლემო ორი ქულა უნდა ვუწინასწარმეტყველოთ. ჯარისკაცთა გუნდი, პირიქით, სატურნირო ცხრილის ფსკერს ვერ ასცილებია. ვაჟა ჭოტაშვილის შეგირდებმა წლეულს მხოლოდ სამჯერ იმარჯვეს, ამ შედეგით კი მათ უმაღლეს ლიგაში აღარაფერი ესაქმებათ — გაისად ქვედა ჯგუფში ჩაინაცვლებენ.

არც „დინამო" აიტკივებს თავს ზედმეტად. მისი მეტოქე დღეს სოხუმის „კოლხა" იქნება, ჩემპიონატის კიდევ ერთი აუტსაიდერი. თბილისელებს მთავარი ბრძოლები ჯერ წინა აქვთ, მათი ოთხეულში მოხვედრის საკითხიც უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში გაირკვევა, თორემ კოლხები წინასწარვე განწირულნი არიან. კიდევ ისაა საინტერესო, რომ დინამოელთა მძლავრი უკანა ხაზი კიდევ უფრო გაძლიერდა. რუსეთ-ისრაელ მოვლილი გამოცდილი ირაკლი ვაშაკიძის სახით გუნდმა ჩინებული შევსება მიიღო.

სიტყვა მატებაზე ჩამოვარდა და ამ მხრივ თუ ვინმე დაიკვეხნის, ეს ტექნიკური უნივერსიტეტია. სტუ-ს თავკაცობამ დიახაც რომ იყოჩაღა — გუნდში ასევე ისრაელში მობურთალი, ახლა კი სამშობლოში დაბრუნებული რეზო ჩხეიძე ჩარიცხა. ხმები დაირხა, სტუდენტებმა ნაკრების კაპიტანი ვატო ნაცვლიშვილიც სათავისოდ შეიგულესო და დიდი შანსია, ესპანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ნაცვლიშვილიც სტუ-ში ვიხილოთ. ეს თუ ასე მოხდა, სტუ-ელთა მიზანიც ცხადი გახდება — ჩემპიონობა და მხოლოდ ჩემპიონობა. აი, ხვალ კი ამბიციამოძალებულნი თსუ-სთან მოსინჯავენ ძალებს. ფინალურ ოთხეულზე მეოცნებე ქარაბაკი და კომპანია ადვილად არაფერს დათმობს.

ინტრიგა „ვითა" — სდასუ-ს შეხვედრას რომ ახლავს, სწორედ ისეთი უნდა. განა წინა წრეში არ იყო, სდასუ-ელებმა ვითელები რომ დაამარცხეს? ბუნებრივია, ახლაც იმავეს შეეცდებიან, თუმცა ექვსგზის ჩემპიონებიც, თავის მხრივ, ჯავრის ამოყრას გეგმავენ. სტუდენტებისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედო, მათ მოგება ახლა ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს და ვნახოთ, რა გამოუვათ.

სიმძაფრე არც „შევარდენი" — „მაკაბის" დაპირისპირებას მოაკლდება, თუმცა სანაზაობრივი მხარის რა მოგახსენოთ. ეს კლუბები ხომ არცთუ მაღალი კლასის შემსრულებლებით არიან დაკომპლექტებულნი.

**გიორგი გიჟაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი 31 ტური ანონსი

2 მაისი. ვერის ბაღი. 11 საათი
**შევარდენი — ასკ**

2 მაისი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
**თსუ — კოლხა**

2 მაისი. ვერის ბაღი. 14 საათი
**აზოტი — სდასუ**

2 მაისი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
**მაკაბი — სტუ**

2 მაისი. ვერის ბაღი. 17 საათი
**დინამო — ვითა**

თვალის ერთი შევლებით, კვირა დღის კალენდარი მეტად უცნაურად გამოიყურება. შეიძლება ითქვას, არცერთი გუნდი არაა, წინასწარ ორი ქულა ჯიბეში ეგულებოდეს. ეს იოლად აიხსნება, თუ არცთუ შორეულ წარსულს გადავხედავთ.

პირველად „აზოტი" — სდასუ-ს მატჩზე მოგახსენებთ, რადგან ზემოთქმულს ოპონენტები სწორედ აქ გამოუჩნდებიან. წლეულს ამ გუნდების სამივე შეხვედრა რუსთაველებმა მოიგეს, რამაც ისედაც თავდაჯერებულ ვიცე-ჩემპიონს კიდევ უფრო შემატა თვითრწმენა. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წინა სამივე მატჩში „აზოტმა" გამარჯვებისთვის დიდი ძალა დახარჯა. ამის დასტურად ბოლო თამაშიც გამოდგება. აქ ხომ რუსთაველთა მოგება უფრო ბედის ღიმილს უნდა მივაწეროთ, თორემ უძილაურს სამქულიანი რომ არ გაეცუდებინა, სტუდენტობა გაიხარებდა...

თუმცა, რაც იყო, იყო და კვირის მატჩს მოვუბრუნდეთ. რუსთაველებს პლეი ოფის კარი უკვე შეუღიათ, სდასუ-ს კი კარამდე ბევრი უკლია... სტუდენტები იბრძოლებენ, ვინძლო მეოთხე ცდაზე მაინც გაუმართლოთ...

„დინამო" — „ვითას" შეხვედრაზეც შეგვეკამათებიან. „დინამო" არ იყო, ექვსგზის ჩემპიონმა რომ გააცამტვერა, თან რა სხვაობითო... მაგრამ (ისევ-მაგრამ), დინამოელ შეთამაშება თუ მონდომება ახლა უფრო ეტყობათ. თითქოს ყველა რგოლის შეკვრა — შეკავშირება მოხერხდა და გუნდი უფრო მობილიზებილი ჩანს. დაცვითი ტაქტიკის მიმდევარ „ვითაზე" აქამდე ნათქვამს ვერაფერს დავამატებთ — შემსრულებელთა მაღალი კლასი თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე. და მაინც, შურისძიებას მოწყურებული „დინამოსა" და ამაყი „ვითას" ორთაბრძოლაში რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება გვიჭირს.

აქამდე თსუ-ს სოხუმელთა დამარცხება არ უჭირდა. ახლა კი „კოლხა" იმედიანადაა — ამის საფუძველი კვიპროსმოვლილი ოთხი მოთამაშეა. ბიჭებს, ცხადია, სათამაშო დონე აუმაღლდებოდათ. ბრძოლის ჟინი კი არც აქამდე აკლდათ.

მგონი, სტუ-ს „მაკაბიც" შეეცილება. ამ ბოლო ხანს ეს უკანასკნელი ლიდერებს ძალიან შეუთამამდა და ეგებ სტუდენტებსაც რამე დააკლოს.

ორი აუტსაიდერის, „შევარდენის" და ასკ-ის შეტაკებაც საინტერესო იქნება. არმიელებმა ხომ მოგების სიტკბო პირველად სწორედ ამ კლუბთან იგემეს. ქულები ორივე მხარეს ჰაერივით სჭირდება და ამისთვის ერთმანეთს არ დაინდობენ. ამიტომაც ვინ ვის გადასწონის, ძნელი სათქმელია.

**მამუკა ტულუზი**

## ფიბაში განაცხადი წარადგინეთ

19 მაისს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მორიგ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაებმება. ტურნირი, მოგეხსენებათ, გაიმართება შვეიცარიაში, სადაც მასპინძელთა გარდა ირლანდიის, დანიის, ბელგიისა და პორტუგალიის ეროვნული გუნდები გაუწევენ ჩვენებურთ მეტოქეობას. ამ ექვსეულიდან მომდევნო, შესარჩევ ეტაპზე სამი საუკეთესო გავა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ამას წინათ ფიბაში იმ მოთამაშეთა ნუსხაც წარადგინა, რომელთაც ევროპის ჩემპიონატის ამ ციკლში ქვეყნის ღირსების დაცვა მოუწევთ. სიაში 23 კალათბურთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკრების მწვრთნელ ლევან მოსეშვილს სწორედ ამ მოთამაშეთა შორის მართებს სწორი არჩევანის გაკეთება:

რამაზ გოგობერიშვილი, არჩილ ჟღენტი, ირაკლი ჯაფარიძე, ზვიად ბაბიაშვილი (ყველა „აზოტი"), ირაკლი ხოშტარია, ვალერი კილაძე, ირაკლი მაისურაძე, ირაკლი ვაშაკიძე (ყველა „დინამო"), ვატო ნაცვლიშვილი, გიგი ნაცვლიშვილი, ვასილ ოთიურიძე, რეზო ჩხეიძე, ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი გაგნიძე (ყველა სტუ), მამუკა აბრამიძე, დავით უსტიაშვილი (ორივე „ვითა"), ლევან ქარაბაკი (თსუ), დავით თორთლაძე (სდასუ), ვლადიმერ სტეფანია („სიეტლ სუპერსონიქსი", აშშ), ვლადიმერ ბოისა („პოსტოინა", სლოვენია), დავით ბერძენიშვილი („სლოვაკოფარმა", სლოვაკეთი), ვაკო ბეჟანიშვილი („ურალ გრეიტი", რუსეთი), კახაბერ შენგელია („შლიონსკი", პოლონეთი)

## ნაცვლიშვილი სტუ-ელი გახდება

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი ვატო ნაცვლიშვილი თურქულ „ქარშიაქაში" თამაშისას მძიმედ დაშავდა. იზმირს კლუბმა მას კონტრაქტი დაურღვია. ეს შემოდგომაზე მოხდა, რის შემდეგაც ნაცვლიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და მცირე წამლობის მერე ნაკრებს ჩეხეთთან, შვედეთთან და თურქეთთან გამართულ შეხვედრებში დაეხმარა. ფეხის ტკივილი ვატოს დიდხანს გამოჰყვა და ამ ორი თვის წინ სამკურნალოდ ესპანეთს მიაშურა — მკურნალობის სრული კურსი გაიარა და იქაური მეორე ლიგის გუნდს, კადისის „ლოს ბარიოსს" კონტრაქტზე ხელი მოუწერა.

სეზონის დამთავრებასთან ერთად, თურმე, ნაცვლიშვილისა და „ლოს ბარიოსის" კონტრაქტსაც ყავლი გასვლია და ახლახან კალათბურთის ფედერაციაში კაპიტნის ესპანური კლუბიდან გათავისუფლების ფურცელიც ჩამოსულა. ეგ კი არა, გენერალურმა მდივანმა, აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, ნაცვლიშვილის ახალი ნავსაყუდელიც ცნობილია — ვატო და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი უკვე ყველაფერზე შეთანხმებულან და ფედერაციასაც ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზია გაუცია. მაშ ასე: ესპანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ვატო ნაცვლიშვილი სტუ-ში ჩაირიცხება.

რეგულარული ჩემპიონატი

NBA

# შაკი — საბონისის შოკი

29 აპრილი

**ლეიკერსი 108:89 პორტლენდი**
**ლეიკერსი: ონილი (38 ქულა, 12 მოხსნა), ჰორი (22)**
**პორტლენდი: სტუდემაიერი (17)**

ქვეყანა რომ დაიქცეს და პორტლენდმა და ლეიკერსმა ყველა დარჩენილი თამაშიც წააგონ, მაინც პლეი ოფში არიან. პორტლენდს სულაც წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველობა აქვს გარანტირებული, მაგრამ ლეიკერსიცა და პორტლენდიც ახლა კონფერენციაში უკეთესი ადგილებისთვის იბრძვიან. პორტლენდს მთელს დასავლეთში პირველობა ელანდება, ლეიკერსს კი მეოთხე ნომრად განთესვა აძლევს ხელს, რადგან პლეი ოფის პირველ წრეში ჰიუსტონთან საკუთარ დარბაზში მეტი თამაში ერგება. ამიტომ ლეიკერსის დარბაზ „გრეით ვერტერ ფორუმში" შეყრილი გულშემატკივრობა დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მათდა გასახარად, ლეიკერსმა მოიგო, მაგრამ საინტერესო თააშის რა მოგახსენოთ — მასპინძლებმა იოლად მოინელეს სტუმრები. მათმა გიგანტური გაბარიტების მქონე ცენტრმა, შაკილ ონილმა საშინლად დაჩაგრა პორტლენდის არნაკლები ტანხელ-ფეხის პატრონი, მაგრამ საკმაოდ შებერებული არვიდას საბონისი (8 ქულა) და 38 ქულის გაკეთების შემდეგ, სეზონში მეორედ ალზევდა ლიგის უპირველესი მექულის ადგილზე.

**საკრამენტო 103:81 კლიპერსი**
**საკრამენტო: აბდულ-ვაჰადი (19)**
**კლიპერსი: ჩადსონი (20 ქულა, 14 პასი, 6 მოხსნა)**

ლეიკერსისა და პორტლენდისაგან განსხვავებით, საკრამენტოს ჯერ კიდევ გვარიანი ბრძოლები მოუწევს პლეი ოფში მოსახვედრად, მაგრამ, თუ ასე გააგრძელა, შორი გზა აღარ დარჩენია. ეს გუნდი მაშინაც კარგად თამაშობს, როცა ლიდერი კრის ვებერი აკლია. მან ათიოდე დღის წინ ზურგის ტრავმა მიიღო. „კინგზი" კი უმისოდაც კარგი გუნდია. აი, კლიპერსს ისე მოუგო, თვალიც არ დაუხამხამებია. ვერნონ მაქსველმა თავისი თექვსმეტივე ქულა მეორე მეოთხედში ჩაუგდო კლიპერსს და მეოთხედიც მოაგებინა — 41:27.

**ვანკუვერი 72:99 სან ანტონიო**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (12)**
**სან ანტონიო: დანკანი (19)**

სან ანტონიომ თავს უფლება მისცა, პირველი ნახევარი ვანკუვერისთვის 22 ქულით მოეგო. მეორე ნახევარში ტეხასელებმა ასე თუ ისე შეიცოდეს ნბა-ს ციმბირის გუნდად წოდებული მასპინძლები.

**ინდიანა 115:110 შარლოტი**
(ძირითადი დრო 103:103)
**ინდიანა: მილერი (27)**
**შარლოტი: ვესლი (23), ჯონსი (21), კემპბელი (21 ქულა, 16 მოხსნა)**

აღმოსავლეთშიც დასავლეთზე არანაკლები ბრძოლაა გაჩაღებული პლეი ოფში მოსახვედრად. შარლოტი ერთ-ერთი პრეტენდენტია, უფრო სწორად, ერთ ხანს იყო, ახლა კი, ამ მატჩის წაგებით მცირეოდენი თეორიული შანსებიღა შემორჩენია, მერვე ადგილზე მყოფ ნიუ იორკს დაეწიოს. ეს შარლოტმა მშვენივრად იცოდა და ამიტომაც დიდი ომი გაუმართა დივიზიონის ლიდერ ინდიანას, მაგრამ გაცილებით ძლიერმა გუნდმა თავისი გაიტანა, ჯერ ოვერტაიმში გადაიყვანა მატჩი და იქ რეჯი მილერის და ჯალენ როუზის (18 ქულა) კარგი გარჯის წყალობით, დასცა ესოდენ მონდომებული მეტოქე.

**იუტა 96:85 გოლდენ სტეიტი**
**იუტა: მელოუნი (25)**
**გოლდენ სტეიტი: სტარქსი (27)**

გოლდენ სტეიტს პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიღა აქვს და ახლა ხავსს ეჭიდებოდა, როცა იუტას პირველ ნახევარში ტოლ-სწორად ეთამაშებოდა. ამისათვის მრისხანე იუტამ სტუმრები სასტიკად დასაჯა — მესამე მეოთხედი 26:12 მოუგო.

**ჰიუსტონი 81:91 დალასი**
**ჰიუსტონი: პიპენი (16)**
**დალასი: ფინლი (28), ნოვიცკი (22)**

ჰიუსტონს ხანდახან ასეთი რამ ემართება — გამოურჩეველ გუნდებთან თმობს მოსაგებ მატჩებს. დალასს კი თავის თანაშტატელ (ტეხასურ) გუნდებთან სჩვევია თავის გამოდება. ეს ჰიუსტონმა უკვე მეორედ იწვნია.

**დენვერი 87:98 ფინიქსი**
**დენვერი: სტისი (20)**
**ფინიქსი: რობინსონი (25), გულოტა (22 ქულა, 10 მოხსნა)**

დენვერს შეეძლო მოგება, ბოლო მეოთხედში ოთხი ქულით იგებდა კიდეც, მაგრამ ფინიქსი რის ფინიქსია, რაიმე დაეთმო. სტუმრებმა ბოლო და გადამწყვეტი თორმეტწუთეული 14 ქულით მოიგეს და კიდევ უფრო მიუახლოვდნენ პლეი ოფს. ფინიქსელმა ჯეისონ კიდმა 11 ქულით, 13 მოხსნით და 11 პასით სეზონში მეშვიდე სამმაგი დუბლი გაიხერხა.

**ნიუ იორკი 85:70 ფილადელფია**
**ნიუ იორკი: სპრიუელი (30)**
**ფილადელფია: აივერსონი (21)**

ფილადელფიამ, შარლოტისაგან განსხვავებით, წინასწარვე მოაგვარა საქმე და ახლა მას (ისევე როგორც დეტროიტსა და მილუოკის) ერთი მოგებაღა უნდა პლეი ოფის დასაბევებლად ან შარლოტის სულაც ერთი მარცხი ჰყოფნის. ამ თამაშშიც ახლოს იყო გამარჯვებასთან — პირველ ნახევარში სჯობდა ნიუ იორკს, მაგრამ ლატრელ სპრიუელმა პირში ჩალა გამოავლო.

**ვაშინგტონი 97:86 კლივლენდი**
**ვაშინგტონი: ტორპი (20)**
**კლივლენდი: ფერი (18)**

კლივლენდმა მეორე ტაიმი მთელი 19 ქულით წააგო და პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც გაუფრინდა ხელიდან.

**მაიამი 96:107 ბოსტონი**
**მაიამი: ვეზერსპუნი (19)**
**ბოსტონი: პირსი (31), ბაროსი (27)**

ბოსტონმა სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი არა, ყველაზე მაგრამ დასამახსოვრებელი მოგება იზეიმა. ხუმრობა ხომ არ არის, მაიამის სტუმრად ძლევა. თან მაშინ, როცა ეს გუნდი ერთ გაწამაწიაშია და აღმოსავლეთში პირველობას არცთუ უსაფუძვლოდ უმიზნებს.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ვანკუვერიდან

ვანკუვერი — სან ანტონიო. ვანკუვერელი მაიკ ბიბისგან (№10) ჯარენ ჯექსონმა (№2) და ტიმ დანკანმა (№21) ბუტერბროდი გააკეთეს

# სოფო: ყვავილი თოვლში

## ბაკურიანის ბედი რუსის ხელშია



გერა აბრამიშვილი

*ქართველმა სამთომოთხილამურეებმა დაასრულეს წლევანდელი სეზონი. ჩვენი დუხჭირი ცხოვრების კვალობაზე მათმა მცირერიცხოვანმა ამქარმა მსოფლიოს ჩემპიონატსა თუ მსოფლიოს თასის ეტაპებზეც სცადა ძალა და საერთაშორისო ტურნირებშიც. შედეგებიც ამ გაჭირვების ალი-კვალია, მაგრამ რას ვიზამთ... იქნებ მათ სპორტული ალკაზმულობა, ავად თუ კარგად, აქვთ, იქნებ შეჯიბრისას არც მოძველებულ თხილამურებზე დგომა უწევთ, მაგრამ სპორტული მწვერვალების დასაპყრობად ეს მაინც არ კმარა. თუ სოფო ახმეტელი ერთადერთი წყვილი თხილამურის პატრონია და ყოველთვის და ყველგან იმით უნდა იასპარეზოს (თან თვალისჩინივითაც უნდა გაუფრთხილდეს), იტალიელი დებორა კომპანიონის განკარგულებაში ათამდე თხილამურია. თითეული მათგანი სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით სავანგებო საცხებითაა გაპოხილი და დებორაც სტარტის წინ იმის მიხედვით ირჩევს მათ, თუ როგორია ამინდი, ტემპერატურა, თოვლი და სხვა. ამიტომაცაა ის ერთ-ერთი უძლიერესი ამ სახეობაში. იგივე ითქმის სხვა ლიდერებზეც. ქართველები ასეთ ფუფუნებას მოკლებულნი არიან. მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი მომავალს მაინც იმედიანად უყურებს.*

**— ბატონო გერა, განვლილი სეზონი შევაფასოთ...**

— სეზონის დაწყებამდე მთელ გეგმებს სოფო ახმეტელზე ვაგებდით. მას მაღალი შედეგების მისაღწევად სათანადო ფიზიკური მონაცემებიც აქვს და ოსტატობაც ხელს უწყობს, მაგრამ ვერაფრით დაძლია ფსიქოლოგიური ბარიერი. ვარჯიშებზე ამ სახეობის ლიდერებს დაახლოებით ერთი წამით ჩამორჩება, მაგრამ სტარტზე გასვლის წინ ძალიან ღელავს, ნერვიულობს. ამიტომ ტრასის პირველ ნახევარს უფრო ნელა გადის, ვიდრე შეუძლია. ჩვენთან მთავარია, საუკეთესო ოცდაათეულში მოხვდე. ამ მიჯნის მიღმა დარჩენილნი წარმატების ყოველგვარ შანსს კარგავენ. სოფოს იქ მოსახვედრად კონკურენციას ერთი ხორვატი და ერთიც შვედი უწევენ. ისინი, ახმეტელი და კიდევ ორი-სამი მოთხილამურე მსოფლიოს თასის ყველაზე უმცროსი მონაწილენი იყვნენ. თავად სოფო 18 წლისაა. ჩვენთან კი ოპტიმალური ასაკი 24 წელს ზევითაა. მაგალითისთვის, გერმანელი ანიტე ვახტერი 33-სა გახლავთ. იმ ოცდაათში მოხვედრა კი, იცოცხლეთ, კარგია. ეს იმხელა წარმატება და სახელია სპორტსმენისთვის, რომ მისით თავად ინტერესდებიან ფირმები. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ხელსაყრელი კონტრაქტები გაუფორმონ რჩეულებს. სოფოც რომ იმ ელიტარულ ოცდაათში ხვდებოდეს, რომელიმე ფირმა ჩააცმევდა და ინვენტარით უზრუნველყოფდა ჩვენს სამთომოთხილამურეებს — ქალებს, კაცებს, დიდებს, პატარებს... ამის მაგალითი უამრავია. ზოგიერთ ფირმას ურჩევნია, საკონტრაქტო თანხა თავისი პროდუქციით გადაიხადოს. მომავალში ახმეტელს აუცილებლად დავუქირავებთ ფსიქოლოგს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს სახეობა მისით გამოვაცოცხლოთ. თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ არც დეპარტამენტის და არც არავის დახმარება არ დაგვჭირდება. რადგან დამხმარეებზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა, არაერთგზის შემწეობისთვის მადლობა გადავუხადო „ანგლოილის" პრეზიდენტ ლევან პირველს. ის ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და პრეზიდენტ გოგი თოფაძესთან ერთად მორალურად თუ მატერიალურად ყოველთვის გვერდში გვიდგას.

**— მესმის, რომ გამოცდილებაც, ფსიქოლოგიური მზადყოფნაც ხშირ შეჯიბრებებსა და ასაკს მოაქვს, მაგრამ თუ მთლიანად სახეობის ხსნა ამ ერთ გოგოს შეუძლია, ნუთუ მისთვის კარგი პირობების შექმნა აქამდე არ შეიძლებოდა?**

— სოფოს ბუნებით მომადლებული ნიჭი აქვს. ის ჩვენთან ვაჟებსაც კი უგებს. მან წარმატებისკენ სავალ გზაზე ყველა აუცილებელი ეტაპი უნდა გაიაროს. ერთბაშად არაფერი ხდება. აქამდე ის სლალომსა და გიგანტურ სლალომში ასპარეზობდა. მომავლიდან სუპერგიგანტში სრიალსაც დავაწყებინებთ. მეც მჯერა და უცხოელებმაც მითხრეს, რომ იქ უკეთესი შედეგები ექნება.

**— თქვით, ახმეტელი დისტანციის პირველ ნახევარში მოიკოჭლებსო, მაგრამ გვახსოვს ნაგანოს ოლიმპიადაზე ზედ ფინიშთან წაქცეული სოფო. იგივე წლეულსაც შეემთხვა...**

— ეს მართლაც მოხდა, მაგრამ ასეთი რამ მარტო სოფოს ხომ არ მოსდის. ყველა სპორტსმენის შანსი 50 პროცენტია.

**— სოფოზე საუბარი, ცოტა არ იყოს, გაგვიგრძელდა, ვაჟებზე კი არაფერი გვითქვამს...**

— ნაკრების ძველი ბირთვი დაიშალა — ზურაბ ჯიჯიშვილი ესპანელ ქალზე დაქორწინდა, სპორტს თავი დაანება და ესპანეთში დასახლდა. ჩემმა ვაჟმა — ლევანმა ბავშვთა ნაკრების წვრთნა დაიწყო. მათ ნაცვლად მოვიდნენ სხვები — ცოტნე ებრალიძე, გოდერძი დადვანი, გიგლა მახარაშვილი, რომელიც ყველაზე პერსპექტიულია. ახლახან საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც გიორგი ებრალიძემ დაგვამახსოვრა თავი. გაისად ის საერთაშორისო ტურნირებშიც იასპარეზებს.

**— საქართველოს ჩემპიონატმა კიდევ ვინმე ხომ არ წარმოაჩინა?**

— ქალებში 12 წლის თამარ რობაქიძემ გაიმარჯვა. ჩვენთან 16-წლამდელებს ეკრძალებათ საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა. რობაქიძე შარშან უცხოეთში წავიყვანეთ და მთელი სეზონი ახმეტელთან ერთად ვარჯიშობდა. აქ შარშან ვისთანაც აგებდა, წლეულს მათ 8-10 წამით აჯობა. მისი სიმაღლე მეტრი და სამოცდახუთი სანტიმეტრია. დღეს კი ფიზიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამოჩნდნენ სხვა იმედისმომცემი სპორტსმენებიც — თამარ გაგაძე, მარიამ ცაიშვილი, ირინე ჯაფარიძე, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი აბრამაშვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ ათი წლისაა. მას და რობაქიძეს წლეულს ახმეტელთან ერთად აუცილებლად წავიყვანთ ევროპაში სავარჯიშოდ. სამწუხაროდ, ყველა 1987 წელსაა დაბადებული და ასაკის გამო 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ვერ გამოვლენ. აი, მომავლისთვის კი მათი ნამდვილად გვეიმედება. საქართველოს ჩემპიონატის გამართვისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მასპინძელს — გუდაურის სპორტკომპლექსის დირექტორ ვახტანგ მიქელაძეს. ის აგერ უკვე მეოთხე წელია, საკუთარი ხარჯებით გვიტარებს პირველობას. თან, თვითონაა მსაჯიც, კონტროლიორიც, შავი მუშაც. ასე განსაჯეთ, ტრაქტორსაც თავად მართავს და ბილიკებს ასუფთავებს.

**— ჩვენი გუნდი საგაისოდ როგორ მოემზადება?**

— 5 მაისიდან 15 ივნისამდე მძლეოსნობის მანეჟში საერთო ფიზიკურ მომზადებას ვგეგმავთ ავთო ბერიძესთან, მერე კი ევროპას მივაშურებთ კვლავ ფიზმომზადებაში სავარჯიშოდ — ავსტრიაში, იტალიაში. ასე გაგრძელდება 5 აგვისტომდე. შემდეგ შინ დავბრუნდებით და აქ გავაგრძელებთ მზადებას მომავალი სეზონისთვის, რომელიც ოქტომბერში განახლდება. ევროპაში მასპინძლების გარდა შვედების, გერმანელების და სხვათა გვერდით მოგვიწევს ვარჯიში. თავად განსაჯეთ — ქალები თვით დებორა კომპანიონისთან ივარჯიშებენ, რომელიც ახმეტელთან მეგობრობს კიდეც. ტანსაცმლით ავსტრიელები უზრუნველგვყოფენ. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს მათ ფედერაციასთან და ნაკრების ხელმძღვანელობასთანაც. იქაური ფედერაცია თვით საერთაშორისო ფედერაციაზე, (FIS) ძლიერია, რასაც ეს უკანასკნელიც აღიარებს. ისინი ერთმანეთს ვერ ეგუებიან, ჩვენ კი ორივესთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. საერთაშორისო ფედერაციასთან ურთიერთობის გაფუჭებას მაინც მოვერიდე და ვკითხე, ჩემი ავსტრიელებთან მეგობრობით რამე ხომ არ დაშავდება-მეთქი. მათაც მირჩიეს, ავსტრიასთან, როგორც უფრო ძლიერთან, კავშირი არ გამეწყვიტა.



გერა აბრამიშვილი და სოფო ახმეტელი

**— FIS-ი რომ ბაკურიანის სპორტკომპლექსის სარეკონსტრუქციო თანხების გამოყოფას აპირებდა, ეს ამბავი როგორღაა?**

— 15 მაისამდე საქართველოში უნდა ჩამოვიდეს ოლიმპიური ჩემპიონი, შვეიცარიელი ბერნარ რუსი, რომელიც FIS-ის სპორტული ტრასების დირექტორია. საბოლოო დასკვნა მან უნდა წარადგინოს FIS-ში და თანხებსაც შემდეგ გამოგვიყოფენ. ლაპარაკია 15 მილიონ დოლარზე. FIS-მა ინვესტორი ბანკი უკვე გამონახა, მაგრამ ფული რომ მოგვცენ, რუსის დასკვნაა საჭირო.

**— იგივე რუსიმ და FIS-ის ექსპერტებმა ორჯერ მოინახულეს ბაკურიანი და ძალიანაც მოეწონათ. სათანადო დასკვნაც წარუდგინეს FIS-ს. მისი ხელმეორედ ჩამოსვლა რა მიზანს ისახავს, საქმე ხომ არ გართულებულა?**

— თავად რუსი ერთხელ იყო საქართველოში, შემოდგომაზე. მეორედ ექსპერტები გვეწვივნენ. რუსიმ მოისურვა, ბაკურიანი უთოვლოდაც ენახა, რათა ყოველმხრივ შეემოწმებინა. ის თავის სახელსაც უფრთხილდება, მაგრამ ეს საქმე მაინც გადაწყვეტილად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს იდეა FIS-ის ვიცე-პრეზიდენტ იოზეფ მაინერს ეკუთვნის. ის ჩვენი დიდი მეგობარია, ხშირადაც ჩამოდის აქ და ბაკურიანით აღფრთოვანებულია. სხვათა შორის, ფრანგებს მყინვარწვერის ჩრდილოეთ ფერდობზე აღმოუჩენიათ მონაკვეთი, რომელზეც თურმე სწრაფდაშვების 2-კილომეტრიანი ტრასის მოწყობა შეიძლება. ერთხანს ამის გაკეთებას აპირებდნენ კიდეც, მაგრამ...

ფული რომ იყოს, ასეთი ადგილები ჩვენში ბევრია და აღარც ჩვენ მოგვიწევდა საზღვარგარეთ სავარჯიშოდ სიარული.

**ირაკლი თავაძე**

სროლა

# ნუ დააგდებ ძველსა გაზსა



ნინო სალუქვაძე

სეულში ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი ჩინელი გაო ინგის სრული ტრიუმფით დასრულდა — მან გაიმარჯვა როგორც პნევმატურ, ასევე სპორტული პისტოლეტით სროლაში.

ამ ტურნირში ნინო სალუქვაძეც მონაწილეობდა. სეული მისთვის ფეხბედნიერი ქალაქია და ნინომ იგი არც ამჯერად დატოვა გაწბილებულმა — სპორტული პისტოლეტით სროლაში ვერცხლის მედალს დაეუფლა.

სეულმა მსროლელთა ელიტიდან მხოლოდ ახლახან დედობის სიხარულნაზიარები ბულგარელი გროზდევა და ნატოს ბომბებისგან დაშინებული იუგოსლავიელი ოლიმპიური ჩემპიონი იასნა სეკარიჩი მოისაკლისა. შეჯიბრების პირველ დღეს, 24 აპრილს, მსოფლიოს ამ რჩეულმა ჩუბინმა ქალებმა პნევმატური პისტოლეტით ისროლეს. ამ სახეობაში სალუქვაძე აქამდე გერმანული ფირმა „მაინლიხერის" გაზიანი იარაღით გამოდიოდა, მაგრამ კორეაში ამ ფირმამ გამოსაცდელად ჰაერით დატუმბული პისტოლეტი გაატანა. ახალი იარაღი ვერ გამოდგა მთლად პრაქტიკული და ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმაც (მან ეს ტიტული სწორედ სეულში მოიპოვა 1988 წელს) მარცხი იწვნია — წინასწარ გასროლებში ერთობ ცოტა — 380 ქულა დააგროვა და ფინალს მიღმა დარჩა. ისე, ცოტა იღბალიც საჭიროა, თორემ ორი მონაწილე ფინალში 381 ქულით შევიდა. ნინო საბოლოოდ მე-11 ადგილზე გავიდა.

აქვე იარაღთან დაკავშირებით ერთიცაა სათქმელი — გერმანული ფირმის პოზიცია გასაგებია, თავისი წარმოების განახლებისთვის იღვწის, მაგრამ ახლებური იარაღის გამოცდა ასეთ პრესტიჟულ ტურნირში არ უნდა ხდებოდეს. მით უფრო, არჩევანში ნინოს არავინ ზღუდავდა. ის მომავალში კვლავ გაზიან პისტოლეტს მიუბრუნდება.

სამაგიეროდ, ნინო ჩვეული იარაღით გამოვიდა სპორტული პისტოლეტით სროლაში. აქ მან მეორე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ შედეგები არცთუ მაღალია. თუმც ბევრი ქულა არც სხვებს დაუგროვებიათ. ფინალში გაო ინგი 592 ქულით შევიდა, სალუქვაძე — 588-ით. მას ოთ-ოთხი ქულით ჩამორჩნენ რუსი ოლიმპიური ჩემპიონი მარინე ლოგვინენკო და ახალგაზრდა ბერძენი აგატა კასუომი. ინგმა ფინალშიც ყველაზე უკეთ ისროლა — 101,2 ქულა გააკეთა, ჯამში 693,2 დააგროვა და მეორე ოქროც მოიპოვა. ნინოს აქ კასუომიმაც აჯობა — მან 100,8 ქულას მოუყარა თავი, ჩვენებურმა — 98,9, მაგრამ სალუქვაძეს წინასწარი სროლისას მიღებულმა ოთხქულიანმა უპირატესობამ უშველა — ორი სერიის ჯამში მას 686,9 ქულა მოუგროვდა, აგატას — 684,8.

ასე მოიპოვა სალუქვაძემ მსოფლიოს თასის ამ ეტაპზე მეორე ადგილი, რამაც 24-29 აგვისტოს მიუნხენში გასამართ სუპერფინალში გაიყვანა (ეს პატივი მსოფლიოს თასის ეტაპებზე I-II ადგილებზე გასულთ ერგებათ-ხოლმე), თუმცა მიუნხენს ნინო 17-24 მაისსაც ესტუმრება ისევ მსოფლიოს თასის, ამჯერად მეორე ეტაპში სასპარეზოდ, იქიდან კი იმავე თასის მესამე ეტაპისთვის მილანში ჩავა. კვიპროსზე გაემგზავრა მესტენდური თამაზ იმნაიშვილი, რომელიც ამ დღეებში იქ მსოფლიოს თასის გათამაშებაში გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი

# ქართველებმა რუსული ტიტული დაკარგეს

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრებმა რუსეთის ღია პირველობაზე იასპარეზა. ჩვენი გუნდი ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია და წლეულს ტიტულის დაცვას ეცადა. სამწუხაროდ, ქართველმა სპორტსმენებმა ეს ვერ შეძლეს და საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ჩემპიონობას კი ველოდით, მაგრამ თუ ნაკრების მიერ განვლილ გზას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ წლეულს მან ძველებურად ვერ იყოჩაღა. შარშან გუნდმა დაუმარცხებლად, ერთი ამოსუნთქვით მოიპოვა ჩემპიონობა, ამჯერად კი ყველა წინასწარ ეტაპზე თითო მარცხი იწვნია და ფრეც შეიჩვია. უშუალოდ მოსკოვში, ფინალურ ეტაპზე ჩვენებურებმა თავდაპირველად მოსკოვის „შრომით რეზერვებთან" წააგეს 8:13, მერე ცსკას მოუგეს 11:10, მაგრამ მესამე შეხვედრა კვლავ დათმეს, ამჯერად ვოლგოგრადთან — 6:10. დარჩენილ მატჩებში კი ქართველმა წყალბურთელებმა ჯერ მოსკოვის „ბურევესტნიკს" აჯობეს 9:8, მერე კი სანკტ-პეტერბურგელებიც ზედ მიაყოლეს — 8:7. ამ შედეგებმა ჩვენებს მხოლოდ მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაუტოვა. აქ ჩვენი ნაკრების მეტოქე ისევ მოსკოვური „ბურევესტნიკი" იყო. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. საბოლოოდ მესამე დამატებით ტაიმში (!) მოსკოველებმა იძალეს — 12:11 და ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლნენ.

**ირაკლი თავაძე**

# მოდი, ვნახოთ ზორდა!

დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და უკვე პირველი ტურის მერე ოთხი უძლიერესიდან სამის ვინაობა ფაქტობრივად გარკვეულია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „დათვებს“, „ლოკომოტივი 1“-ს და „ყოჩებს“ ოთხეულში მოსახვედრად პრობლემები არ შეექმნებათ. აი, მეოთხე ადგილისთვის კი დიდი ბრძოლა გაიმართება. ვინ უკეთესად გამოიყურება, ვინ უარესად, პირველი ტურის შემდეგ ძნელი სათქმელია. „დათვებთან“ მარცხის მიუხედავად, ახალგაზრდა რკინიგზელებს ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ. ბათუმელებს რაც შეეხებათ, ეს გუნდი წლეულს უთუოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ამის პოტენცია მათ ნამდვილად აქვთ. თან გუნდს წლევანდელი სეზონის წინ რამდენიმე მობურთალი დაემატა. მათგან ორი — ნუგზარ ძაგნიძე და კახა მაჩიტიძე ჩინებული დამრტყმელები არიან. ასე რომ, შარშანდელი პრობლემა, როცა გუნდს ემზარ ძაგნიძის არყოფნაში დამრტყმელი არ ჰყავდა, აღარ არსებობს. მეორე ტურში „დათვები“ რუსთავს სტუმრობენ, რომელიც ჩემპიონ „ყოჩებთან“ 0:76 განადგურდა. ვფიქრობთ, რუსთაველებს არც ამჯერად დაადგებათ კარგი დღე. ნუ გვიწყენენ, მაგრამ ბათუმელები დღესდღეობით ერთი თავით მაღლა დგანან მეტოქეზე. ამ ტურში ჩემპიონს დასვენება მოუწევს. „ყოჩები“ ხვალ ქუთაისს უნდა სწვეოდნენ, მაგრამ ქალაქის დღესასწაულის გამო ეს შეხვედრა გადაიდო. ჩემპიონატის საწყის მატჩში არმიელებთან დამარცხების მიუხედავად, „აიამაც“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა (მეორე ტაიმს ვგულისხმობთ). ასე კი მეოთხე ადგილის მოპოვების უპირველეს კანდიდატად ითვლება „ზორდასთან“ ერთად. „ზორდა“ პირველ ტურში ისვენებდა, მეორეში კი „ლოკომოტივის“ პირველ გუნდთან მოუწევს ჭიდილი. თავის მხრივ უფროსმა რკინიგზელებმა პირველობის გახსნის მატჩში თსუ დაამარცხეს იოლად. დღეს სტუდენტები ვარკეთილში „ლოკომოტივის“ მეორე გუნდს დაუპირისპირდებიან. ეს გუნდები მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანნი არიან, ამიტომაც, ვფიქრობთ, საინტერესო შეხვედრა იქნება. ეს მატჩი დღეს საღამოს ხუთის ნახევარზე დაიწყება, რუსთავის მატჩი — ხვალ ოთხ საათზე. აი, „ზორდა“ — „ლოკომოტივის“ დაპირისპირებას რაც შეეხება, მატჩის დაწყების დრო გუშინ ვერ დავადგინეთ. უცნაურია, მაგრამ რაგბის კავშირში ვერავინ გვიპასუხა, თუმც საამისო მიზეზიც არსებობს — ჩემპიონატიდან „დინამოს“ გამოთიშვამ გათამაშების კალენდარი ფაქტობრივად ახალშესადგენი გახადა.



ზურაბ რეხვიაშვილი (ბურთით) და სხვა „დათვები“ ხვალ ახალბედა რუსთაველებს დაერევიან

# ჰამილტონის 180 გრადუსი

სამი ტურიღაა დარჩენილი ზე-12-ის პირველი ეტაპის დასრულებამდე და პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა ჯერაც უცნობია. მეტიც, პროგნოზიც კი ძნელია იმისა, თუ რომელი გუნდი მოიპოვებს ამის უფლებას.

გათამაშების ლიდერმა, „დანიდინმა“ მე-9 ტურში საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია „სიდნეისგან“ — 15:23. ამ გამარჯვებამ ავსტრალიელები მეექვსე ადგილზე ალაზევა და დანარჩენ მატჩებში წარმატების შემთხვევაში პლეი ოფშიც მოუწევთ თამაში. ავსტრალიელებს ამის გაკეთება ნამდვილად ძალუძთ.

მარცხის მიუხედავად, „დანიდინმა“ შეინარჩუნა ოთხქულიანი სხვაობა მეორეადგილოსან კეიპტაუნთან, რომელიც ამ ტურში ისვენებდა. აქედან გამომდინარე, თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. მეათე ტურში სამხრეთაფრიკელები „ოკლენდს“ დაუხვდებიან, რომელიც მე-9 ტურში შინ „დურბანთან“ დამარცხდა — 6:12 და მე-7 ადგილამდე ჩამოქვეითდა. აფრიკელებმა კი მეხუთედან მესამეზე აინაცვლეს. წინა ტურში მესამე ადგილზე მყოფი „ბრისბენი“ უთამაშებლობის გამო ერთი საფეხურით დაქვეითდა. ხვალ ბრისბენელები „სიდნეის“ სტუმრობენ. ამ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა. გუშინ მე-10 ტურის ერთი მატჩი გაიმართა. „ჰამილტონმა“ ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა. ამჯერად ახალზელანდიელებმა სამხრეთ აფრიკის „დურბანს“ სძლიეს 32:19. თან მეოთხე ლელოს გატანით პრემიალურ ქულასაც გამოჰკრეს ხელი. საწყის ხუთ ტურში ხუთჯერ დამარცხების მერე ჰამილტონელებმა ზედიზედ ოთხ მატჩში მოიპოვეს გამარჯვება და პლეი ოფში მოხვედრის შანსს კიდევ ინარჩუნებენ. წინა ტურში ახალზელანდიელებმა „იოჰანესბურგი“ დაამარცხეს 44:42 ბოლო წუთზე ჯეკსონის მიერ გატანილი ლელოს წყალობით. თავის მხრივ სამხრეთაფრიკელები სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ მხოლოდ რვა მატჩი აქვთ ნათამაშევი და ნახევარფინალში გასვლის შანსს კვლავაც ინარჩუნებენ. ზეგ „იოჰანესბურგი“ სტუმრად „კრაისტჩერჩს“ ეთამაშება, რომელიც ასევე 8 თამაშით ამჟამად ცხრილში მე-9 ადგილზეა და სამხრეთაფრიკელებს ორი ქულით უსწრებს. არადა, პირველობის დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა, რომ შარშანდელი ჩემპიონის ნახევარფინალში გასვლა სათუო გახდებოდა. ჩემპიონმა მე-9 ტურში სტუმრად „პრეტორიას“ სძლია 30:28, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეცხრე მარცხი იყო წლევანდელ გათამაშებაში. სამხრეთაფრიკელებს ნახევარფინალში მოხვედრის არანაირი შანსი აღარა აქვთ. ანალოგიურ მდგომარეობაშია ველინგტონი, რომელიც „კანბერასთან“ დამარცხდა 13:21. ხვალ „ველინგტონი“ და „პრეტორია“ ისვენებენ. „კანბერას“ კი „დანიდინთან“ მოუწევს დაპირისპირება სტუმრად.

**პაატა თოთაძე**

### სატურნირო ვითარება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 9 | 7 | 0 | 2 | 252:174 | 2 | 30 |
| კეიპტაუნი | 8 | 6 | 0 | 2 | 221:194 | 2 | 26 |
| დურბანი | 9 | 5 | 1 | 3 | 199:164 | 1 | 23 |
| ბრისბენი | 8 | 5 | 1 | 2 | 147:132 | 1 | 23 |
| კანბერა | 9 | 4 | 0 | 5 | 248:170 | 6 | 22 |
| სიდნეი | 8 | 4 | 1 | 3 | 204:167 | 4 | 22 |
| ოკლენდი | 8 | 4 | 1 | 3 | 144:121 | 3 | 21 |
| ჰამილტონი | 9 | 4 | 0 | 5 | 200:254 | 4 | 20 |
| კრაისტჩერჩი | 8 | 4 | 1 | 3 | 194:173 | 1 | 19 |
| იოჰანესბურგი | 8 | 3 | 0 | 5 | 244:245 | 5 | 17 |
| ველინგტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 179:200 | 4 | 14 |
| პრეტორია | 9 | 0 | 0 | 9 | 151:389 | 3 | 3 |



# ყველა პანტანის წინააღმდეგ

„ჯირო დიტალიას“ დაწყებამდე ორიოდ კვირაღა რჩება. იტალიის გზებს ველომრბოლები 15 მაისს შეეჭიდებიან. პირველი ეტაპი კუნძულ სიცილიაზე, პატარა ქალაქ აგრიგენტში დაიწყება. როგორც იცით, ეს შეჯიბრი სეზონის სამი უმთავრესიდან (დანარჩენი ორი „ტურ დე ფრანსი“ და „ვუელტაა“) პირველია, ამიტომაც სპორტსმენები მისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან.

ხუთშაბათს დამთავრებული „ტრენტინის ტურიც“, რომელიც ავსტრიაში დაიწყო და შემდეგ იტალიაში გაგრძელდა, უძლიერესმა მრბოლებმა ერთგვარად ჯიროსთვის უკეთ მოსამზადებლად გამოიყენეს. გამოჩნდა, რომ მათი უმეტესობა კარგ ფორმაშია და იტალიის უმთავრესი ტურნირის მოსაგებადაც ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდება.

„ისევე ვარ მომზადებული, როგორც შარშან. დარწმუნებული ვარ, რომ ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვება გამიჭირდება, რადგან ყველა მეტოქე ერთიანი ძალით შემებრძოლება. თუმცა მაინც ვიმედოვნებ, რომ პირველობა ისევ მე დამრჩება“ — თქვა „ჯირო დიტალიისა“ და „ტურ დე ფრანსის“ შარშანდელმა მომგებმა, იტალიელმა მარკო პანტანიმ.

ყველა რომ მის წინააღმდეგ იქნება, ეს „ტრენტინის ტურშიც“ გამოჩნდა. „ილ პირატის“ და სხვების დაპირისპირება ჩინებულად გამოიყენა იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ (საეკო) და ზედიზედ მეორედ იმარჯვა ამ შეჯიბრში. 23-ე გათამაშების ბოლო ფინიში ქალაქ არკოსთან იყო. ეტაპის ბედი, რომლის განმავლობაშიც პელოტონს მოწყვეტა ვერავინ მოახერხა, ჯგუფურ სპრინტში გადაწყდა. ყველას რუსმა ალექსანდრ გონჩენკოვმა აჯობა. მეორე და მესამე, შესაბამისად, გერმანელი დანილო ჰონდო და ავსტრიელი გერიტ გლომსერი იყვნენ.

საერთო ჩათვლაში სავოლდელიმ პანტანისთან შვიდწამიანი უპირატესობა შეინარჩუნა, რადგან ორივემ ერთნაირი დრო აჩვენა.

ახლა ჯირომდე კიდევ რამდენიმე მცირე შეჯიბრი გაიმართება, 15 მაისს კი...

**გაიოზ თალაქვაძე**





REUTERS ჰამბურგიდან

ვინუს უილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეშინია სიცივისა

**მიუნხენი. გერმანია. BMW-ის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $**

მიუნხენის ტურნირის ორგანიზატორებს შეიძლება მხოლოდ უთანაგრძნო — გაისარჯნენ, დაიხარჯნენ, საუკეთესო ჩოგბურთელების მისაპატიჟებლად თავი არ დაზოგეს, გამარჯვებულს ახალთახალ BMW-საც დაჰპირდნენ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი: ქომაგებს მატჩების სანახავად აწი ტრიბუნებზე რითი შეიტყუებ, მეოთხედფინალისტებს შორის ხომ საუკეთესო ორმოცდაათეულის ერთი წარმომადგენელიც აღარ ურევია.

უკანასკნელი იმედი მასპინძლებს არგენტინელმა ფრანკო სკილარიმ დაუსამარა, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტ ტომი ჰაასს აჯობა 6:2, 6:7 (1:7), 6:1. გერმანიის პირველი ჩოგანი მხრის ტკივილის გარდა, რის გამოც ექიმის დახმარებაც დასჭირდა, ბრეიკ-პოინტების გამოუყენებლობამ დაღუპა (1:14-დან). „ეს მატჩის მოსაგებად საკმარისი არ არის. თიხნარზე თამაშს, ეტყობა, ჯერაც ვერ ავუღე ალღო. ცოტა მეტი დრო და ვარჯიში მჭირდება“.

ისე, სამხრეთამერიკელს ბობოლათა გამწარება ნამდვილად არ ესწავლება — ორი კვირის წინ ბარსელონაში მან მომავალი მსოფლიოს პირველი ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი გაანადგურა.

**მერვედფინალი:** **მიხაელ კოლმანი** (გერმანია) — უეინ ფერერა (5, სამხრეთ აფრიკა) 6:7 (4:7), 6:4, 7:5; **ალბერტო ბერასატეგი** (ესპანეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:3); **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — დინუ პესკარიუ (რუმინეთი) 6:7 (3:7), 6:0, 6:3; **ჰენდრიკ დრეეკმანი** (გერმანია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 3:6, 6:2, 6:1.

**ატლანტა. აშშ. მწვანე თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

ვარსკვლავთა ცვენით, მიუნხენის არ იყოს, ვერც ატლანტის ტურნირი დაიკვეხნის, თუმცა აქ ხოცვა-ულეტას თითოოროლა განთესილი მაინც გადაურჩა.

ჩვენ მაინც ჩვენს ცოდვაში ჩამდგარი ალბერტო მარტინით დავიწყოთ. ესპანელ მოთიხნარეს, რომელმაც პირველ წრეში ირაკლი ლაბაძე დაამარცხა, ისევ დიდი ბრძოლა გადახდა, ამჯერად არგენტინელ გილერმო კანასთან, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით მეოთხედფინალში მაინც გააღწია 7:6 (7:3), 7:6 (7:4).

გუშინ გამართულმა შეხვედრებმა კი მოთამაშეებს ნამდვილი გამძლეობის გამოცდა მოუწყო: მატჩების უმეტესობა 10 გრადუს ტემპერატურასა და წვიმაში მიმდინარეობდა. „ისე მციოდა, თამაშზე ფიქრის თავიც კი არ მქონდა, ბურთს უბრალოდ უკან ვაგდებდი, ოფლი ღვარად მდიოდა, მაგრამ მაინც ვერაფრით გავთბი“ — ეს სიტყვები პრესკონფერენციაზე თბილ ლაბადაში გახვეულმა ჯეისონ სტოლტენბერგმა (2) ჯერაც კბილების კაწკაწით წარმოთქვა.

ტურნირის ორგზის ფინალისტ ავსტრალიელს იმაში მაინც გაუმართლა, რომ მისი მეტოქე 33 წლის თანამემამულე, ფიზიკური მზადყოფნით არცთუ გამორჩეული მარკ ვუდფორდი იყო, რომელსაც ნელ კორტთან და წყლით დამძიმებულ ბურთთან გამკლავება კიდევ უფრო გაუჭირდა და ხეირიანი წინააღმდეგობაც ვერ გასწია — 2:6, 3:6.

თუ ცოცხალი მაგალითი გჭირდებათ იმისა, თუ რას ნიშნავს ჩოგბურთში თავდაჯერება, საკმარისია სებასტიან გროსჟანი ავიღოთ. 20 წლის ფრანგს ჯერ კიდევ ორი თვის წინ კაცი არ იცნობდა, მაგრამ შერბურში პაწაწა ჩელენჯერის მოგებამ ყველაფერი შეცვალა: ნახევარფინალი კოპენჰაგენში, ფინალი კი ბისკეინში, კარიერის საუკეთესო, მე-40 ადგილი კლასიფიკაციაში.

„ადრე იმითაც ბედნიერი ვიყავი, თუ ერთ ან ორ მატჩს მოვიგებდი, მაგრამ ბოლო ხანებში საქმისადმი მიდგომა შემეცვალა. ასე მგონია, ახლა ყველა ტურნირის მოგება შემიძლია“ — მიაჩნია გროსჟანს. ატლანტაში კი ახალგაზრდა ფრანგმა (5) ჯერჯერობით მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა მეორე წრეში 1997 წლის ჩემპიონის, ურუგვაელი მარსელო ფილიპინის 6:4, 6:2 დამარცხებით.

**მეორე წრე:** **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — მაიკლ ჩანგი (4, აშშ) 6:1, 6:4; **მაგნუს ლარსონი** (8, შვედეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6 (8:6), 2:6, 6:1; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 3:6, 6:4, 6:1; **მარტინ როდრიგესი** (არგენტინა) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 7:6 (8:6), 6:3.

**ჰამბურგი. გერმანია. „ბეტი ბარკლის თასი“. თიხნარი საპრიზო 520 ათასი $**

უილიამსებმა ევროპის სათიხნარო სეზონი გახსნეს. „ბედნიერი ვარ, რომ ისევ ვასპარეზობ ტურნირებზე, თამაში ძალიან მომენატრა. ეს ორი კვირაა, შინ ვვარჯიშობდი, რაც მართლაც ყელში ამომივიდა“ — განაცხადა ჰამბურგში პირველად ჩასულმა ვინუს უილიამსმა.

შავი დებისგან უფროსი, ისევე, როგორც კიდევ სამი განთესილი დიაცი, პირველი წრიდან განთავისუფლებული იყო და ასპარეზობაში პირდაპირ მერვედფინალში ჩაერთო. ესპანელი მაუი სერნა ღირსეული მეტოქე ნამდვილად არ გამოდგა — პირველ სეტში ასე თუ ისე თანაბარი ბრძოლის შემდეგ ყურები ჩამოყარა და მატჩის ბოლო ხუთი გეიმი 10 წუთში დათმო. საბოლოოდ 6:3, 6:1 ამერიკელის სასარგებლოდ.

„თუ რაიმეს მიღწევა გინდა, ყველა საფარზე უნდა შეგეძლოს თამაში — დაასკვნა ვინუსმა, რომელიც თიხნარზე დიდი წარმატებებით არასოდეს გამოირჩეოდა, და არც ცივი გერმანული კლიმატის გამო დაუჩივლია — არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ თოვლი არ წამოვა. ისე, დღეს ცოტა ხნით მზეც კი დაგვენახა“.

**მერვედფინალი:** **იანა ნოვოტნა** (1, ჩეხეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:4, 6:2; **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (3, ესპანეთი) — მარია ლორენსო (ესპანეთი) 6:3, 6:0; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 7:5; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — ნატალი ტოზია (5, საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:0; **სილვია ფარინა** (იტალია) — დომინიკ ვან რუსტი (6, ბელგია) 2:6, 7:5, 7:6 (12:10); **ამანდა კუტცერი** (7, სამხრეთ აფრიკა) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:1

**ავთანდილ სვანიძე**

# მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



...ელი ოცდამეთოთხმეტე

# მოწყენილი და უნიკალური

**თუკი** ვინმე უნდა იყოს თავაწეული დღევანდელ კრივში, უთუოდ როი ჯონსი.

საშუალო წონის ჩემპიონი დღევანდელი კრივის საუკეთესო მებრძოლთა სამეულში ნაღდად შედის.

ძაან ბიჭია ეს როი ჯონსი — მძლავრი მოკრივე, ნაღდი ვარსკვლავი და აზირებული შავი კაცი.

ყოველთვის ამბობდნენ, როი ჯონსი მარადი ჩემპიონია, ვერასოდეს დაამარცხებენო. არც არის გასაკვირი, ასეთი ფრთაგაშლილი მებრძოლი, ასეთი სიმსუბუქით მოკრივე და ასეთი მკლავძალისა და ტექნიკის პატრონი სხვა ვინაა? უსწრაფესი და ჯანიანი, მოკლედ, მკვლელი.

ამის მიუხედავად, ჯონსის ბრძოლათა ცხრილში ერთი წაგება მაინც არის. და სულ იმიტომ, რომ კაცი ისე, როგორც მრავალი მისი კოლეგა, გიჟმაჟია და ცეცხლოვან შერკინებაში წაყირავებულ მოწინააღმდეგეს გადააჯდება და თავ-პირში სცემს ხოლმე. ის ერთადერთი წაგებაც, მსაჯთა სასჯელია არასპორტული საქციელის გამო და არა ორთაბრძოლაში მარცხი. სხვა და ალბათ, ყველაზე მტკივნეული მარცხი თუ მოაგონდება როი ჯონსს, ალბათ, მოყვარულად ყოფნის დროისა, როცა სეულის ოლიმპიადაზე ურცხვად განმსჯელმა დამთვლელებმა მას ოქროს მედალი წაართვეს. მაშინ რინგზე ბოთლები და ჭიქები ცვიოდა, კორეელები კი ოლიმპიურ ოქროს ზეიმობდნენ.

ის მარცხი მალე დაივიწყა ჯონსმა და პროფესიონალად ქცეულმა მალევე აალაპარაკა ხალხი — აი, ახალი მეფეო. ბოლო ხუთ წელიწადში ჟურნალმა რინგმა ორჯერ დაასახელა სამყაროს საუკეთესო მოკრივედ. მერე როი პენსაკოლაში დასახლდა და ბანაკიც იქ მოიწყო.

ჟურნალისტები ძირითადად სადაზღვევო კომპანიებზე წერდნენ. ავად ხუმრობდნენ, ჯონსთან შემრკინებელ რომელსამე მოკრივეს ვექილები უფრო სჭირდება, ვიდრე მწვრთნელებიო. თან კარგი ვექილებიო. აბა, თუ კარგი ვექილი არა გყავს, რომელი სადაზღვევო კომპანია გარისკავს ჯონსთან შემრკინებლის სიცოცხლის დაზღვევასო.

მაგრამ როგორც მოკრივეთა სრული უმრავლესობა, ჯონსიც ქერქეტი, ცერცეტი, ტვინგადაბრუნებული და აზირებული ვინმე გამოდგა.

სხვას რას ელოდნენ?

დიდების კვარცხლბეკზე მდგომმა გამოაცხადა, კრივს თავს ვანებებ, აქ მოცილეს ვერა ვხედავ და რაიმე სხვა სპორტში უნდა ვცადო ბედიო.

ასეთი რამ არახალია მილიონერ პროფესიონალთა შორის. თვით მაიკლ „ჰაერ" ჯორდანმაც კი ერთი ხანობა ბურთი განზე გააგორა და ხელში ბეისბოლის კეტი, თუ ტაფელა დაიჭირა, ამ საქმეშიაც მაგარი უნდა შევიქნეო. ერთი მომცრო ლიგის საშუალო მოთამაშეობას ვერ გასცდა და ისევ ბურთი აიღო ხელში.

როი ჯონსმა კი, ეტყობა, ჯორდანის წასვლით ისარგებლა და შესძახა — ჩემი მიზანი ენბიეიში ვარსკვლავად გახდომააო. ოდესღაც რომ ამერიკაში კალათბურთის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა და ყოველ ქუჩაზე ფარი დაიდგა, იქიდან მოყოლებული, კალათბურთის თამაში ყველამ იცის, ბილ კლინტონმაც და ბიაიჯი ნოთორიუსმაც. ასე რომ, როი ჯონსს სროლა და ტარება გაწაფულად შეეძლო.

მაგრამ ასეთი რამ ყოველ ამერიკელ მოწაფეს ხელეწიფება და განა ყოველი ამერიკელი მოწაფე ენბიეიში ხვდება? კრივის დიდმა ჩემპიონმა არ დაიშალა და 1996 წელს ლოს ანჯელესის პროფესიონალთა საზაფხულო ბანაკში ჩაერიცხა. ამ განთქმულ ბანაკში ზაფხულობით დიდი შეკრება იმართება ხოლმე და ასე, ასი ახალბედა იყრის თავს, რათა თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს და სამომავლო უზურში მოექცეს. აქვე არიან „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" დრაფტის ბიჭები და ხომ წარმოგიდგენიათ? მსოფლიოს დაუმარცხებელი ჩემპიონი კრივში.

კარგია აღინიშნოს, რომ იმ წელიწადს ჯონსის მხარდამხარ თამაშობდა სტუდენტი-ფენომენი, აწ უკვე ვარსკვლავი და „ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი. ჯონსს პირი დაალებინა მსროლელი მცველის, ოცდათერთმეტი წლის მარკ ჯეკსონის ხილვამაც, რომელსაც უკვე თვრამეტი წელიწადი გაეტარებინა ენბიეიში.

რა გასაკვირია და, ჯონსმა იქ ვერ მოძოვა, თუმცაღა, თავისი სპორტული მზადყოფნითა და თავდაუზოგავი ვარჯიშით იმდენი მოახერხა, რომ ჩაირიცხა ერთ-ერთი, სრულიად უსახელო ლიგის (ასე ჰქვია — შეერთებული შტატების საკალათბურთო ლიგა) საშუალო გუნდში, „ჯექსონვილ ბარაკუდასში" ჩაირიცხა. ეს კლუბი ცნობილია იმით, რომ არსებობის განმავლობაში მოუხერხებია და ორი მოთამაშე, ენტონი მეისონი და ლოიდ დენიელსი მიუვლენია ენბეიეში.

როგორი იყო როი ჯონსის შედეგი?

მატჩში საშუალოდ ოც წუთს თამაშობდა და ოთხ ქულასა და ორ ქულისმომტან პასს ახერხებდა.

აბა საკვირველი არ არის კაცის ფიქრი? თითო მუშტის გაქნევით წუთნახევარში წააზღენდა ხოლმე მოწინააღმდეგეს. აქ კი... ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯონსი ჯერ კრივსაც არ შეშვებოდა და სახალისო ამბებსაც ახდენდა. მაგალითად, ერთ შუა ზაფხულის დილით „ბარაკუდასის" ხუთეულში დაიკავა ადგილი, საღამოს კი რინგზე გავიდა, კანადელი ერიკ ლოუკასი გაანგრია და ტიტული დაიცვა.

მაგრამ თანდათან, ჯონსმა კრივზე გული აიყარა და „ბარაკუდასის" საქმეებში ჩაერთო. ამან ის გამოიწვია, რომ მან დაკარგა ჩემპიონის ტიტული, რახანღა მისი დაცვის სავალდებულო ვადას გადააცილა.

რომ ჩავუკვირდეთ, ამ საქმეს ფსიქოლოგებიც სჭირდება. ეგებ, ჯონსი ვერც იყოს კარგად გაზრდილი ბიჭი, რინგზე ბრძოლის ჟამს აგრესიულადაც იქცეოდეს, მაგრამ თავისი ყოველდღიურობით, ის სანიმუშო კაცია და სანიმუშო სპორტსმენი. მაგალითისთვის, იმავ ჩარლზ ბარკლისგან განსხვავებით, ჯონსი არ ეწევა, არ სვამს და თრიაქსაც არასოდეს დაწაფებია. როგორც მოკრივე, ის ყოველთვის დარწმუნებული იყო — როი ჯონსის დამმარცხებელი არავინაა, გარდა თავად როი ჯონსისა. კაცი — რეალურად უძლეველი თავის საქმეში და სრულიად უცხო საქმეს შეჭიდებული, ვინ იცის, რატომ.

მოწყენის გამო?

გასართობად?

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული?

მაგრამ როგორც ჯორდანის აზირებამ ვერ გასტანა დიდხანს, ასევე ჯონსისამ.

და როი ჯონსი გამოჩნდა რინგზე უკვდავი ფრაზით — „ვინ მოერევა პატარა კალათბურთელს?"

და მისი მჯობნი კვლავ არავინ არის.

როი ჯონსის მედიდურობა ხალხს აღიზიანებს, მაგრამ ნაღდს ვერავინ გაექცევა — ისევე, როგორც ოსკარ დე ლა ჰოია, ჯონსიც რჩება დღევანდელი კრივის ყველაზე უფრო შთამბეჭდავ ფიგურად.

რახან დე ლა ჰოია, ამერიკის ოქროს ბიჭუნა ვახსენეთ, გავიხსენოთ მისი ერთი აზირებაც, თუმცა ნაღდად სპორტული. დე ლა ჰოიას კარგა ხანია გამოცხადებული აქვს, რაც შეიძლება, მეტი წონის ჩემპიონი უნდა შევიქნეო და ასრულებს კიდეც. ამაყად გადადის დივიზიონიდან დივიზიონში და ქამრებს აგროვებს. მცირე წონათა სპეციფიკაც იძლევა ამის საშუალებას. იქ შედარებით იოლია. რამდენიმე ფუნტის მომატება და ღირსეული წინსვლა.

სულ სხვა ვითარებაა მძიმეთა შორის. თუ ზოგიერთ ქვემძიმეწონოსანს, ან კრეისერის წონისას ძალუძს ზე დივიზიონში წონის მატებით გადასვლა და გოლიათთა შორის ჩხუბი, სრულიად წარმოუდგენელია, რომ საშუალო და თუნდაც სუპერსაშუალო წონის მოკრივემ იმგვარად მოიმატოს წონაში, რომ მძიმეთა შორის მუშტების ძნელა შეძლოს. ეს უბრალოდ ფიზიკურადაც შეუძლებელია და ორგანიზმსაც ლახვარსა სცემს. ამიტომ პატარანი ვერასოდეს გახდებიან დიდნი.

და რა გასაკვირია, რომ როი ჯონსს, უძლეველს, თუმცაღა ერთხელ გიჟმაჟობის გამო დამარცხებულს, კვლავ მოსწყინდა იმ თავის წონაში პირველობა და იმ თავისი სახელით ყოფნა.

მეო, განაცხადა როი ჯონსმა, უეჭველად მძიმე წონაში უნდა გავხდე ჩემპიონი, სხვაგვარი პატივი არ მაკმაყოფილებსო.

თანაც ჯონსმა წონის მომატებაზე მუშაობა იუარა და თქვა, ჩემივე წონით დავუდგები თვით ტაისონსო. მაიკი მაშინ ახალი გამოსული იყო ციხიდან და ჯონსის ნათქვამი სასაცილოდ არ ეყო. მენეჯერთა შორის ლაპარაკები ატყდა, ეს მართლაც გრანდიოზული ორთაბრძოლა როგორ გავჩარხოთო, მაგრამ ექსპერტებმა ერთხმად განაცხადეს, ამ კრივისგან სანახაობა არ გამოვა, ტაისონი ერთი დარტყმით მოიგებს და ხალხში ეს შოუ მხოლოდ თახსირი და ფულის უნამუსოდ გასაკეთებელი სანახაობის სახელს დაიგდებს, რითაც, ცალკერძ ტაისონის საკრივო სახელი წახდება და მეორეკერძ, კიდევ ჯონსისაო. ეს შერკინება არარეალური და უსამართლოა, რადგან, რაც არ უნდა დიადი მოკრივე იყოს როი ჯონსი, იგი პატარაა და რაც არ უნდა სწრაფი და მომაკვდინებელი დარტყმა ჰქონდეს, თავისი მკლავის ძალით, თვით ყრუ დაცვითაც კი ვერ შეაჩერებს ტაისონის განთქმულ მარჯვენას. შესაძლოა, ეს ამბავი ტრაგიკულადაც დასრულდესო.

ცხონებულმა არჩი მურმა იცოდა — უეჭველად შეეტოტებოდა მძიმე წონის განთქმული ჩემპიონებს, მაგრამ ამით ვერაფერს ამტკიცებდა. როკი მარჩიანოს წამქცევი ხომ არ იყო?

ჯონსს ეყო ჭკუა და გაჩუმდა, მაგრამ მძიმე წონასთან ჭიდილის დილიხორი მაინც ვერ გადაიგდო.

ახალი სახელიც გამოიძებნა — ჯორჯ ფორმენი, ბებერი ძია ჯორჯი.

ამის გამო სახალხოდ ითქვა — დიახაც რომ ფრიადი შოუ გამოვა, ბებრეკი ლეგენდა თავისი გოლიათური აღნაგობით და დარბილებული მუშტებით მართლაც რომ კარგი მოწინააღმდეგე იქნება. მოძრავი, საოცარი, გამორჩეულად კარგ ფორმაში მყოფი ჯონსისთვისო. მოწადინება მართლაც დიდი იყო, მაგრამ ძია ჯორჯმა (როგორც სჩვევია ხოლმე) სიტყვა ბანზე აუგდო და თანაც ჯონსს დაცინვა დაუწყო. დამცინავ და მხიარულ ინტერვიუებში კაი ფულიც იშოვა, მაგრამ კონკრეტული არაფერი თქვა ცხადი იყო, რომ მას ჩხუბი არ უნდოდა და ჯიბეს კი ისქელებდა.

მერე კიდევ რაღაც წამოიკნავლეს რიდიკ ბოუზე, მაგრამ ეს „ბიგ დედი" მაშინ სრულ გონებრივ დაბნეულობას განიცდიდა და საზღვაო-ფეხოსანთა რიგშიაც კი ჩაეწერა. ასე რომ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ჯონსი კვლავინდებურად რჩება თავისი წონის ჩემპიონად.

მოწყენილია.

და არცთუ უსაფუძვლოდ.

თუკი ოსკარ დე ლა ჰოიას, ასე თუ ისე, გამოუჩნდა ღირსეული მოცილე — განელი აიკ კორტი და მათი შერკინება ნაღდად წლის საკრივო სანახაობად იქცა, ჯონსს ასეთი არავინა ჰყავს და ალბათ, კარგა ხანს არ ეყოლება. ოცდაათი წლისა გახდება და ინტერესი აღარა აქვს. ასეთი მხარ-მკლავის კაცი გოლფის ყვანჯს ხომ არ მოავლებს ხელს და ტაიგერ ვუდსის დამარცხებას ხომ არ შეეცდება? უხერხული იქნებოდა მუშტის უნიკუმი ბალახში ბურთის ჩასავარდნი ხვრელების ძებნით დაკავებულიყო.

ლექსის წერა არ იცის, თორემ დაწერდა.

ერთი ხანობა, ფრჩხილები მოიზარდა ხელებზე. სხვა გასართობი ვერ ნახა.

ხშირად იმეორებს:

„რა ვქნა? ჩემს მესამე-მეოთხე პროფესიულ ბრძოლაში უკვე შემეძლო დივიზიონის ჩემპიონის დამარცხება. მაშინაც კი ბრძოლები უინტერესო იყო".

აჭარბებს — მისი კრივი ძალიან საინტერესო საცქერია, ოღონდ მეტად ხანმოკლე გამოდის. რა დარჩენია?

საუკეთესოდ ყოფნა უხერხული არ არის, მაგრამ მოსაწყენია.



ახალგაზრდა ჯონსი (მარჯვნივ) იმ დროის ჩემპიონ ჯეიმს ტონის ასილაქებს



მართლა მხეცი ამერიკელი



მამა, როი ჯონს უფროსი, მისი საუკეთესო დამრიგებელია



აი, სიგიჟე — კრივის ჩემპიონის ქამრით და კალათბურთის ბურთით

# F1

**მესამე ეტაპი** **სან მარინოს დიდი პრიზი**

## ენცო და დინო ფერარების ტრასა

*იმოლა, 2 მაისი*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . **4.930 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . **62 წრე — 305.437 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17.00 საათზე*

### შარშანდელი შედეგები:

1. კულჰარდი (მაკლარენი) 1.34,24,593; 2. მ. შუმახერი (ფერარი); 3. ირვინი (ფერარი); 4. ვილნევი (უილიამსი); 5. ფრენცენი (უილიამსი); 6. ალეზი (ზაუბერი)

### წინა წლების გამარჯვებულები:

1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — მ. შუმახერი (უილიამსი); 1995 — ჰილი (უილიამი); 1996 — ჰილი (უილიამსი); 1997 — ფრენცენი (უილიამისი)




იმოლაში გუშინდელ ვარჯიშზე ყველაზე სწრაფი მიკა ჰაკინენი იყო

ჩემპიონატის პირველ ორ ეტაპზე მოწინავე გუნდების — „მაკლარენისა" და „ფერარის" პილოტებმა იმარჯვეს, თუმცა კი პირველობის ერთ-ერთ ფავორიტს შუმახერს ჯერჯერობით არ გაუმარჯვია, მისმა მთავარმა კონკურენტმა ჰაკინენმა კი წინა რბოლაში წლეულს პირველი 10 ქულა მიითვალა. სწორედ ამ ორი პილოტისა და მათი თანაგუნდელების პირველობისთვის ბრძოლას უნდა ველოდეთ იმოლაში, რომელიც „ფერარის" შინაურ ტრასად ითვლება, თანაც „სკუდერია" ჩემპიონატის ლიდერია და ყველაფერს იღონებს მოსაგებად. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იტალიელთა გუნდი სისწრაფეში ჯერჯერობით ჩამორჩება „მაკლარენს", მაგრამ არც ეს უკანასკნელია უნაკლო — გადაცემათა კოლოფში მოიკოჭლებს. „ფერარი" იმოლაში ტექნიკური სიახლეების გამოყენებას აპირებს, „ვერცხლისფერებსაც" საკმაო დრო ჰქონდათ ნაკლის გამოსასწორებლად. ასე რომ, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდება.

სხვა გუნდებიდან პირველ ეტაპებზე „სტიუარტისა" და „ჯორდანის" პილოტებმა გამოიჩინეს თავი. თუ შოტლანდიელებმა ბოლიდი უფრო საიმედო გახადეს, ბარიჩელოს ქულების მოპოვების შანსიც ექნება, ირლანდიელებიც ექვსეულის კანდიდატები არიან. მათ გარდა ქულებისთვის „უილიამსისა" და „ბენეტონის" მრბოლებიც იბრძოლებენ.

უკეთ უნდა იასპარეზონ „პროსტისა" და „ზაუბერის" პილოტებმაც. სამკვირიანი შესვენება მათი ბოლიდების უკეთ გამართვასაც წაადგებოდა.

წინა რბოლებში ქულების მოპოვების შესაძლებლობა დებიუტანტ BAR-საც გაუჩნდა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო მისმა ბოლიდებმა ფინიშამდე ვერ მიაღწიეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც შეძლებენ ამას — BAR-ის საჯინიბოს ხომ დიდი ტექნიკური და ფინანსური პოტენციალი აქვს.

იმოლაში მე-100-ედ გამოვა სტარტზე „ზაუბერის" გუნდი.

ასევე მე-100-ედ იასპარეზებს ბრაზილიელი რუბენს ბარიჩელო, ჰაკინენი კი 115-ედ. „ბენეტონისთვის" ეს 270-ე რბოლა იქნება, მასპინძელ „ფერარისთვის" 605-ე.

**ალეკო ტაბუკიანი**



# ცოტა უცნაური და საკმაოდ საინტერესო




შვედთა ნაკრები ყველაზე მეტად მეკარე ტომი სალოს შემატებამ გაახარა

დღეს ნორვეგიაში მსოფლიოს 63-ე ჩემპიონატი იწყება. პირველობას 16 ნაკრები შეეცილება ერთმანეთს. საუკეთესოს ვინაობას კი 16 მაისს შევიტყობთ.

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

### რეიტინგი

ბოლო წლების განმავლობაში ჩემპიონატის ჩატარების ვადების თაობაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. ზოგს სურდა, რომ ტურნირი სექტემბერში, ან მაისის მეორე ნახევარში გამართულიყო, რათა მასში რაც შეიძლება მეტ ნჰლ-ელს მიეღო მონაწილეობა. წლეულს კი IIHF-თან დაახლოებულ წრეებში სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი თებერვალში აჯობებდა. საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ნჰლ-თან ურთიერთობები ბოლომდე ვერ მოგვარებულიყო. გარდა ამისა, გაჯანჯლდა წამყვანი ნაკრებების ხელმძღვანელების ოკეანის გაღმა მოთამაშეებთან მოლაპარაკებებიც, რის შედეგადაც გუნდებში ვაკანსიები რჩებოდა. მიუხედავად პრობლემებისა, თუ ეს იდეა გაიმარჯვებდა, ჩემპიონატის არცთუ მაღალი რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემოდა. ნჰლ თავის პირველობას არ შეაჩერებდა და საუკეთესო ოსტატების ხილვაც შეუძლებელი გახდებოდა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხომ მსოფლიოს ჩემპიონატები უდიდესმა ვარსკვლავებმა დაამშვენეს. ესენი იყვნენ: პოლ კარია, რობ ბლეიკი, ჯო საკიკი (ყველა კანადა), მატს სუნდინი, პეტერ ფორსბერგი (ორივე შვედეთი), იარომირ იაგრი (ჩეხეთი), ტეემუ სელიანე (ფინეთი), ალექსეი იაშინი (რუსეთი). მეორეც — კანადისა და აშშ-ის ნაკრებების გამოსვლას აზრი დაეკარგებოდა, რადგან თებერვალში არამარტო ნჰლ-დან, სხვა ქვედა ლიგებიდანაც ვერ მიიღებდნენ ისინი სათანადო დახმარებას და სტუდენტების იმედზე დარჩებოდნენ.

### რეგლამენტი

მიუხედავად უამრავი შენიშვნისა, საერთაშორისო ფედერაციამ შარშანდელი რეგლამენტი არ შეცვალა. მართალია, იგი მედლებისთვის მებრძოლ ყველა გუნდს აძლევს შეცდომის გამოსწორების საშუალებას და ფინალურ ეტაპზე პირველი მარცხისთანავე არ ეთიშება ტურნირს, მაგრამ ნახევარფინალების და ფინალის ორმატჩიანი სქემა აშკარად დიდი უცნაურობაა. მეორე რაუნდში ექვსი და არა რვა გუნდის გასვლის სისტემა გაცილებით მომხიბლავი იყო (1997 წელი), მაგრამ იგი რატომღაც გააუქმეს.

### ფავორიტები

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ ჩემპიონატის ფავორიტებად ისევ და ისევ კანადის, შვედეთის, ფინეთის, ჩეხეთის და რუსეთის ნაკრებებს დავასახელებთ. ჰოკეის სამშობლომ, კანადამ, 1994 წლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, ორი წლის წინ მიაღწია წარმატებას დიდ ტურნირზე (მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო). ამიტომაც ამჯერად ძალიან სერიოზულად ემზადებიან, რაზეც გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. რაც შეეხება ევროპულ კვარტეტს, ბოლო წლების მოვლენები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩეხებმა და [illegible] რუსებმა (ნაგანოს ოლიმპიადა მაგალითად არ გამოგვადგება, რადგან რუსებს მთლიანად ნჰლ-ის მოთამაშეთაგან ჰყავდათ გუნდი ჩამოყალიბებული) დათმეს პოზიციები და ოკეანის გაღმა მოთამაშეთა დაუხმარებლად ჩამორჩებიან სკანდინავიელებს. 1993 წლის შემდეგ რუსებს საერთოდ არ მიუღიათ მედლები და, როგორც ჩანს, ამის გაკეთება წლეულსაც გაუჭირდებათ, ვინაიდან რუსეთში და ევროპაში მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა სეზონის განმავლობაში გამართული 19 შეხვედრიდან 12 (!) წააგო. ნჰლ-ელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ოტაველ ალექსეი იაშინს მიუცია ჩემპიონატზე გამოსვლის თანხმობა. რაც შეეხებათ შვედებს და ფინელებს, მათ მძლავრი ნაკრების ჩამოყალიბება შინაური ძალებითაც შეუძლიათ. ეს ქვეყნები ხომ ჩინებულად თამაშობენ ევროტურზე.

### ევროტური

ევროტური, ანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი წლეულს ზედიზედ მესამედ ჩატარდა. მასში ზემოხსენებული ოთხი წამყვანი ევროპული ქვეყანა ასპარეზობს და ოთხი ტურნირისგან (ფინეთის „კარალა კაპი", ჩეხეთის „პრაგობანკა კაპი", რუსეთის „ბალტიკა კაპი" და „შვედეთის ჰოკეის თამაშები") შედგება. წლევანდელმა შეჯიბრებამ სკანდინავიელების სრული უპირატესობით ჩაირა (შვედებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ფინელებმა — მეორე), ხოლო ჩეხები და რუსები ბოლომდე სტატისტების როლში იყვნენ. ასე რომ, დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია.

### ვისგან ველოდოთ სიურპრიზებს

წინა ჩემპიონატის მასპინძლის, შვეიცარიის მაგალითი ცხადყოფს (მათ მეოთხე ადგილი დაიკავეს), რომ ტურნირის სხვა მონაწილეების ჩამოწერა არ ეგების. ისინი ჩემპიონობისთვის თუ არა, მედლებისთვის მაინც იბრძოლებენ და ფავორიტების განაწყენებას ნამდვილად შეეცდებიან. ეს უფრო მეტად აშშ-ის ნაკრებს ეხება, რომელიც შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ აუცილებლად შეეცდება სახელის აღდგენას. საკმაოდ სერიოზულ ძალას სლოვაკები (აილენდერსელი ზიგმუნდ პალფის მეთაურობით), შვეიცარიელები და ლატვიელები წარმოადგენენ. ნორვეგიაც ხომ ტურნირის მასპინძელია...

**სამველ ღარიბიანი**




პლეი ოფში ალექსეი იაშინმა (მარჯვნივ) დომინიკ ჰაშეკთან ვერაფერი გააწყო, რითაც მისი მომლოდინე რუსეთის ნაკრების მწვრთნელები ძალიანაც გაახარა

### ჩემპიონატის განრიგი

1-16 მაისი

წინასწარი რაუნდი. 1-6 მაისი

A ჯგუფი: კანადა, ნორვეგია, იტალია, სლოვაკეთი
B ჯგუფი: შვედეთი, ლატვია, საფრანგეთი, შვეიცარია
C ჯგუფი: ჩეხეთი, აშშ, ავსტრია, იაპონია
D ჯგუფი: ფინეთი, რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა

საპლეიოფო რაუნდი. 7-10 მაისი

E ჯგუფი: A1, B2, C2, D1
F ჯგუფი: A2, B1, C1, D2

მე-9-მე-12 ადგილები. 8-11 მაისი

G ჯგუფი: A3, B3, C3, D3

ნახევარფინალები

12 მაისი. E1-F2; E2-F1 (პირველი მატჩები)
13 მაისი. E1-F2; E2-F1 (მეორე მატჩები)

მე-3 ადგილისთვის. 15 მაისი

ფინალი. 15 და 16 მაისი (ორი მატჩი)

### ვის რა დაეტრაბახება

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| კანადა | 21 | 11 | 8 | 40 |
| ჩეხეთი (ჩეხოსლოვაკია) | 7 | 12 | 19 | 38 |
| რუსეთი (სსრკ) | 23 | 7 | 5 | 35 |
| შვედეთი | 7 | 16 | 11 | 34 |
| აშშ | 2 | 9 | 4 | 15 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ფინეთი | 1 | 3 | 0 | 4 |
| გერმანია | 0 | 2 | 2 | 4 |
| ავსტრია | 0 | 0 | 2 | 2 |

### მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერები

1 ბორის მიხაილოვი (სსრკ) 97 შაიბა; 2-3 ვლადიმირ ზაბროდსკი (ჩეხოსლოვაკია) და სვენ იუჰანსონი (შვედეთი) 79; 4 ვაცლავ ნედომანსკი (ჩეხოსლოვაკია) 78; 5-6 ალექსანდრ მალცევი და ვლადიმირ პეტროვი (ორივე სსრკ) 77; 7 ვალერი ხარლამოვი (სსრკ) 74; 8 ვენიამინ ალექსანდროვი (სსრკ) 68; 9-10 ანატოლი ფირსოვი და ვიაჩესლავ სტარშინოვი (ორივე სსრკ) 64

## გერმანია

XXIX ტური

**ბოხუმი 0:3 ნიურნბერგი**

0:1 ჩირიჩი (13), 0:2 კურტი (65), 0:3 ჩირიჩი (70)

**ფრაიბურგი 2:0 აინტრახტი**

1:0 ბენ სლიმანი (26), 2:0 კობიაშვილი (49)

II ბუნდესლიგა

XXVIII ტური

**ულმი 1:0 ობერჰაუზენი**

**ზტ. პაული 1:0 გიუტერსლო**

**კიოლნი 4:0 ურდინგენი**

## ინგლისი

I დივიზიონი

ILV ტური

**ბოლტონი 1:1 ვულვერჰემპტონი**

## საფრანგეთი

XXXI ტური

**მარსელი 0:0 ლიონი**

**ბორდო 0:1 მონაკო**

0:1 ლამუში (28)

**ტულუზი 1:4 ლორიანი**

1:0 მაარზი (44), 1:1 ბუაფია (68), 1:2 ლოკო (70), 1:3 ბუაფია (80), 1:4 კამადინი (90)

## პოლონეთი

XXIV ტური

**…ეგია 1:2 ვისლა**

**…ვიცე 0:1 რუხი**

**…ი 2:2 პოგონი**

## ჰოლანდია

XXXI ტური

**მაასტრიხტი 3:3 ბრედა**

1:0 დეიონგი (16), 1:1 შუკოვი (31), 1:2 არველაძე (48), 2:2 პერესი (49), 2:3 დერ ვეერტი (71), 3:3 იანსენი (90)

## თურქეთი

XXX ტური

**გალათასარაი 3:0 საქარია**

## ბელგია

XXXI ტური

**შარლერუა 1:2 ბრიუგე**



REUTERS მარსელიდან

მარსელი — ლიონი 0:0. ტიტი კამარას (შუაში) თავი არ დაუზოგავს, მაგრამ მაინც უგოლოდ დარჩა



REUTERS მაიამიდან

# მაინორი ტაბაკად

„ბოსტონ სელტიკსელ" გრეგ მაინორს გუშინ მაგრად არ გაუმართლა. „მაიმი"-„ბოსტონის" შეხვედრა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულიყო, რომ მან მარჯვენა ბარკლის რაღაც უცნაური ტრავმა მიიღო. ტკივილისაგან დამანჭული გრეგის გულაღმა ამოტრიალება თურმე კარგა ხანი ვერ მოხერხებულა...

# ზელანდიელთა ვიზა



REUTERS სიდნეიდან

ზეპურ მსოფლიო რაგბიში ახალზელანდიელებს ვიზები არ სჭირდებათ. მათთვის აქ ყველა კარი ისედაც ღიაა... მაგრამ მათ სჭირდებათ ის, რაც ვიზების მერე ყველაზე აუცილებელი რამაა, ანუ სხვაგვარად, ფული. ფულს კი მათ ბობოლა ფირმა, „VISA INTERNATIONAL"-ი შეპირებია. ეს პატიოსანი კანტორა „ოლ ბლექსის" დიდებას უახლოესი სამი წლის განმავლობაში შეეხიდება. ფოტოზე ფირმის ერთ-ერთი მახვში ზელანდიელ მორაგბეებთან, ალამა იერემიასა (მარცხნივ) და ტანა უმაგასთან ერთად აუსახავთ. მათი კმაყოფილი იერსახეებით თუ ვიმსჯელებთ, „ვიზისა" და „ოლბლექსის" თანამშრომლობა ურთიერთსასიამოვნო ამბავი უნდა გამოდგეს...

# მეფის დას ასიამოვნეს

*ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყანათა მე-15 „თამაშიადა" 2005 წელს, ესპანურ ქალაქ ალმერიაში გაიმართება... ამის შესახებ განათლებულ კაცობრიობას გუშინ ტუნისის ერთ-ერთ სრა-სასახლეში ემცნო. აქ წარმოდგენილ ფოტოებზე ორი ესპანელი ბანოვანი ამ გადაწყვეტილების გამოცხადებისას განცდილ სიხარულს გამოხატავს; ამქედან მაგიდასთან მჯდომი ესპანეთის მეფის დედმამიშვილი, ინფანტა სინა პილარ დე ბურბონი ბრძანდება, დროშაშემოხვეული და უშნოდ ახუნტრუცებული კი მისი მხევალი, მშვენიერი მარია დელ მარი...*





REUTERS ტუნისიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კლაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29